



**USAID**  
 ამერიკელი ხალხისთვის



Delivering Progress



საგარეო ურთიერთობების  
 სამინისტრო  
 ინსტიტუტი

მოქალაქეთა  
 მონაწილეობის  
 სახელმძღვანელო  
 სამოქალაქო  
 საზოგადოებისთვის



„USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა“  
USAID-Local Governance Program

© სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, PMCG  
იანვარი, 2024 წელი



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



Delivering Progress



სამთავრობო  
საზოგადოებრივი  
ინსტიტუტი

---

# მოქალაქეთა მონაწილეობის სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებრივობისთვის

---

ავტორთა ჯგუფი: ლუკა ბეგიაშვილი, კოკა კილურაძე,  
თენგიზ სულთანაშვილი, ნინო სამსონიძე,  
ნინო მღვდელაძე, ბურაბ მენაღარიშვილი,  
ნათია აფხაზაძე

სახელმძღვანელო შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა (CSI) და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) თანამშრომლობით ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში. USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა წარმოადგენს 5 წლიან ინიციატივას, რომლის მიზანია საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციისა და საჯარო რეფორმების მხარდაჭერა და ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. პროგრამა მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ანგარიშვალდებულების გაძლიერების, ინკლუზიური და მომხმარებელზე ორიენტირებული საჯარო სერვისების მინოდების გაუმჯობესებაზე და დახმარებას უწევს ცენტრალურ ინსტიტუტებს დეცენტრალიზაციისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში.

სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს და ის შეიძლება არ გამოხატავდეს USAID-ის შეხედულებებს.

# სახელმძღვანელოს სტრუქტურა

---

შესავალი .....	5
<b>თავი I. დეცენტრალიზაცია და ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში .....</b>	<b>6</b>
1.1 დეცენტრალიზაციის არსი.....	6
1.2 მოქალაქეთა მონაწილეობის არსი .....	8
1.3 დეცენტრალიზაცია ადგილობრივი განვითარებისთვის .....	12
1.4 მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თემის განვითარებაში.....	16
1.5 მოქალაქეთა მონაწილეობა ინდივიდუალური/პერსონალური განვითარებისთვის .....	19
1.6 დეცენტრალიზაციისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ურთიერთდამოკიდებულება.....	21
<b>თავი II. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება საქართველოში .....</b>	<b>24</b>
2.1 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება - მათი ძირითადი ფუნქციები .....	26
2.1.1 მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები .....	26
2.1.2 მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები .....	29
2.1.3 მუნიციპალური მმართველობა.....	29
2.2 მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებები და მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები .....	30
გადაწყვეტილება N°1. საბიუჯეტო სახსრების განაწილება.....	30
გადაწყვეტილება N°2. წესების დამტკიცება .....	32
გადაწყვეტილება N°3. პოლიტიკის განსაზღვრა .....	34
გადაწყვეტილება N°4. ქონების განკარგვა .....	36
გადაწყვეტილება N°5. მერის საქმიანობის ზედამხედველობა - უნდობლობის გამოცხადება.....	38
გადაწყვეტილება N°6. მერის უფლებამოსილება ექსკლუზიურად მიკუთვნებულ საკითხებზე, გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება .....	39
გადაწყვეტილება N°7. მუნიციპალური მომსახურებების მიწოდება .....	40
გადაწყვეტილება N°8. ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/ შეფასება.....	43
2.3 მოქალაქეთა მონაწილეობის უფლების რეალიზება .....	44
2.4. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და პროაქტიული გამოქვეყნება.....	44

<b>თავი III. მოქალაქეთა მონაწილეობის კოდექსით გათვალისწინებული და დამატებითი მექანიზმები</b> .....	47
3.1 მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული ფორმები .....	50
დასახლების საერთო კრება .....	50
პეტიცია .....	53
მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო .....	55
საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა .....	57
მერისა და საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა .....	58
3.2 მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები .....	60
თავისუფალი სივრცე (Open Space) .....	60
მოქალაქეთა ქარტია (Citizen Charter) .....	65
შარეტი (Charrette) .....	69
ღია თვითმმართველობა (Open House) .....	71
გზა პროგრესისკენ (Road to Progress) .....	72
მომავლის ძიება/მომავლის ძიების კონფერენცია (Future Search Conference) .....	74
მონაწილეობითი ბიუჯეტირება (Participatory Budgeting) .....	75
გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი - Citizen Participation in decision making Toolkit (CPT) .....	78
სამოქალაქო ლაბორატორია (CivicLab) .....	79
მოქალაქეთა ასამბლეა (Citizen Assembly) .....	82
<b>დანართები</b> .....	86
დანართი 1 - დასახლების საერთო კრება .....	86
დანართი 2 - პეტიციის ნიმუში .....	92
დანართი 3 - თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია .....	93
დანართი 4 - მოქალაქეთა ქარტია .....	101
<b>ბიბლიოგრაფია და გამოყენებული მასალები</b> .....	110

# შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც შემუშავებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა (CSI) და PMCG-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან ერთად, ეძღვნება მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხს, რომელიც, თავის მხრივ, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. თანამედროვე სამყაროში, მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებას სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ადგილობრივ დონეზეა, რადგან მონაწილეობითი დემოკრატია ადამიანებს საშუალებას აძლევს ხელისუფლებასთან ერთად მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ცნებასთან პირდაპირაა თანხვედრილი.

წარმოდგენილი გზამკვლევი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურთ ხელი შეუწყონ საქართველოში, ადგილობრივ დონეზე, მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებას. იგი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სამოქალაქო აქტივისტებისთვის, საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციებისა და აქტიური მოქალაქეებისთვის, ასევე, მედიისა და კერძო სექტორის იმ წარმომადგენლებისთვის, ვინც დაინტერესებულია მონაწილეობითი პროცესების მხარდაჭერით. გარდა აღნიშნული სექტორებისა, წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, იგი სასარგებლო იქნება ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეებისთვისაც.

სახელმძღვანელოში მოქალაქეთა მონაწილეობის ტერმინი ფართო გაგებით არის განხილული და გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესში მოქალაქეებისა და დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობას, როგორც ხელისუფლებისგან მომდინარე ძალისხმევით, ისე თვითორგანიზებისა და სამოქალაქო აქტივიზმის ფორმით.

წიგნი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

**პირველი ნაწილი** აკადემიური ნაშრომის ფორმით მიმოიხილავს დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ თეორიულ საკითხებს და აღწერს ამ კუთხით არსებულ მიდგომებსა და საინტერესო მაგალითებს.

**მეორე ნაწილი** წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე იმ ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლებითაც იქმნება მონაწილეობითი პროცესის განხორციელების სივრცე.

**მესამე ნაწილში** დეტალურად არის განხილული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და ასევე კოდექსის მიღმა არსებული დამატებითი/ინოვაციური მექანიზმები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში კარგი პრაქტიკის სახით არის დამკვიდრებული. ამ მექანიზმების ძირითადი პრინციპებისა და პროცედურების აღწერა, მათი პრაქტიკაში განხორციელებისთვის საჭირო ფორმებისა და მასალების შესახებ ინფორმაცია, მკითხველს საშუალებას აძლევს შეარჩიოს და მოარგოს ადგილობრივ კონტექსტსა თუ მიზანს მისთვის სასურველი მათგანი მონაწილეობითი პროცესის ეფექტურად განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს თეორიული და პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, იგი თანაბრად საინტერესოა, როგორც უკვე გამოცდილი პრაქტიკოსებისთვის, ასევე მათთვისაც, ვისაც სჭირდება დამატებითი არგუმენტაცია მონაწილეობითი დემოკრატიის მნიშვნელობისა და სარგებლის შესახებ. საკითხების სიღრმისეული მიმოიხილვა, პროცესების დეტალური ანალიზი, კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი მექანიზმების დეტალური აღწერა და საინტერესო კუთხით წარმოჩენა, რომლის ძირითად ნაწილსაც თან ერთვის ყველა საჭირო დანართი, მკითხველს უმარტივეს აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებას და უჩენს მოტივაციას ხელი შეუწყოს მონაწილეობითი პროცესების გაუმჯობესებას.

# თავი I.

## დეცენტრალიზაცია და ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სახელმძღვანელოს პირველ თავში საუბარია დეცენტრალიზაციის, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ურთიერთკავშირზე. ის ასევე გამოკვეთს მათ როლსა და სარგებელს ადგილობრივი თემის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მიმართულებით ცოდნის დაგროვებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესს.

ეს თავი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: დასაწყისში წარმოდგენილია ძირითადი საკითხების განმარტებები და მიმოხილვა. შემდეგ დეცენტრალიზაციისა და მოქალაქეთა ჩართულობის ადგილობრივ თემსა და ინდივიდუალურ მოქალაქეზე დადებითი ზეგავლენის საილუსტრაციოდ მიმოხილულია თეორიული არგუმენტები და აღნიშნული არგუმენტების მხარდაჭერი ემპირიული მაგალითები. დასასრულს, წარმოდგენილია დეცენტრალიზაციისა და მოქალაქეთა ჩართულობის ურთიერთმიმართება.

თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების ქვაკუთხედაა. მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესის ხელშეწყობა განსაკუთრებით საჭიროა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დეცენტრალიზაციის პროცესს ახლა იწყებენ. დეცენტრალიზაციის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი თვითმმართველობის გასაძლიერებლად და დემოკრატიული პრინციპების განსამტკიცებლად. მოქალაქეების აქტიური ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ძალისხმევის მობილიზება ადგილობრივი გამოწვევების დასაძლევად არის წინაპირობა ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

დღეს საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები მეტ-ნაკლებად დანერგილია. მიუხედავად ამისა, აღნიშნულის რეალურად აღსრულება ხშირად თვითმმართველობის კეთილ ნებას ეფუძნება.<sup>1</sup> ასევე, ხშირად ხდება, რომ ორმხრივი კომუნიკაციისა და ნდობის ნაკლებობა მოქალაქეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის გაუცხოებას წარმოშობს.<sup>2</sup> გარდა ამისა, შესაბამისი ინფორმაციისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობა აფერხებს ინდივიდუალური მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობას ეფექტურად ჩაერთონ დეცენტრალიზაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>3</sup> მოქალაქეები ნაკლებად კითხულობენ კოდექსებს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ფორმალური ენა მოქალაქეებისათვის რთულად გასაგები და უინტერესოა.<sup>4</sup>

### 1.1 დეცენტრალიზაციის არსი

დეცენტრალიზაცია ბოლო რამდენიმე დეკადის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეფორმად მიიჩნევა. 2010 წლის შემდეგ მსოფლიოს ქვეყნების 80%-მა, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან პოლიტიკური მოწყობით, კულტურით, სოციალური და ეკონომიკური განვითარებითა თუ ტერიტორიული სიდიდით განახორციელეს დეცენტრალიზაციის რეფორმა ამა თუ იმ ფორმით.<sup>5</sup>



■ **დეცენტრალიზაცია** განიმარტება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების გადაცემა ადგილობრივად მცხოვრები მოქალაქეებისთვის ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენლებისათვის, რათა მათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაჭრელად.<sup>6</sup> დეცენტრალიზაცია ასევე განიხილება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების გადაცემა ტერიტორიული და იერარქიული თვალსაზრისით უფრო ქვედა დონის საჯარო ინსტიტუტებისთვის.<sup>7</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით კი დეცენტრალიზაცია გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გადაცემას ადგილობრივ დონეზე პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული ხელისუფლების ორგანოებისთვის, რომელთაც გააჩნიათ ავტონომიის გარკვეული ხარისხი.<sup>8</sup>

დეცენტრალიზაცია ასევე ხშირად განიხილება როგორც ძალაუფლების კონცენტრაციის გადანაწილების მეთოდი ერთი ცენტრიდან რამდენიმე ცენტრზე, რომელიც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს ადგილობრივ ხელისუფლებას.<sup>9</sup> დეცენტრალიზაცია წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი თემის გაძლიერებას მოქალაქეებისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადაცემის გზით.<sup>10</sup> უფრო კონკრეტულად, ეს არის მმართველობის სტრატეგია, რომელიც გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას გადასცემს მათ, ვისზეც მიღებული გადაწყვეტილების შედეგები ყველაზე მეტად აისახება.<sup>11</sup>

დეცენტრალიზაციის ოთხ ძირითად განზომილებას გამოყოფენ: პოლიტიკური, ანუ დემოკრატიული, დეცენტრალიზაცია, ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია, ფისკალური დეცენტრალიზაცია. დეცენტრალიზაციის ქვემოთ მოცემული განზომილებები შეიძლება თანადროულად არსებობდეს ერთსა და იმავე ქვეყანაში და ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავს.

■ **პოლიტიკური დეცენტრალიზაცია**, რომელსაც დემოკრატიულ დეცენტრალიზაციასაც უწოდებენ, გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლებების მხრიდან ადმინისტრაციული, ფისკალური და პოლიტიკური ძალაუფლებისა და საჯარო სერვისების მიწოდების ფუნქციის გადაცემას პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის. პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პირობებში ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს აქვთ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღონ გადაწყვეტილებები და დამოუკიდებლად განახორციელონ საჯარო პროგრამები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში. პოლიტიკური დეცენტრალიზაცია ქმნის ყველაზე სახარბიელო პირობებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის.<sup>12</sup> პოლიტიკური დეცენტრალიზაცია კარგად არის გამოხატული შვეიცარიაში, გერმანიაში, ბელგიასა და ა.შ.<sup>13</sup>

■ **ფისკალური დეცენტრალიზაციის** პირობებში ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ ხელისუფლებას ანიჭებს ავტონომიურობას დამოუკიდებლად აწარმოოს შემოსავლისა და ხარჯების მონიტორინგი და განკარგოს ფინანსები. ფინანსური დეცენტრალიზაციისას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ენიჭებათ უფლება დამოუკიდებლად შეაგროვონ და განკარგონ გარკვეული ტიპის გადასახადები და მიღებული შემოსავლებით უზრუნველყონ მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებული საჯარო სერვისების დაფინანსება.<sup>14</sup> ფისკალური დეცენტრალიზაციის მკაფიო ნიშნებს ვხვდებით ბრაზილიასა და ინდოეთში.<sup>15</sup>

■ **ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია** მოიცავს ძალაუფლების, პასუხისმგებლობისა და ფინანსური რესურსების განაწილებას ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის. ის იყოფა სამ ქვეკატეგორიად: დეკონცენტრაცია, დელეგირება და დეკოლვირება.<sup>16</sup>

■ **დეკონცენტრაცია** გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული მმართველობითი მექანიზმებისა და მოქალაქეებისათვის სერვისების მიწოდების ფუნქციის გადაცემას რეგიონული ხელისუფლებებისათვის, მათთვის დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭების გარეშე. კერძოდ, დეკონცენტრაციის პირობებში ად-

გილობრივი ხელისუფლება ქვეეროვნულ დონეზე გეგმავს და აწვდის სახელმწიფო სერვისებს მოსახლეობას, თუმცა ამავ დროს არ აქვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება და რჩება სრულად ანგარიშვალდებული ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. ადგილობრივი ოფიციალური პირები ექვემდებარებიან „ზემოდან მითითებებს,“ რომელთაგან ბოგიერთი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებს. დეკონცენტრაცია ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის ყველაზე სუსტი ფორმაა.<sup>17</sup> მაგალითად, დეკონცენტრაცია პორტუგალიისა და საბერძნეთის დეცენტრალიზაციის რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.<sup>18</sup>

❑ **დელეგირება** ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის უფრო ძლიერი ფორმაა. იგი აღნიშნავს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მმართველობითი ფუნქციებისა და ადმინისტრირების უფლების გადაცემას ნახევრად ავტონომიური საჯარო უწყებებისთვის, რომლებიც სრულად არ კონტროლდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, თუმცა ანგარიშვალდებული არიან მის წინაშე. დელეგირების პროცესში ცენტრალური ხელისუფლებები ქმნიან სახელმწიფო სანარმოებს, კორპორაციებს, სატრანსპორტო სააგენტოებს, რეგიონული განვითარების კორპორაციებსა და ა.შ. აღნიშნული უწყებების თანამშრომლები, ხშირ შემთხვევაში, არ მიიჩნევიან საჯარო მოხელეებად და შეუძლიათ მოსთხოვონ მოქალაქეს გადასახადი მათ მიერ გაწეული სერვისის სანაცვლოდ. ისინი ასევე სარგებლობენ უფლებით, მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი შეხედულებებისამებრ, თუმცა საბოლოოდ მაინც ცენტრალური ხელისუფლების წინაშე არიან ანგარიშვალდებული.<sup>19</sup> მაგალითად, კენიაში (სადაც სასოფლო სამეურნეო სერვისები დეკოლვირებულია ადგილობრივ ხელისუფლებაზე) ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეექმნა კატასტროფების მართვის ეროვნული სააგენტო, რათა გაეუმჯობესებინა რეაგირება ქვეყანაში მომხდარ კატასტროფებზე. აღნიშნული ორგანო დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ანგარიშვალდებულია ეროვნული ხელისუფლების წინაშე.<sup>20</sup> ასევე, დელეგირების პოლიტიკის გატარების ნათელი ნიშნები გამოკვეთილია დეცენტრალიზაციის საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის მიერ გატარებულ რეფორმაში.<sup>21</sup>

❑ **დეკოლვირება** გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების, ფინანსური რესურსების განკარგვისა და მართვის უფლებამოსილების გადაცემას კვანძავტონომიური ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის. დეკოლვირების პირობებში მუნიციპალიტეტებს ჰყავთ არჩეული მერები და საბჭოები, აქვთ საკუთარი შემოსავალი და გააჩნიათ დამოუკიდებელი ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება. დეკოლვირება მიიჩნევა ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის ყველაზე ძლიერ ფორმად. იგი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიულ და ჩართულობის პროცესთან, რადგან გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების გადაცემას ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის, რომლებიც პირდაპირ არიან არჩეული ადგილობრივი თემის მხრიდან და არიან მათ წინაშე და არა ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული. აქედან გამომდინარე, მონაწილეობა განიხილება როგორც საშუალება და მიზანი დემოკრატიული დეცენტრალიზაციისთვის.<sup>22</sup> აქვე, ხაზი უნდა გაესვას, რომ დეკოლვირება მოიცავს არამხოლოდ ადმინისტრაციულ, არამედ პოლიტიკურ და ფისკალურ დეცენტრალიზაციასაც. დეკოლვირება მკაფიოდ არის გამოხატული კანადისა და ავსტრალიის დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში.<sup>23</sup>

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებულ დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლის სტრატეგიას თუ გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ საქართველო უფრო მეტად დეკონცენტრაციის ფორმისკენ იხრება, თუმცა შეინიშნება დელეგირებისა და დეკოლვირების მაგალითებიც. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიაში განერილია რიგი ცვლილებები, რომლებიც მომავალში გააძლიერებს დეცენტრალიზაციის ხარისხს და აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ დეცენტრალიზაციის ფორმა დეკოლვირებისკენ გადაიხრება.

## 1.2 მოქალაქეთა მონაწილეობის არსი

მოქალაქეთა მონაწილეობა ხშირად განიმარტება, როგორც ხელისუფლებისგან ინიცირებული და წარმართული პროცესი, რომლის მიზანია გააუმჯობესოს ან მოიპოვოს მოქალაქეთა მხრიდან სახელისუფლებო გადაწყვეტილებების, პროგრამებისა და სერვისების მხარდაჭერა.<sup>24</sup> ამასთანავე, ჩართულობა განიხილება როგორც „მოქალაქეთა წვლილი“ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში,<sup>25</sup> რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს გავლენა მოახდინონ პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების გადაწყვეტილებებზე.<sup>26</sup>

მეორე მხრივ, განვითარების პოლიტიკის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, მოქალაქეთა მონაწილეობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც საშუალებას აძლევს ძალაუფლების არმქონე მოქალაქეებს, რომლებიც გარიყული არიან პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან, აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>27</sup> ეს არის მექანიზმი, რომელიც მოწვევად ჯგუფებს ეხმარება აქტიური მონაწილეობა მიიღონ ინფორმაციის გაზიარების, საჯარო პოლიტიკის მიზნებისა და მიმართულებების შემუშავებისა და საბიუჯეტო რესურსების გადანაწილების პროცესში.<sup>28</sup>

მონაწილეობასთან დაკავშირებით განასხვავებენ შემდეგ ძირითად კატეგორიებს: მოქალაქეთა მონაწილეობა (citizen participation), საჯარო/საზოგადოებრივი მონაწილეობა (public participation), სამოქალაქო ჩართულობა (civic engagement) და პოლიტიკური მონაწილეობა (political participation).<sup>29</sup>

<p><b>მოქალაქეთა მონაწილეობა</b> (citizen participation) გაგება ხაზს უსვამს ხელისუფლების ძალისხმევას ჩართოს მოქალაქეები ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესში. მოქალაქეთა ჩართულობის მაგალითებია: საჯარო მოსმენები, მოქალაქეთა გამოკითხვები და ა.შ.</p>	<p><b>საჯარო/საზოგადოებრივი მონაწილეობა</b> (public participation) ყველაზე ფართო ტერმინია და მოიცავს მედიის, მოქალაქეებისა და არასამთავრობო სოციალური ჯგუფების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.</p>	<p><b>სამოქალაქო ჩართულობა</b> (civic engagement) არსებობს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, როგორცაა მოხალისეობა, სამოქალაქო აქტივიზმი ან ორგანიზაციული ჩართულობა საარჩევნო კამპანიაში.</p>	<p><b>პოლიტიკური მონაწილეობა</b> (political participation) ძირითადად არჩევნებში ხმის მიცემის გზით წარმომადგენლების არჩევასა და საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას გულისხმობს.</p>
			

ამასთანავე, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი.<sup>30</sup> პირდაპირია მონაწილეობა, როდესაც მოქალაქეები ინდივიდუალურად ან თვითორგანიზაციის სხვადასხვა ფორმით აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხოლო არაპირდაპირი ანუ ირიბი მონაწილეობის პირობებში, მოქალაქეები გამოხატავენ თავიანთ სურვილებს მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. ირიბ მონაწილეობას ასევე მოიხსენიებენ, როგორც პოლიტიკურ მონაწილეობას, რადგან მოქალაქეთა როლი შემოიფარგლება პოლიტიკური წარმომადგენლების შერჩევით.<sup>31</sup>

მონაწილეობის განმარტებისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ პროცესის შემადგენელი ოთხი ძირითადი ელემენტი:<sup>32</sup>

- ▶ **მონაწილეობის მიზნები** გულისხმობს ამოცანებს, რომლებიც უნდა დაისახოს ჩართულობის პროცესის შედეგად. ეს შეიძლება იყოს მოქალაქეთა საჭიროებების დადგენა/მოგვარება, მოქალაქეთა განათლება, დარწმუნება ან კონკრეტული პოლიტიკის ლეგიტიმაცია.
- ▶ **მონაწილეობის აქტივობები** აღწერს კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს ჩართულობის პროცესში და როგორ (მაგალითად, მოქალაქეთა შეკრებები და გამოკითხვები).
- ▶ **მონაწილეობის ობიექტები** აღნიშნავს მოქალაქეთა ჯგუფებს, რომლებიც უნდა მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- ▶ **მონაწილეობის სუბიექტები** მოიცავს, მაგალითად, სახელისუფლებო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებსა და ა.შ. რომლებიც არიან მოქალაქეთა ჩართულობის პროცესის ინიციატორები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ მრავალი საინტერესო თეორია და მოდელი შეიქმნა. აღნიშნული თეორიებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ცნობილია 1960-იანი წლების ბოლოს შერი არნშტეინის მიერ (1969) შემუშავებული მონაწილეობის კიბე.<sup>33</sup> არნშტეინის თეორიის მნიშვნელობა განპირობებულია ფაქტით, რომ სწორედ მან დაუდო საფუძველი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გააზრებას ევოლუციური სპექტრის (კონტინიუმის) ფორმით. კერძოდ, არნშტეინის მოდელში ნაჩვენებია, თუ როგორ იზრდება მოქალაქეთა უფლებამოსილება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისას, დაწყებული მანიპულაციიდან, მოქალაქეთა მიერ კონტროლის ჩათვლით. გამომდინარე აქედან, მოდელის შემუშავებიდან 50 წელზე მეტი დროის გასვლის მიუხედავად, აღნიშნული თეორია კვლავ აქტუალურია.

**არნშტეინის აზრით**, მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებისა და გამოვლენის მთავარი ფორმაა.<sup>34</sup> ის განსაზღვრავს მონაწილეობას, როგორც ძალაუფლების გადანაწილების მეთოდს, რომელიც საშუალებას აძლევს „ამჟამად ძალაუფლების არმქონე მოქალაქეებს“, რომლებიც გარიყულნი არიან პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან, გააზრებულად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>35</sup> ამრიგად, აღნიშნული დეფინიციის მიხედვით, საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესებიდან გარიყულ მოქალაქეთა ფართო მასებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ ინფორმაციის გაზიარების, თემის განვითარების მიზნებისა და პოლიტიკის დადგენის, საგადასახადო რესურსების განაწილებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროგრამების განხორციელების პროცესში. არნშტეინი აღწერს მონაწილეობას როგორც მეთოდს, რომელიც საშუალებას აძლევს მონყვლად ჯგუფებს შეძლონ მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმის ინიცირება და ისარგებლონ გაუმჯობესებული საზოგადოებრივი სიკეთებით.<sup>36</sup> ამ დეფინიციაში მოყვანილი მთავარი იდეა არის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილება, რათა პროცესში ჩაერთონ მონყვლადი ჯგუფები და მათ საშუალება მიეცეთ ითამაშონ წამყვანი როლი საზოგადოების მომავლის განსაზღვრაში.

არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა დონე.<sup>37</sup> არნშტეინის მოდელი გამოკვეთს მოქალაქეთა ჩართულობის უფლებამოსილების განხორციელების განსხვავებულ დონეებს გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში. კერძოდ, მოდელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ძალაუფლების სამ მთავარ დონეს გამოყოფს: არამონაწილეობა, სიმბოლური მონაწილეობა (ტოკენიზმი) და მოქალაქეთა ძალაუფლება (იხ. სურათი 1).<sup>38</sup> მონაწილეობის აღნიშნული სამი დონე აერთიანებს მოქალაქეთა ჩართულობის რვა საფეხურისგან შემდგარ კიბეს. პირველი კატეგორია, არამონაწილეობა, აერთიანებს ორ საფეხურს – მანიპულირება და თერაპია. არამონაწილეობის პირობებში საზოგადოება შე-

დარებულია გადაწყვეტილების მიღების უნარის არამქონე მენტალურად დაავადებულ ადამიანთან. შესაბამისად, ძალაუფლების მქონე ხელისუფლების წარმომადგენლები ავლენენ და „კურნავენ“ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პრობლემებს მათი გამომწვევი ძირეული მიზეზების აღმოფხვრის გარეშე. სხვა სიტყვებით რომ განვმარტოთ, პოლიტიკოსები, რომელთაც რეალურად არ გააჩნიათ კეთილშობილური მიზნები, უტარებენ საზოგადოებას ე.წ. „მაკორექტირებელ თერაპიას,“ მაგალითად, მიმართავენ ცრუ რიტორიკას, რომ მათთვის საზოგადოების აზრი მნიშვნელოვანია, რათა კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღონ. რეალურად კი აღნიშნული საფეხურები ნამდვილი მონაწილეობის შესაცვლელადაა გამოგონებული, რათა ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზოგადოებით მანიპულირება შეძლონ და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პროცესში პრობლემა არ შეექმნათ.<sup>39</sup>

შემდეგი კატეგორიაა სიმბოლური მონაწილეობა ანუ ტოკენიზმი. სიმბოლური მონაწილეობისას იმართება მოქალაქეებთან დიალოგი სხვადასხვა თემაზე, რათა ხალხს საშუალება მიეცეს თავისი აზრი გამოთქვას ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მათ მოსაზრებას გაითვალისწინებს. სიმბოლური მონაწილეობა სამი საფეხურისგან შედგება. პირველი ეს არის ინფორმირება, რომელიც მაინც შეიძლება ჩაითვალოს მონაწილეობის ფორმად, რადგან ინფორმირების შედეგად ადამიანები იძენენ ცოდნას საკუთარი უფლებების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მათ აწვდიან ინფორმაციას უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ამ საფეხურის მკაფიო მაგალითია კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და პროგრამების შესახებ ჩატარებული საინფორმაციო კამპანიები. დანარჩენი ორი საფეხური: კონსულტირება და დამშვიდება, გადაწყვეტილების მიღების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად გამოიყენება.<sup>40</sup>

რაც შეეხება ბოლო ფორმას – მოქალაქის ძალაუფლება, იგი მოიცავს კიბის ზედა სამ საფეხურს: პარტნიორობა, ძალაუფლების დელეგირება და მოქალაქეთა მიერ კონტროლი. აღნიშნული სამი საფეხური მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს გააკეთონ ძალაუფლების გადანაწილების კომბინაციები და ხელში აიღონ რეალური პასუხისმგებლობა და ძალაუფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>41</sup> ამ საფეხურების ნათელი მაგალითებია მონაწილეობითი ბიუჯეტირება, მოქალაქეთა საერთო კრება, რეფერენდუმი და ა.შ.

**სურათი 1. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონეები.<sup>42</sup>**



თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში მონაწილეობის კიბის ვარიაციის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ცნობილი მოდელია მოქალაქეთა მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაციის (IAP2) მიერ შემუშავებული მოქალაქეთა მონაწილეობის სპექტრი. მოდელი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში და შედის მოქალაქეთა მონაწილეობის უმეტეს სახელმძღვანელოებში.

მოდელი ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს მიზნების, გადასაჭრელი საკითხების, დროითი და ფინანსური რესურსების შესაბამისად შეარჩიონ ჩართულობის სწორი ფორმა და მასშტაბები.

ასოციაცია გამოყოფს მონაწილეობის ხუთ ძირითად დონეს:

დონე	მცირე მიმოხილვა
ინფორმირება (informing)	სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიები – უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო ინფორმირებულობას.
კონსულტირება (Consulting)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ წერილობითი კონსულტაციები – მოქალაქეთა დამოკიდებულება, რჩევები კონკრეტულ საკითხებზე;</li> <li>▪ საკონსულტაციო ჯგუფები – ექსპერტებსა და დაინტერესებული მხარეებთან კონსულტაციები</li> </ul>
ჩართულობა (Involving)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საჯარო შეხვედრები – პირისპირ (ან ონლაინფორმატით) უშუალოდ პრობლემის არსთან დაკავშირებით ხედვების შესამუშავებლად;</li> <li>▪ ფოკუს ჯგუფები – პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტის გზების შერჩევაზე ორიენტირებული თვისებრივი დისკუსიები;</li> <li>▪ ფართო ჯგუფური დისკუსიები (Crowd-sourcing) – გამართული საზოგადოებიდან წამოსული იდეების შეგროვებისა და შეფასების მიზნით.</li> </ul>
თანამშრომლობა (Collaborating)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მოქალაქეთა ჟიური (ან პანელი) – კონკრეტულ გამოწვევაზე რეაგირების გზებთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოსასმენად და რეკომენდაციების გასაცემად;</li> <li>▪ მოქალაქეთა კრებები – მონაწილეობის უფრო ფართო შეხვედრები, რომლებიც ასახავს საზოგადოების მრავალი წარმომადგენლის ხედვებსა და რეკომენდაციებს;</li> <li>▪ სამეზობლო ფორუმები – კონკრეტულ ტერიტორიაზე, არეალში არსებული საკითხების მოგვარების მიზნით გამართული მცირე ჯგუფების შეხვედრები.</li> </ul>
გაძლიერება, მოქალაქეთა ძალაუფლება (Empowering)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მონაწილეობითი ბიუჯეტირება (სამოქალაქო ბიუჯეტი);</li> <li>▪ ერთობლივი შემოქმედებითი შეკრებები (Hackdays, hackathons, hackfest) – რომლებზეც ადამიანთა მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ინტერესების წარმომადგენელი ჯგუფები აქტიურად ქმნიან გადაწყვეტილებების პროტოტიპს;</li> <li>▪ სიღრმისეული/სათათბირო დემოკრატია – ჩაღრმავებული სათათბირო შეკრებები, რომლებზეც საპირისპირო (თუნდაც მტრული) შეხედულებების მქონე აქტორები განიხილავენ პრობლემას მისი მოგვარების მიზნით.</li> </ul>

### 1.3 დეცენტრალიზაცია ადგილობრივი განვითარებისთვის

დეცენტრალიზაციას, ადგილობრივი თემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია. პოლიტიკური სარგებლის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს სტაბილურობას, აუმჯობესებს ანგარიშვალდებულებას, ამცირებს კორუფციას, აუმჯობესებს პოლიტიკურ კონკურენციას და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობას. გარდა პოლიტიკური სარგებლისა, დეცენტრალიზაციას მრავალმხრივი ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია. კერძოდ, ის ხელს უწყობს რესურსების ეფექტურად განაწილებასა და ინოვაციური

პოლიტიკის გატარებას, ასევე, ახალისებს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას და აუმჯობესებს მაკრომენეჯმენტსა და ფისკალურ დისციპლინას. და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს დეცენტრალიზაციის სოციალური სარგებელიც. ის ხელს უწყობს მოქალაქეებზე მორგებული სერვისების შემუშავებას, აძლიერებს საზოგადოებისგან გარიყულ ჯგუფებს და ამცირებს რეგიონების განვითარების დონეებს შორის განსხვავებებს. ქვემოთ შეჯამებულია დეცენტრალიზაციის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მხარდამჭერი ძირითადი თეორიული და ემპირიული არგუმენტები.

## პოლიტიკური სარგებელი

- **დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს პოლიტიკურ სტაბილურობას** – დეცენტრალიზაცია განიხილება როგორც შემაკავშირებელი მექანიზმი, რომელიც ქვეყნის ერთიანობას უზრუნველყოფს.<sup>43</sup> სხვადასხვა რეგიონს შორის ძალაუფლების განაწილებით შესაძლებელი ხდება რეგიონებში არსებული სხვადასხვა კულტურული, ისტორიული ან პოლიტიკური კონფლიქტებისა და დაძაბულობის განმუხტვა. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონულმა ხელისუფლებებმა უკეთესად იციან ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები, ისინი უკეთ ახერხებენ მათი მოთხოვნების შესრულებას, რაც ხელს უწყობს რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების დასუსტებას.<sup>44</sup> დეცენტრალიზაცია არის ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც დაპირისპირებულ ჯგუფებს აქცევს ფორმალურ, წესებზე დამყარებულ ჩარჩო-პროცესში და ახალისებს მათ მიაღწიონ შეთანხმებას თამაშის საერთო წესების შესახებ. მაგალითად, ეთნიკურად მრავალფეროვან ეთიოპიაში, დეცენტრალიზაცია იყო მექანიზმი, რომელმაც შეამსუბუქა რეგიონების სეპარატისტული მისწრაფვები.<sup>45</sup> დეცენტრალიზაციამ ასევე დიდი გავლენა ითამაშა ბოსნია და ჰერცეგოვინას, როგორც ქვეყნის, ერთიანობის შენარჩუნებაში.<sup>46</sup>
- **დეცენტრალიზაცია ზრდის მოქალაქეთა წინაშე საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხს და აუმჯობესებს საჯარო სერვისების მიწოდების ეფექტიანობას** – განსხვავებით ცენტრალიზებული სისტემისგან, რომელშიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ანგარიშვალდებული არიან ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, დეცენტრალიზებულ სისტემაში ისინი პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი მოქალაქეების წინაშე, რომლებიც მათ ირჩევენ პირდაპირი არჩევნების გზით. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მეტია შიში, რომ თუ ისინი ჯეროვნად არ შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს და მოქალაქეთა მოთხოვნებს, დაკარგავენ თანამდებობებს.<sup>47</sup>
- **დეცენტრალიზაცია ამცირებს კორუფციის დონეს** – სხვადასხვა კვლევა ადასტურებს კორუფციის დონის შემცირებასა და დეცენტრალიზაციას შორის პოზიტიურ ურთიერთკავშირს. კერძოდ, ინდოეთში, ბანგლადეშში, კოტ დივუარსა და განაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დეცენტრალიზაციის შედეგად ადგილობრივი ხელისუფლება გახდა ანგარიშვალდებული ადგილობრივი მოქალაქეების წინაშე. პროცესმა დააახლოვა მოქალაქეები და ხელისუფლება. ადგილობრივი მოქალაქეები აქტიურად ჩაერთნენ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების მონიტორინგის პროცესში. შედეგად ადგილობრივი ხელისუფლება მეტად გრძობდა წნეხს და მათთვის მკაფიო იყო, რომ მოქალაქეები აქტიურად აკვირდებოდნენ მათ ქმედებებს. ბუნებრივია, აღნიშნულმა პროცესმა გაზარდა გამჭვირვალობის ხარისხი და, შედეგად, შეამცირა ხელისუფლების წარმომადგენლების მოტივაცია ჩართულობის კორუფციულ გარიგებებში.<sup>48</sup> კიდევ ერთმა კვლევამ კოლუმბიაში, გამოავლინა, რომ დეცენტრალიზაციამ გაზარდა კონკურენტუნარიანობა პოლიტიკური თანამდებობის დაკავების პროცესში და გზა გაუხსნა მაღალი პასუხისმგებლობისა და ინოვაციური იდეების მქონე პოლიტიკოსებს, რომლებიც არ იღებენ ქრთამს.<sup>49</sup> იმავეს ადასტურებს ინდონეზიაში 2000 წელს ჩატარებული კვლევა.<sup>50</sup>
- **დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში** – დეცენტრალიზაციას გააჩნია პოტენციალი ხელისუფლება და ხალხი დააახლოვოს. დეცენტრალიზაციის პირობებში, რეგიონებში მოქალაქეები პოლიტიკური მო-

ნაწილეობის მეშვეობით პირდაპირ ირჩევენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საჯარო უწყებები გრძნობენ ანგარიშვალდებულებას ხალხის მიმართ და მოქალაქეებიც უფრო აქტიურად ცდილობენ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას.<sup>51</sup> აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში (მაგ. ბოლივია, კამბოჯა, პერუ და ა.შ.) ჩატარებული კვლევა, რომლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არსებობს პირდაპირი პოზიტიური კავშირი დეცენტრალიზაციასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის.<sup>52</sup>

**დეცენტრალიზაცია ზრდის პოლიტიკურ კონკურენციას და ხელს უწყობს მმართველობითი პროცესის გაუმჯობესებას** — დეცენტრალიზაცია აფართოებს პოლიტიკურ არენას და საშუალებას აძლევს ადგილობრივად არჩეულ დამოუკიდებელ კანდიდატებს თავი გამოიჩინონ და აჩვენონ ეფექტური მმართველობითი უნარ-ჩვევები. მათი მოტივაცია, ხშირად ისაა, რომ ადგილობრივ დონეზე თავის გამოჩენა მათ ცენტრალურ დონეზე პოლიტიკური წინსვლის საშუალებას აძლევს. შედეგად, დეცენტრალიზებულ სისტემაში ხსენებული ფაქტორები ზრდის ადგილობრივი პოლიტიკოსების მოტივაციას მართონ ეფექტურად.<sup>53</sup>

აღნიშნულის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსები, რომლებიც ახერხებენ ცალკეულ შტატებში თავი გამოიჩინონ ეფექტური მმართველობით ხშირად წარმატებას აღწევენ ცენტრალურ, ფედერალურ, დონეზე.<sup>54</sup>

## ეკონომიკური სარგებელი

**დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად განაწილებასა და კერძო სექტორის გაძლიერებას.** საჯარო სერვისების მიწოდება მეტად ეფექტიანია, როცა მის მიწოდებაში ადგილობრივი უწყებების ფართო სპექტრია ჩართული, შედეგად მოქალაქეებს მრავალფეროვანი არჩევანი გააჩნიათ.<sup>55</sup> ასევე, ადგილობრივ ხელისუფლებებს გააჩნიათ შედარებით უპირატესობა გადასახადების დაწესების, აკრეფისა და ადმინისტრირების პროცესში.<sup>56</sup> მოქალაქეებთან სიახლოვე უზრუნველყოფს მათი საჭიროებების უკეთ გააზრებას და, შესაბამისად, აუმჯობესებს რესურსების განაწილების ეფექტურობას. ამასთანავე, დეცენტრალიზაცია ამარტივებს საჯარო სერვისების შექმნასა და მიწოდებაზე განულები ხარჯების ამოღებას. გამომდინარე იქიდან, რომ სერვისები უკეთესად არის მორგებული მოქალაქეთა საჭიროებებს, ისინი მეტად გამოხატავენ მზადყოფნას გადაიხადონ თანხა აღნიშნული სერვისის მისაღებად.<sup>57</sup> ხსენებული ფაქტორების ერთიანობა ხელს უწყობს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას.

მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დეცენტრალიზაციის შედეგად გაიზარდა საჯარო სერვისების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კერძო სექტორის ეფექტიანობის ზრდას.<sup>58</sup>

**დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ექსპერიმენტებსა და ინოვაციური პოლიტიკის გატარებას** — მმართველების მოქალაქეებთან სიახლოვე ხელს უწყობს უფრო კრეატიული, ინოვაციური და ადგილობრივ თემზე მორგებული სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას.<sup>59</sup> ადგილობრივ დონეზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა და შემუშავებულმა ინოვაციურმა პოლიტიკამ შეიძლება სარგებელი მოუტანოს არამხოლოდ კონკრეტულ რეგიონს, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებასაც.<sup>60</sup> კერძოდ, ბევრ ქვეყანაში ცენტრალურმა ხელისუფლებებმა გარკვეული პოლიტიკის ეროვნულ დონეზე განხორციელება დაიწყეს მას შემდეგ, რაც იგივე წარმატებით განხორციელდა ადგილობრივ დონეზე.

მაგალითად, საინტერესოა ამერიკის გამოცდილება, სადაც კანონები უმუშევრობის, დაზღვევის, სანავის დაბეგვრის და გარემოს დაცვის შესახებ ჯერ გარკვეულმა შტატებმა მიიღეს და შემდგომ უკვე იგივე პოლიტიკა ეროვნულ დონეზეც განხორციელდა.<sup>61</sup> კიდევ ერთი მაგალითია ბრაზილიის ქალაქ პორტო ალეგრეში შემუშავებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკა, რომელსაც დღესმრავალი ქვეყანა იყენებს.<sup>62</sup>



**დეცენტრალიზაცია დადებითად მოქმედებს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე** — დეცენტრალიზაციის შედეგად რეგიონებს შეუძლიათ გამოავლინონ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტები და ამ საქმეში ინვესტიცია ჩადონ. გაუმჯობესებული ინვესტიცია ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს და იზიდავს დამატებით ინვესტიციებს. გარდა ამისა, დეცენტრალიზაცია ადგილობრივ ხელისუფლებებს საშუალებას აძლევს მათი სურვილისამებრ განკარგონ ადგილობრივი ფინანსები და, მაგალითად, დაეხმარონ მცირე და საშუალო მწარმეებს განვითარებაში ან ხელი შეუწყონ ადგილობრივ დონეზე ტურიზმის აყვავებას.<sup>63</sup> მაგალითად, 1990-იან წლებში ესპანეთში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესის შედეგად, ხერესის მუნიციპალიტეტს საშუალება მიეცა ინვესტიცია ჩადო ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესებაში. კერძოდ, 1993 წლის ბოლოსთვის აშენდა ახალი აეროპორტი და რკინიგზის ტერმინალი, ასევე, მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. შედეგად ხერესის მუნიციპალიტეტმა შეძლო ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი მწარმეობის განვითარება. აღნიშნულმა პოლიტიკამ, უზრუნველყო 4600 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, გააორმაგა რეგიონში ვიზიტორი ტურისტების რაოდენობა და შეამცირა უმუშევრობა.<sup>64</sup>

**დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს გაუმჯობესებულ მაკრომენეჯმენტს და ფისკალურ დისციპლინას** — კერძოდ, დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ბალანსირებული ბიუჯეტის შემუშავებას, რადგან ხელისუფლებამ კარგად იცის ადგილობრივი საჭიროებები და შეუძლია ფინანსური რესურსების ეფექტური განაწილება. შედეგად, შესაძლებელი ხდება არამიმზობრივი ხარჯვის თავიდან არიდება და ინფლაციის, სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის კონტროლი.<sup>65</sup> მსოფლიო ბანკის დაკვეთით 1998 წელის ჩატარებული კვლევის თანახმად, დეცენტრალიზებული ფისკალური სისტემის პირობებში უკეთესად შეიძლება ინფლაციის, დეფიციტისა და ვალის კონტროლი.<sup>66</sup> იგივე მოსაზრება დაადასტურა 2001 წელს 85 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ, რომელმაც პოზიტიური კორელაცია აჩვენა ფისკალურ დეცენტრალიზაციასა და გაუმჯობესებულ მაკროეკონომიკურ მენეჯმენტს შორის.<sup>67</sup>

**სოციალური სარგებელი**

**დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული სერვისების შემუშავებას** — მოსახლეობასთან სიახლოვის წყალობით ადგილობრივი ხელისუფლებები ხშირად ფლობენ ღირებულ ინფორმაციას მოსახლეობის საჭიროების შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიმუშაონ ადგილობრივების საჭიროებებზე მორგებული სერვისები და პროგრამები. მაშინ, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას გაცილებით მეტი ფინანსური რესურსების დახარჯვა მოუწევდა აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად.<sup>68</sup> შესაბამისად, მოსალოდნელი იყო, რომ ცენტრალური ხელისუფლება რეგიონის მოსახლეობას სტანდარტულ სერვისს მიანვდიდა, რომელიც მათთვის, შესაძლოა, სრულიად უსარგებლო ყოფილიყო.<sup>69</sup> დეცენტრალიზაციის პირობებში ადგილობრივი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია ადგილობრივი მოსახლეობისა და არა ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. გამომდინარე აქედან, ისინი უფრო მეტ ზეწოლას განიცდიან მოსახლეობის მხრიდან სერვისების ხარისხთან დაკავშირებით.<sup>70</sup> შედეგად ხელისუფლება იძულებულია მუდამ იზრუნოს სერვისების ხარისხის ზრდაზე.

მაგალითად, 1999 წლიდან, მას შემდეგ, რაც ნიგერიაში მეოთხე რესპუბლიკას დაედო საფუძველი, ქვეყნის ხელისუფლებამ დაიწყო დემოკრატიული დეცენტრალიზაციის პროცესი.<sup>71</sup> ხელისუფლება ცდილობდა გაეძლიერებინა ადგილობრივი თვითმმართველობები და წახეხილსებინა მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დეცენტრალიზაციის პროცესში საჭირო გახდა ფართო ინსტიტუციური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ნაყოფიერი მთავრობათაშორისი ურთიერთობები პასუხისმგებლობის, ფინანსური და ადამიანური რესურსების განაწილების პროცესში. დეცენტრალიზაციის პროცესს შთამბეჭდავი ეფექტი ჰქონდა. კერძოდ, შესამჩნევად გაუმჯობესდა ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური და ადმინისტრაციული მართვის პრაქტიკა, გაიზარდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწოდებული სერვისების ხარისხი და გაუმჯობესდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა. ადგილობრივმა ხელისუფლებებმა რესურსების განაწილების პროცესში დაიწყეს თანასწორობისა და საჭიროების პრინციპით ხელმძღვანელობა.<sup>72</sup>

**დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს საზოგადოებისგან გარიყული, სიღარიბეში მცხოვრები ჯგუფების გაძლიერებას** – დეცენტრალიზაციის შედეგად მარტივდება საზოგადოების კონკრეტულ, მათ შორის, მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული და მორგებული პოლიტიკისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკეთესად იცის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საჭიროებები. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ გადანაცვტილებები ადგილობრივ დონეზე მიიღება მოწყვლადი ჯგუფებისათვის უფრო მარტივია ამ პროცესში ჩართვა და საკუთარი ინტერესების ადვოკატირება.<sup>73</sup> მაგალითად, 2001 წელს ბოლივიაში განხორციელებული კვლევა ადასტურებს, რომ დეცენტრალიზაციის შედეგად სოციალური სერვისები გაცილებით უკეთ იყო მორგებული საზოგადოების დაუცველი და ღარიბი ჯგუფების საჭიროებებზე,<sup>74</sup> ხოლო ინდოეთში, ასევე, 2001 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, დემოკრატიულმა დეცენტრალიზაციამ ხელი შეუწყო ღარიბებზე ორიენტირებული საჯარო სერვისების შემუშავებასა და მიწოდებას.<sup>75</sup>

**დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს რეგიონების განვითარების დონეებს შორის განსხვავებების შემცირებას** – დეცენტრალიზაციის შედეგად რეგიონებს უკეთესად შეუძლიათ მათ ხელთ არსებული ფინანსური და სხვა რესურსების კონტროლი, მობილიზება და განაწილება. შესაბამისად, იზრდება ადგილობრივად მიღებული გადანაცვტილებისა და პროგრამების ეფექტიანობა. ადგილობრივი პოლიტიკა იქმნება მოქალაქეების საჭიროებების გათვალისწინებით და მორგებულია მათ საჭიროებებზე.<sup>76</sup> 2010-2017 წლებში რეგიონების განვითარების დონეებს შორის განსხვავებების შემცირება იყო იაპონიის დეცენტრალიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი.<sup>77</sup> იაპონიაში სურდათ შეემცირებინათ ტოკიოში მოსახლეობის ზედმეტი კონცენტრირება და მიეცათ რეგიონული და ადგილობრივი აქტორებისთვის საშუალება განეხორციელებინათ პროგრამები რეგიონების განვითარებისათვის.<sup>78</sup> იგივე მიზანი ჰქონდა კორეაში დეცენტრალიზაციის 2016-17 წლებში მიღებულ სტრატეგიას.<sup>79</sup>

## 1.4 მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თემის განვითარებაში

დეცენტრალიზაციის სარგებელთან ერთად აუცილებლად უნდა განვიხილოთ გადანაცვტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სარგებელი. სხვადასხვა თეორიული და ემპირიული არგუმენტები აჩვენებს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, მოქალაქეთა ჩართულობას გადანაცვტილების მიღების პროცესში შეუძლია გააუმჯობესოს ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების გამჭვირვალობა, შეამციროს კორუფცია და გაზარდოს სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩართულობის ეკონომიკური სარგებელიც. ის აუმჯობესებს საჯარო ფინანსების მართვის პროცესს და ხელს უწყობს ინოვაციებსა და მეწარმეობას. მაშინ, როცა სოციალური სარგებლის თვალსაზრისით, გამოსარჩევია, ჩართულობის დადებითი ზეგავლენა სოციალური კაპიტალის დაგროვებაზე, საზოგადოების ერთიანობის ზრდასა და პასუხისმგებლობის მექანე მოქალაქის ჩამოყალიბებაზე.

### პოლიტიკური სარგებელი

**მოქალაქეთა მონაწილეობა ზრდის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გამჭვირვალობას და ამცირებს კორუფციის დონეს.** მონაწილეობით პროცესი ხელს უწყობს ღიაობისა და სერვისის მიწოდების ინსტიტუციური კულტურის შექმნას. ჩართულობის პროცესის ფარგლებში საზოგადოება უფრო დიდ ყურადღებას უთმობს და აკვირდება სახელმწიფო პროგრამების სათანადოდ განხორციელების პროცესს. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდას.<sup>80</sup> მაგალითად, 2001 წელს ფილიპინებში ადგილობრივი ხელისუფლებების რეფორმისტულმა ჯგუფებმა გადანაცვტიეს აქტიურად ჩაერთოთ მოქალაქეები სახელმწიფო შესყიდვების საჯარო მონიტორინგის პროცესში. მათი მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კორუფციის შემცირება, ანგარიშვალდებულებისა და სამართლიანობის პრინციპის

დანერგვით. მოქალაქეთა ჩართულობის შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნულმა აქტივობამ საგრძნობლად გაზარდა პროცესის გამჭვირვალობა და, შედეგად, მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფციის დონე.<sup>81</sup>

**მონაწილეობის პროცესი ეხმარება ადგილობრივ საჯარო უწყებებს გააუმჯობესონ საკუთარი შესაძლებლობები.** კერძოდ, პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან მუშაობის შედეგად მათ უვითარდებათ ფართო წარმოდგენა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შეხედულებებისა და საჭიროების შესახებ. მიღებული გამოცდილება და შექმნილი პრაქტიკული უნარები ეხმარება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მომავალში ეფექტურად წარმართონ კომუნიკაცია სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთან.<sup>82</sup>

მოცემულ თეორიასთან დაკავშირებით საინტერესოა ვიეტნამის გამოცდილების განხილვა. კერძოდ, ვიეტნამში სცადეს რეგულარულად გამოეკითხათ მოქალაქეები და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაენერგათ საჯარო უწყებების ეფექტურობის შეფასების ინდექსი. შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა მართვისა და საჯარო სერვისების ხარისხი.<sup>83</sup>

**მონაწილეობა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ნდობის ზრდასა და საჯარო უწყებების მიერ შემუშავებული და განხორციელებული პოლიტიკის ლეგიტიმაციას.** ლეგიტიმაცია, პოლიტიკური ან იურიდიული წესრიგის დამყარებისთვის აუცილებელი კომპონენტია.<sup>84</sup> საზოგადოების მონაწილეობა გადანყვეტილების მიღების პროცესში ამარტივებს გადანყვეტილების მიღების მიზეზების უკეთესად დასაბუთებას, რაც ხელს უწყობს მისი ლეგიტიმურობისა და სანდოობის ზრდას იმ საზოგადოებრივი ჯგუფების თვალში, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული გადანყვეტილების შემუშავებისა და მიღების პროცესში.<sup>85</sup> ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კმაყოფილების უფრო მაღალ დონეს, თუნდაც იმ მხარეებს შორის, რომლებმაც აღნიშნული გადანყვეტილების მიღების შემდეგ ვერ მიიღეს ის, რაც სურდათ.<sup>86</sup> შედეგად, ნაკლებია საჩივრები, წინააღმდეგობა და შეფერხება და ადგილობრივი ხელისუფლება ახერხებს გადანყვეტილების ეფექტურად და სწრაფად განხორციელებას.<sup>87</sup>

ხსენებულ თეორიას ადასტურებს ბრაზილიის ქალაქ პორტო ალეგრეს მონაწილეობითი ბიუჯეტირებისა და სოციალური აუდიტის გამოცდილება. კერძოდ, 1989 წელს, მას შემდეგ, რაც ბრაზილიის მუშათა პარტიამ მოიგო მუნიციპალური არჩევნები, ადგილობრივ საბჭოებს მიეცათ უფლება მოქალაქეებთან ერთად დამოუკიდებლად განეხილათ და გადაეწყვიტათ ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების გადანაწილების საკითხები. შედეგად, 1996 წლისთვის 18%-ით მეტ ოჯახს მიეწოდებოდა წყალი. გარდა ამისა, მუნიციპალური საკანალიზაციო სისტემის დაფარვის არეალი 39%-ით გაიზარდა, ხოლო სკოლებში ბავშვების რიცხვი გაორმაგდა. ასევე, დეცენტრალიზაციისა და მოქალაქეთა ჩართულობის წარმატებულმა პოლიტიკამ პორტო ალეგრეში გაზარდა მოქალაქეების ნდობა ხელისუფლების მიმართ და გაზარდა მათი მოტივაცია, გადაეხადათ გადასახადები. შედეგად, ადგილობრივი მთავრობების შემოსავლები 50%-ით გაიზარდა.<sup>88</sup>

**მონაწილეობა ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული დაძაბულობისა და კონფლიქტების მოგვარებას** — ჩართულობის შედეგად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს ხშირად უწევთ ერთმანეთთან კომუნიკაცია და დისკუსია. შედეგად, ფართოვდება მათი აზროვნების თვალსაწიერი, რაც ხელს უშლის დოგმატური წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ზრდის ნდობის ხარისხს.<sup>89</sup> საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტის გამომწვევი ძირითადი მიზეზი დეზინფორმაციაა, მაშინ, როცა გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა აძლევს შესაძლებლობას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს ისაუბრონ ერთმანეთში, დაამსხვრიონ ერთმანეთზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპები და დაიწყონ კონსტრუქციული თანამშრომლობა.<sup>90</sup> მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში 2013 წელს გამოქვეყნებული კვლევა ადასტურებს, რომ გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობამ ხელი შეუწყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირების ნაწილობრივ განმუხტვასა და დაძაბულობის შემცირებას.<sup>91</sup>

- **მონაწილეობის პროცესი აუმჯობესებს საჯარო ფინანსების მართვის პრაქტიკას** – კერძოდ, მოქალაქეთა მონაწილეობის შედეგად შესაძლებელი ხდება ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან არიდება სერვისების მოსახლეობის საჭიროებისამებრ დაგეგმვის გზით.<sup>92</sup> მაგალითად, მსოფლიო ბანკის დაკვეთით 1999 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომელიც აღწერს წყლის სერვისების დეცენტრალიზებულ მიწოდებას ინდონეზიაში, აჩვენებს, რომ სერვისები მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული, როდესაც ბენეფიციარები უშუალოდ იყვნენ ჩართულნი სერვისის შემუშავებასა და შერჩევაში. კვლევის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობით გამოიკვეთა, რომ თემის წევრები მზად იყვნენ მეტი გადაეხადათ და მიეღოთ წყლის მიწოდების ხარისხიანი სერვისი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გარეშე ადგილობრივი ადმინისტრატორები არჩევდნენ მიწოდებინათ შედარებით უხარისხო სერვისი უფრო დაბალ ფასად.<sup>93</sup>
- **მონაწილეობა ამარტივებს გადასახადების ამოღებას** – პოლიტიკის შემუშავება ან პოლიტიკის რეფორმა მოითხოვს მრავალფეროვან და კომპლექსურ ინფორმაციასა და გამოცდილებას. როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ფართო ჩართულობის შედეგად შესაძლებელი ხდება მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება. შედეგად იზრდება მოქალაქეთა კმაყოფილება და ისინი მეტ მზადყოფნას გამოხატავენ გადაიხადონ მიწოდებული სერვისის საფასური.<sup>94</sup> აღნიშნულს ადასტურებს ბრაზილიის ქალაქ პორტო ალეგრეს მონაწილეობითი ბიუჯეტირებისა და სოციალური აუდიტის გამოცდილება. მონაწილეობითი ბიუჯეტირებისა და მოქალაქეთა ჩართულობის წარმატებულმა პოლიტიკამ პორტო ალეგრეში გაზარდა მოქალაქეების ნდობა ხელისუფლების მიმართ და ასევე მათი მოტივაცია გადაეხადათ გადასახადები. შედეგად, ადგილობრივი მთავრობების შემოსავლები 50%-ით გაიზარდა.<sup>95</sup>
- **მონაწილეობა ხელს უწყობს ინოვაციური იდეების აღმოჩენასა და მენარმეობის განვითარებას** – ჩართულობის პროცესის შედეგად მარტივდება ინოვაციური იდეების აღმოჩენა, რადგან პროცესში ბევრი ადამიანი მონაწილეობს, შესაბამისად, იდეებიცა და მიდგომებიც მრავალფეროვანია.<sup>96</sup> შედეგად, შესაძლებელი ხდება მენარმეობის (Entrepreneurship) პრინციპზე დაფუძნებით პრობლემების გადაწყვეტა. ამის ნათელი მაგალითია, სახელმწიფო ინოვაციური ფონდი NESTA დიდ ბრიტანეთში, რომელიც ხშირად ატარებს ინოვაციური იდეების კონკურსს და ხელს უწყობს მენარმეობის განვითარებას.<sup>97</sup>

- **მონაწილეობა ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის დაგროვებას** – სოციალური კაპიტალი გულისხმობს სოციალური ორგანიზაციის (პრინციპების, ნორმების, სტრუქტურების) იმ თავისებურებებს, რომელთაც შეუძლიათ განამტკიცონ საზოგადოების მიერ განხორციელებულ კოორდინირებულ მოქმედებათა ეფექტიანობა.<sup>98</sup> კაპიტალის სხვა ფორმების მსგავსად სოციალური კაპიტალიც საწარმოო კაპიტალია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვასორციელოთ გარკვეული მიზნები, რომლებიც მიუღწეველია მისი არარსებობის შემთხვევაში, მაგალითად, ჯგუფს, რომლის წევრებიც ერთმანეთს ენდობიან, გაცილებით უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე ჯგუფს, რომელშიც ასეთი ნდობა არ არსებობს.<sup>99</sup> სოციალური კაპიტალი ბადებს თანამშრომლობისაკენ ლტოლვას. ჩართულობის პროცესს შეუძლია ადამიანების დაახლოება, მოქალაქეებს შორის ნდობის ჩამოყალიბება, მათი გაძლიერება და სოციალური წრის გაფართოება. ეს კი დადებითად აისახება სოციალური კაპიტალის დაგროვებაზე და მოქალაქეები ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის შედეგად უფრო ეფექტიანად ასწავლებენ საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტას.<sup>100</sup> მაგალითად, 2006 წელს, რუანდაში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ჩართულობის პროცესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ხელახლა შეკავშირებასა და სოციალური კაპიტალის დაგროვებაში.<sup>101</sup>

- **მონაწილეობის პროცესი ხელს უწყობს საზოგადოების ერთიანობას** – ჩართულობის პროცესის შედეგად მოქალაქეებს უყალიბდებათ საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობა<sup>102</sup>. შედეგად, ისინი იწყებენ საზოგადოების სხვა წევრების პატივისცემას და მეტად ენდობიან სხვებს. ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული კონფლიქტებისა და სტერეოტიპების შემსუბუქებას და აყალიბებს ტოლერანტულ საზოგადოებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესო ემპირიულ არგუმენტებს გვთავაზობს ნიდერლანდებში 2006 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომელიც ამტკიცებს, რომ მოქალაქეთა ჩართულობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოების ხელახლა გაერთიანებაში.<sup>103</sup>
- **მონაწილეობა ამაღლებს ცნობიერებას და საგანმანათლებლო ფუნქციის მეშვეობით აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეებს** – ჩართულობის ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის, რომლებიც ახლა ყალიბდებიან სახელმწიფოებად. მათ არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქის ჩამოყალიბებული კონცეფცია და განცდა. შესაბამისად, მოქალაქეთა ჩართულობა გადანყვეტილების მიღების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ქვეყნებისთვის, რათა მათ შეძლონ დემოკრატიული სახელმწიფოსა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა.<sup>104</sup> მაგალითად, მიანმარში 2015 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანების უმეტესობას არ ჰქონდა განცდა, რომ ისინი იყვნენ მიანმარის, როგორც სახელმწიფოს, მოქალაქეები. შედეგად, ხელისუფლებამ გადანყვიტა სხვა მექანიზმებთან ერთად ჩართულობის მეთოდის გამოყენებინა, რათა გადაეტრა აღნიშნული პრობლემა<sup>105</sup>.

## 1.5 მოქალაქეთა მონაწილეობა ინდივიდუალური/კერსონალური განვითარებისთვის

გარდა ადგილობრივი თემისთვის მოტანილი სარგებლისა, გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას სხვადასხვა სარგებლის მოტანა შეუძლია მოქალაქისთვის ინდივიდუალურად. მათ შორის გამოსარჩევია, თავდაჯერებულობისა და თვითშეფასების ზრდა, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩართულობა ხელს უწყობს ინდივიდში ლიდერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და ბედნიერებისა და კმაყოფილების გრძნობის გაჩენას. და ბოლოს, ჩართულობის მეშვეობით ინდივიდები იძენენ ფართო სანაცნობო წრეს და იუმჯობესებენ დასაქმების შანსებს. ქვემოთ მიმოხილულია აღნიშნული თორიები და მისი მხარდამჭერი პრაქტიკული არგუმენტები.

- **მონაწილეობა ზრდის თავდაჯერებულობას და თვითშეფასებას.** მონაწილეობა ხშირად განიხილება, როგორც „სოციალური თერაპია“ საზოგადოებისგან გარიყული მონაცვლადი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის.<sup>106</sup> გადანყვეტილების პროცესში ჩართულობა აუმჯობესებს მათ თვითშეფასებას და ეხმარება პიროვნულ ზრდაში.<sup>107</sup> სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა ეხმარება მოქალაქეს იპოვოს საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა წრე, რომელიც მას გვერდში დაუდგება საჭიროების შემთხვევაში.<sup>108</sup> მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ავტორებმა გამოჰკითხეს მოქალაქეები, რომლებიც აქტიურად იყვნენ სხვადასხვა ფორმით ჩართულნი გადანყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხულთა 78%-ის თქმით, აღნიშნული აქტივობები მათ დაეხმარა თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის ზრდაში, ასევე, ლიდერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.<sup>109</sup>
  - **მონაწილეობა ავითარებს პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს.** მონაწილეობის მეშვეობით ინდივიდები ახდენენ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზაციას.<sup>110</sup> ჩართულობა აღიქმება როგორც სოციალური ტრენინგი, რომელიც ეხმარება ინდივიდს გამოიმუშაოს პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, რათა საკუთარი ქმედებებით ხელი შეუწყოს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესს.<sup>111</sup>
- აღნიშნულ თეორიასთან დაკავშირებით, საინტერესოა მალაიზიაში 2016 წელს ჩატარებული კვლევა, რომელმაც მასში მონაწილე 400 სტუდენტში ჩართულობასა და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას შორის დადებითი კავშირი გამოავლინა.<sup>112</sup>

□ **მონაწილეობა აუზობასებს კომუნიკაციისა და საჯარო გამოსვლის უნარებს** – ჩართულობის პროცესი თავის არსში გულისხმობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან აქტიურ ინტერაქციას. რეგულარული ინტერაქცია იძლევა საკომუნიკაციო უნარების განვითარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ჩართულობის პროცესი ხშირად მოიცავს საჯარო გამოსვლის შესაძლებლობებსაც, მაგალითად, როგორცაა ქალაქის საბჭოს შეკრებები, პრეზენტაციები და ვორქშოპები. აღნიშნულ ღონისძიებებში ხშირი მონაწილეობისა და პრაქტიკის შედეგად მოქალაქეები ხდებიან თავდაჯერებულნი და აღარ ნერვიულობენ საჯაროდ სიტყვით გამოსვლისას.<sup>113</sup>

მაგალითად, 2004 წელს ინგლისში ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოჰკითხეს სათემო ინიციატივაში მონაწილე მოქალაქეები. გამოკითხულთა 78%-მა განაცხადა, რომ სათემო შეხვედრებსა და დისკუსიებში მონაწილეობის შედეგად მათი კომუნიკაციისა და საჯარო გამოსვლის უნარები საგრძნობლად გაუმჯობესდა.<sup>114</sup>

□ **მონაწილეობა ზრდის დასაქმების პრესაქტივებს, რადგან ქმნის ფართო სანაცნობო წრეს და ავითარებს კრიტიკულად აზროვნების მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს** – ჩართულობის პროცესის შედეგად მოქალაქეს უყალიბდება ფართო სანაცნობო წრე, სადაც მარტივად ხდება ინფორმაციის გაცვლა დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. მოქალაქეები ხშირად უზიარებენ ერთმანეთს კარიერულ რჩევას და უწევენ რეკომენდაციას დამსაქმებელთან<sup>115</sup>. ინფორმაციის გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა საქმე გამოუქვეყნებელ ვაკანსიებს ეხება. ამასთანავე, ჩართულობის პროცესის შედეგად მოქალაქეებს უყალიბდებათ სხვადასხვა სასარგებლო უნარ-ჩვევა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ლიდერის თვისებები, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და ა.შ.<sup>116</sup>

აღნიშნულ თეორიასთან დაკავშირებით საინტერესოა 2018 წელს შოტლანდიაში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც სათემო ჩართულობის ინიციატივების შედეგად შესაძლებელი გახდა ჯანდაცვის სექტორისთვის ახალი კადრების, კერძოდ, ექთნებისა და სანიტრების მოძიება და დასაქმება.<sup>117</sup>

□ **მონაწილეობა ხელს უწყობს მენარმეობის განვითარებას, რადგან იძლევა დაუკმაყოფილებელი საჭიროებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.** ჩართულობის გზით მენარმეები იგებენ რა პრობლემები და საჭიროებები გააჩნია ადგილობრივ საზოგადოებას. ეს პროცესი მათ საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ ბაზარზე არსებული შესაძლებლობები. ჩართულობა ასევე ხელს უწყობს სოციალური მენარმეობის განვითარებას. ასეთ შემთხვევაში მენარმეების მთავარი მიზანი სამენარმეო საქმიანობით სოციალური პრობლემის გადაჭრაა და არა ფინანსური შემოსავალი.<sup>118</sup>

□ **მონაწილეობა გვანიჭებს კმაყოფილებისა და ბედნიერების შეგრძნებას.** ჩართულობა ავითარებს მიზნის განცდას. მოქალაქეები ხვდებიან, რომ ჩართულობით ისინი კონკრეტულ სასარგებლო მიზანს ემსახურებიან. ასევე, ისინი იძენენ მეგობრებს და თავს გრძნობენ კონკრეტული სოციალური ჯგუფის ნაწილად. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა აქტიურ მოქალაქეებს სახალხოვად აღიარებენ და აქებენ, ჯამში, ეს ყველაფერი მოქალაქეებს კმაყოფილებასა და ბედნიერებას ანიჭებს.<sup>119</sup>

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1999 და 2002 წლებში ჩატარებული ორი სხვადასხვა კვლევის შედეგი ადასტურებს აღნიშნულ თეორიას. კერძოდ, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის განცხადებით, სათემო ინიციატივებში ჩართვის შემდეგ ისინი საკუთარი აქტივობით კმაყოფილებას გრძნობდნენ.<sup>120</sup>

□ **მონაწილეობა გვასწავლის ლიდერობას და გვივითარებს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო უნარ-ჩვევებს.** ჩართულობა ეხმარება ინდივიდს გაიაზროს ადგილობრივი თემის კოლექტიური საზრუნავი, ძლიერი და სუსტი მხარეები, საჭიროებები და თავისი წვლილი შეიტანოს დადებითი ცვლილებების ინიცირების პროცესში.<sup>121</sup> უნარები, ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც მოქალაქეები იძენენ გადაწყვეტილების მიღების

პროცესში ჩართულობის დროს აქცევს მათ დადებითი ცვლილებების აგენტებად და აუმჯობესებს მათ ლიდერულ, მართვით და გადამწყვეტილების მიღების უნარებს.<sup>122</sup> ჩართულობა ასევე ეხმარება მოქალაქეებს საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი ძალებით შეძლონ პრობლემების გადაჭრის ინიცირება და მოლაპარაკებების საფუძველზე მიაღწიონ შეთანხმებას ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.<sup>123</sup>

მაგალითად, 2000 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტში 22 236 სტუდენტს შორის ჩატარებული კვლევა ადასტურებს საჯარო ჩართულობისა და ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარების დადებით ურთიერთკავშირს.<sup>124</sup>

**□ მონაწილეობა მსახურებას გვაქვს მნიშვნელოვანი ფართო კავშირები და მნიშვნელოვანი სოციალური კაპიტალი.** მონაწილეობის პროცესში, დისკუსიებისა და საკითხების განხილვების დროს, მოქალაქეს წარმოადგენს ექმნება მისგან განსხვავებული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლების შეხედულებების, ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ. ეს ხელს უწყობს ინდივიდში შემწყნარებლური ბუნების ჩამოყალიბებას და ის უფრო ტოლერანტული ხდება საზოგადოებაში არსებული განსხვავებების მიმართ.<sup>125</sup> გამომდინარე აქედან, მოქალაქეს უყალიბდება ნდობა საზოგადოების სხვა წევრების მიმართ და უჩნდება მათთან თანამშრომლობის სურვილი, რაც, საბოლოო ჯამში, სოციალური კაპიტალის დაგროვებას უწყობს ხელს. შედეგად, შესაძლებელი ხდება საზოგადოებაში არსებული კონფლიქტებისა და დაპირისპირებების მშვიდობიანი მოგვარება.<sup>126</sup> 2006 წელს ბრიტანეთში ჩატარებული კვლევა მოწმობს, რომ მოქალაქეთა ჩართულობის პროცესმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალური კაპიტალის დაგროვებაში.<sup>127</sup>

## 1.6 დეცენტრალიზაციისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ურთიერთდამოკიდებულება

დეცენტრალიზაციისა და მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების დასასაბუთებლად მთავარი არგუმენტი ადგილობრივი ხელისუფლების სიახლოვე მოქალაქეებთან, რაც დეცენტრალიზაციის პროცესის შედეგად მიიღწევა.<sup>128</sup>

მოსახლეობის საჭიროებები განსხვავდება რეგიონების მიხედვით, ხოლო ადგილობრივი საჭიროებები ყველაზე უკეთ რეგიონში მყოფმა ხელისუფლებამ იცის, შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლება უკეთესად რეაგირებს მოსახლეობის საჭიროებებზე. მათ ადგილობრივი მოქალაქის გადამწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გზით უკეთ შეუძლიათ მათზე მორგებული სერვისებისა და პროგრამების შემუშავება და მიწოდება. მაშინ, როცა ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში, ადგილობრივ თემებს ძირითადად ერთფეროვან, სტანდარტიზებულ სერვისებს აწვდიან, რომლებიც ნაკლებად არის მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე.<sup>129</sup>

დეცენტრალიზაციისა და მონაწილეობას შორის არსებობს პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულება. ერთი მხრივ, ჩართულობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დეცენტრალიზაციის პროცესის საბოლოო მიზანი, რადგან დეცენტრალიზაციის პროცესის საშუალებით, შესაძლებელი ხდება ხელისუფლების ხალხთან დაახლოება და, შედეგად, მარტივდება მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შექმნა. მეორე მხრივ, მოქალაქეთა ჩართულობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დეცენტრალიზებული მმართველობის ეფექტიანობის ზრდის მექანიზმი, რადგან ჩართულობის პროცესი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ინდივიდუალური თუ კოლექტიური ქმედებებით მიაწვდიონ ხმა ხელისუფლებას და მოახდინონ აუცილებელი ზეწოლა მათზე, რათა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სათანადოდ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები.

ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაციის ხარისხი მეტწილად განსაზღვრავს მოქალაქეთა და მმართველების როლებსა და ფუნქციებს გადამწყვეტილების მიღების პროცესში<sup>130</sup>. ქვემოთ განხილული თეორიების ანალიზის საფუძველზე იკვეთება დეცენტრალიზაციის ტიპისა და ხარისხის მიხედვით, რა სახის ურთიერთდამოკიდებულება არსებობს მოქალაქეთა ჩართულობასა და დეცენტრალიზაციას შორის.

## მოქალაქეთა და საჯარო მოხელეთა (მმართველთა) ურთიერთობა დაბალი დეცენტრალიზაციის მქონე ქვეყნებში:

**მოქალაქე, როგორც სუბიექტი/საჯარო მოხელე, როგორც მმართველი:** ასახავს გადაწყვეტილების მიღების სისტემას, რომელშიც საჯარო მოხელე მოქმედებს ავტორიტეტული ფიგურის სახელით, გასცემს ბრძანებას და მოქალაქე კი ემორჩილება. ხელისუფლება აკონტროლებს სისტემას და მმართველები თითქმის აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობენ მოქალაქეებზე. მმართველობის ეს ფორმა ეფუძნება ხისტ ბიუროკრატიულ სტრუქტურას და არადემოკრატიულ კულტურას<sup>131</sup>. მოქალაქისა და საჯარო მოხელის ურთიერთობის ეს ფორმა არნშტეინის მოდელში აღწერილი არამონანწილეობის დონის ფარგლებში არსებული ურთიერთობების მსგავსია.

**მოქალაქე, როგორც კლიენტი/საჯარო მოხელე, როგორც სერვისის მიმწოდებელი** – აღნიშნულ მოდელში მოქალაქეები აღიქმებიან როგორც სახელმწიფო სერვისების პასიური მომხმარებლები. მათი ურთიერთობა მთავრობასთან, უპირველეს ყოვლისა, ხდება ტრანზაქციებისა ან საჩივრების საფუძველზე. ურთიერთობა, ძირითადად ცალმხრივია და მოქალაქეთა აქტიურობა მეტწილად შემოიფარგლება მცდელობით გაარკვიონ, რას სთავაზობს მათ მთავრობა.<sup>132</sup>

**მოქალაქე, როგორც ამომრჩეველი/საჯარო მოხელე, როგორც განმახორციელებელი:** ასახავს წარმომადგენლობით დემოკრატიას, სადაც საჯარო მოხელეები პასუხისმგებელნი არიან არჩეული თანამდებობის პირების მიმართ და მოქალაქეები ხმას აძლევენ იმ პირს, რომელიც, მათი აზრით, საუკეთესოდ წარმოადგენს მოქალაქეთა ინტერესებს. ასეთ სისტემაში საჯარო მოხელეები არიან საჯარო პოლიტიკის განმახორციელებლები. მოქალაქეები აფიქსირებენ თავიანთ აზრს საარჩევნო ყუთთან და ეყრდნობიან არჩეული თანამდებობის პირებისა და მმართველთა გამოცდილებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობას მათი სახელით მოქმედებისთვის.<sup>133</sup>

**მოქალაქე, როგორც კლიენტი/საჯარო მოხელე, როგორც ექსპერტი:** ასახავს ტრადიციულ საჯარო ადმინისტრაციას, სადაც საჯარო მმართველი, როგორც ექსპერტი, იღებს რაციონალურ, ღირებულებებისგან დაცვილ გადაწყვეტილებებს. მოქალაქეები განიხილებიან როგორც კლიენტები, რომლებიც ენდობიან და ეყრდნობიან პროფესიონალი ბიუროკრატის გამოცდილებას და დამოკიდებულნი არიან მასზე. აღნიშნული სისტემის პირობებში მიიჩნევა, რომ მოქალაქეებს არ გააჩნიათ ცოდნა, დრო და გამოცდილება მუდმივად იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამიტომ ისინი საქმეში ერთვებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ამას საჯარო მმართველები სთხოვენ, მაგრამ სხვა შემთხვევებში მშვიდად იღებენ და ეთანხმებიან ადმინისტრატორების ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს.<sup>134</sup>

## მოქალაქეთა და საჯარო მოხელეთა ურთიერთობა საშუალო და მაღალი დეცენტრალიზაციის მქონე ქვეყნებში:

**მოქალაქე, როგორც მომხმარებელი/საჯარო მოხელე, როგორც მენარმე:** ასახავს ახალ საჯარო მენეჯმენტს, სადაც საჯარო მოხელე იყენებს კერძო სექტორის მსგავს, მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომას. აქცენტი კეთდება პასუხისმგებლობასა და მომხმარებელთა მომსახურებაზე. მოქალაქე, იმყოფება პასიურ, თვითმომსახურების რეჟიმში. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს მრავალფეროვანი მომსახურების მიწოდების რეჟიმების ჩამოყალიბებას კერძო სექტორთან სხვადასხვა სახის პარტნიორობისა მექანიზმების მეშვეობით, ამიტომ მთავრობა აღარ არის მომსახურების პირდაპირი, ერთადერთი მიმწოდებელი და მოქალაქეებს აქვთ არჩევანი.<sup>135</sup>



**მოქალაქე, როგორც თანამშრომლებელი/საჯარო მოხელე, როგორც თანამშრომლებელი:** ასახავს ერთობლივი წარმოებისა და თანამშრომლობის იდეალს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეები და საჯარო მოხელეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან პრობლემების გადასაჭრელად. ურთიერთობა ეფუძნება აქტიურ პარტნიორობას, რათა ერთობლივად უზრუნველყონ ადგილობრივი თემის სიძლიერე და სიჯანსაღე. აღნიშნული მოდელი მიმზიდველია ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის, რადგან ის შესაძლებელს ხდის ხარჯების შემცირებას სერვისის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების გარეშე.<sup>136</sup>

**მოქალაქე, როგორც ინვესტორი/საჯარო მოხელე, როგორც ბროკერი:** ასახავს ღირებულებებზე ორიენტირებულ მენეჯმენტს, რომელშიც მოქალაქეები აღიქმებიან, როგორც ინვესტორები და აქციონერები, ხოლო საჯარო მმართველები მოქმედებენ, როგორც ბროკერები, რომლებიც ახორციელებენ ინვესტირებას აქციონერების (მოქალაქეების) სახელით, რათა მაქსიმალურად გაზარდონ სარგებელი საზოგადოებისთვის და ინდივიდუალური მოქალაქისთვის. ურთიერთობა მოქალაქეებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ემყარება თანამშრომლობას. მოქალაქეთა საერთო ინტერესსა და მუდმივ თანამშრომლობაზე ხაზგასმა ხელს უწყობს საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნასა და გაზიარებას.<sup>137</sup>

**მოქალაქე, როგორც მესაკუთრე/საჯარო მმართველი, როგორც თანამშრომელი:** ასახავს მოდელს, რომელშიც მოქალაქეები აკონტროლებენ გადანაცვტილების მიღების სისტემას და საჯარო მმართველები ემორჩილებიან და იცავენ მფლობელების გადანაცვტილებებს. როგორც მესაკუთრეებს, მოქალაქეებს აქვთ ვალდებულება ითამაშონ აქტიური როლი სახელმწიფო სერვისების მიწოდების პროცესში.<sup>138</sup>

**მოქალაქე, როგორც მესაკუთრე/საჯარო მმართველი, როგორც შემსრულებელი** – მესაკუთრის მოდელი მოქალაქეებს განიხილავს, როგორც ძალაუფლების მფლობელებს. მათ აქვთ მოვალეობა, ითამაშონ აქტიური როლი სამთავრობო სერვისების გაუმჯობესებაში, გადანაცვტილების მიღებაში, ხელისუფლების ქმედებების ინიცირებაში და მთავრობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაში.<sup>139</sup>

განხილული მოდელები და თეორიები გვეხმარება მოქალაქისა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთქმედების ვიზუალიზაციასა და მოქალაქე-საჯარო მმართველის ურთიერთობისა და თანამშრომლობის დინამიკის კონცეპტუალიზაციაში. ანალიზი აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია დეცენტრალიზაციის ხარისხი, უფრო აქტიურად არიან ჩართულნი მოქალაქეები გადანაცვტილების მიღების პროცესში და, შესაბამისად, უფრო იზრდება მიღებული გადანაცვტილებისა და გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობა.<sup>140</sup> აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული როლები არ არის ურთიერთგამომრიცხავი. მოქალაქე შეიძლება იყოს ერთდროულად სუბიექტი, ამომრჩეველი, მომხმარებელი და თანამშრომლებელი, მაგრამ დროის კონკრეტულ მონაკვეთში, მოქალაქის ურთიერთობისას კონკრეტულ სააგენტოსთან დომინირებს მის მიერ შესრულებული ერთ-ერთი როლი.<sup>141</sup>

არსებობს პირდაპირი კავშირი დეცენტრალიზაციას, მოქალაქეთა ჩართულობას, დემოკრატიასა და განვითარებას შორის.<sup>142</sup> შესაბამისად, განსახილველი საკითხია, თუ რა მასშტაბით უნდა ჩაერთონ მოქალაქეები გადანაცვტილების მიღების პროცესში და არა, ის, ზოგადად, სასურველია თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადანაცვტილების მიღების პროცესში.

## თავი II.

# ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება საქართველოში

სახელმძღვანელოს მეორე თავი იწყება საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმოხილვით. იმისათვის, რომ მკითხველმა უკეთ განსაზღვროს და დაინახოს ჩართულობის შესაძლებლობები, აღნიშნული ნაწილი მოკლედ აღწერს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების სახეებსა და შინაარსს, ისევე, როგორც საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. აქვე განმარტებულია როგორ ახორციელებენ მუნიციპალურ დონეზე მმართველობას საკრებულოსა და მერიის ორგანოები და აღწერილია რვა ძირითადი სახის გადაწყვეტილება მისი შემადგენელი ეტაპებით, რომლებშიც მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ საკანონმდებლო გარანტიებით და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მიიღონ მონაწილეობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით *„საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის<sup>1</sup> პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან.“*

დეცენტრალიზაციის პროცესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში იწყება 1997 წელს, როცა მიიღეს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომლის საფუძველზეც 1998 წელს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები და თვითმმართველმა ერთეულებმა დაიწყეს ფუნქციონირება.

2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია. ევროპული ქარტია საქართველოსთან მიმართებით ძალაშია 2005 წლის 1 აპრილიდან.<sup>143</sup> ევროპული ქარტიის რატიფიცირებამ საფუძველი დაუდო დეცენტრალიზაციის რეფორმის შემდგომ განვითარებას. 2005 წელს მიიღეს ახალი კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომლის შესაბამისად 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგად, ადგილობრივი მმართველობა ჩანაცვლდა ადგილობრივი თვითმმართველობით.

2010 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, რომლებიც შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობის საკონსტიტუციო გარანტიებს. კონსტიტუციას დაემატა ახალი თავი „ადგილობრივი თვითმმართველობა“, რომლითაც აღიარებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები.

საქართველომ დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით საკმაოდ გრძელი და რთული გზა განვლო<sup>2</sup>, რომლის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ 2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ დოკუმენტის – „დეცენტრალიზაციისა და

<sup>1</sup> სუბსიდიარობის პრინციპი - პრინციპი გულისხმობს გარკვეულ ფუნქციასა და კომპეტენციას განხორციელებას ხელისუფლების იმ დონისა და ორგანოების მიერ, რომლებიც მაქსიმალურად ახლოს არიან მოქალაქეებთან, რათა გათვალისწინებული იყოს თითოეული მოქალაქის სურვილები და მოსაზრებები.

<sup>2</sup> 1991 წლიდან 2015 წლამდე ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში არსებული ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების აღწერის, განვლილი გზის განხილვისა და გაანალიზების მცდელობას შეგიძლიათ გაეცნოთ იხ. ლინკი [https://osgf.ge/files/2015/Publication/adgilobrivi\\_demokratiis\\_ganvitarebis\\_angarishi\\_1991-2014\\_bolo.pdf](https://osgf.ge/files/2015/Publication/adgilobrivi_demokratiis_ganvitarebis_angarishi_1991-2014_bolo.pdf)

თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისათვის<sup>145</sup> დამტკიცება, რომელიც დეცენტრალიზაციის, სრულყოფილი და ეფექტური თვითმმართველობის განსახორციელებლად საჭირო რეფორმის ძირითად მიმართულებებად განიხილავდა:

- საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირებას თითოეულ დასახლებაში;
- მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიულ ოპტიმიზაციასა და გაძლიერებას;
- სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრებას;
- სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნას;
- რეფორმირების პროცესის სამართლებრივ, ტექნიკურ და რესურსულ უზრუნველყოფას.

2013 წელს საქართველოს ხელისუფლების განაცხადი რეალური დეცენტრალიზაციის რეფორმის შესახებ, ევროპის საბჭოს მიერ დადებითად და მეტად ამბიციურ გეგმად შეფასდა.<sup>146</sup>

2014 წელს მიიღეს ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“<sup>147</sup>, კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლე იყო ის, რომ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მოსახლეობამ პირდაპირი კენჭისყრით აირჩია როგორც წარმომადგენლობითი, ისე აღმასრულებელი ორგანო – გამგებელი/მერი, 2015 წელს შემოიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმები.

2017 წელს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში (პრაქტიკულად, მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია), რომელმაც შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ახალი, დამატებითი კონსტიტუციური გარანტიები. კერძოდ, კონსტიტუციით აღიარებულ იქნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა გამიჯვნა დაეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ფინანსური სახსრების შესაბამისობა თვითმმართველი ერთეულის ორგანული კანონით დადგენილ უფლებამოსილებებთან. ასევე, კონსტიტუციით აღიარებულ იქნა, რომ თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები უნდა იყოს არა მხოლოდ ექსკლუზიური, არამედ სრული.<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუციით მოცემული ეს დამატებითი გარანტიები ქმნის უმთავრეს სამართლებრივ საფუძველს დეცენტრალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი – ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაქმნელად.

„თითოეული მოქალაქისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფის თავისუფალი განვითარება, სრულფასოვანი საზოგადოებრივი მომსახურების წარმოება შეუძლებელია მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში. იმისათვის, რომ მმართველობის სისტემამ ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფილ იქნას მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აუცილებელია მმართველობითი უფლებამოსილებებისა და შესაბამისი რესურსების გადანაწილება მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის“ – სწორედ ამ სულისკვეთებით 2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგია.<sup>148</sup>

სტრატეგია მოიცავს სამ სტრატეგიულ მიზანს:

**სტრატეგიული მიზანი 1** – თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში;

**სტრატეგიული მიზანი 2** – ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით;

**სტრატეგიული მიზანი 3** – სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

<sup>3</sup> ექსკლუზიური და სრულია ისეთი კომპეტენციები, რომლებზეც გადაწყვეტილებების მიღება, განხორციელება, შეფასება ექსკლუზიურად მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება და ის დაცულია ხელისუფლების სხვა დონეების მხრიდან ჩარევისგან.

## 2.1 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება - მათი ძირითადი ფუნქციები

### 2.1.1 მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები

**□ მუნიციპალიტეტი** – თვითმმართველი ქალაქი ან დასახლებათა ერთობლიობა (ქალაქი, დაბა, სოფელი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ადმინისტრაციული ცენტრი, გააჩნია არჩევითი, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები.<sup>149</sup>

საქართველოში ხელისუფლება ორ დონედ არის გაყოფილი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, მათ შორის უფლებამოსილებები გამიჯნულია და მათი ურთიერთობა ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს. თვითმმართველი ერთეული – იგივეა, რაც მუნიციპალიტეტი.<sup>150</sup>

### მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები იყოფა ორ ნაწილად:

**საკუთარი** – რომელსაც მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.

**დელეგირებული** – სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონისა ან ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

ცალკეული მიმართულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს წარმოადგენს:

### საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილება და ქონების განკარგვა

- ბიუჯეტის დამტკიცება;
- საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

### მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმვა

- სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება;
- ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე, ამ მიზნით იურიდიული პირების დაფუძნება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

### დასუფთავება და გარემოს დაცვა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება;
- ტერიტორიის გამწვანება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენისა და გაშენების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენა, გაშენება, მოვლა, დაცვა და მასზე ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება;

## ინფრასტრუქტურის განვითარება

- ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- გარე განათების უზრუნველყოფა;
- წყალმომარაგებისა (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და საკანალიზაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის სარწყავი სისტემის განვითარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;
- ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება.

## განათლება

- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა (ბაგა-ბალები) და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა;

## სპორტი, კულტურა, ახალგაზრდობა

- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის, ბავშვზე მავნე ზეგავლენის აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

## სხვა საკითხები

- შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საბჭოებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდება;

## მუნიციპალიტეტის დაღვივრებაზე უფლებამოსილებებს წარმოადგენს:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- სამხედრო განვევის ორგანიზება;
- დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტა;
- ფიზიკური პირისთვის მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება და აღდგენა;
- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებები.



მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. ასეთი უფლებამოსილებები შეიძლება იყოს:

- დასაქმების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა;
- ტურიზმის განვითარება;
- მოსახლეობის სოციალური დახმარება;
- ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა;
- მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვა;
- საზოგადოებრივი განათლება;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;
- ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია;
- ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა;
- ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა;
- სხვა.

## 2.1.2 მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას მუნიციპალიტეტების საქმიანობის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება.

## 2.1.3 მუნიციპალური მმართველობა

მუნიციპალურ დონეზე მმართველობა ორ ძირითად ნაწილად იყოფა: გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილების აღსრულება. ძირითადი გადაწყვეტილებები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარდგინებით, წარმომადგენლობითი ხელისუფლების – საკრებულოს მეშვეობით მიიღება და ეს გადაწყვეტილებები აღსრულდება აღმასრულებელი ხელისუფლების – მერის მიერ. თანამედროვე თვითმმართველობა ყველა ამ პროცესში ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებსა და შესაძლებლობებს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლება – საკრებულო იქმნება, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების მიერ, აირჩევა 4 წლის ვადით და მის მიერ მიიღება **ხუთი მთავარი<sup>4</sup> გადაწყვეტილება**, რომლებშიც მოქალაქეთა მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ✓ ბიუჯეტის დამტკიცება (მერის წარდგინებით – ბიუჯეტის/ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა/ დამტკიცება);
- ✓ წესების დამტკიცება (მერის წარდგინებით – ნორმატიული აქტების მიღება);
- ✓ პოლიტიკის განსაზღვრა (მერის წარდგინებით – საშუალო ვადიანი, დარგობრივი, სივრცით-ტერიტორიული, სტრუქტურული განვითარების, დაგეგმვა);
- ✓ ქონების განკარგვა (მერის წარდგინებით – საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცება, ქონების გასხვისება, სარგებლობაში გადაცემა);
- ✓ მერის საქმიანობის ზედამხედველობა<sup>5</sup> (უნდობლობის გამოცხადების ინიცირება).
- ✓ საკრებულო ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება და უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას. მერის გადაწყვეტილებები, რომლებშიც მოქალაქეთა მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პირობითად **სამ ნაწილად** შეიძლება დაყვით:

- ✓ **გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება** (ბიუჯეტი და ბიუჯეტის ცვლილებები, ნორმატიული რეგულაციები, პოლიტიკის დოკუმენტები, ქონების განკარგვის საკითხები);

<sup>4</sup> გასათვალისწინებელია, რომ მერის გარდა საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების ინიცირება ასევე შესაძლებელია მოქალაქეთა მიერ პეტიციის გზით

<sup>5</sup> საკრებულოს მიერ მერის საქმიანობაზე ზედამხედველობის 20-ზე მეტი ფორმა არსებობს, თუმცა ეს მექანიზმები, გარდა უნდობლობისა, არ იცნობს მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტრუმენტებს ამ პროცესში.

- ✓ მუნიციპალური მომსახურებების მიწოდება;
- ✓ საბიუჯეტო (ძირითადად ინფრასტრუქტურული) პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება;
- ✓ მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

## 2.2 მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილება და მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები

თანამედროვე დემოკრატიული მართვა მმართველობის პროცესში მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს და მას უწყობს. მხოლოდ არჩევნები უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენს დემოკრატიულობის განმსაზღვრელ უმთავრეს პრინციპს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე დიდი შესაძლებლობები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეა.<sup>151</sup>

ამ დროს ხშირად ჩნდება სამი კითხვა:

- ✓ რომელია და რა ეტაპებისგან შედგება ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც მოქალაქეთა მონაწილეობა ორმხრივად სასარგებლოა როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის?
- ✓ მოქალაქეთა მონაწილეობის რომელი ინსტრუმენტების გამოყენება იქნებოდა ყველაზე რელევანტური?
- ✓ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოქალაქეებს და რა უნდა მოიმოქმედონ, თუ ეს მოლოდინები არ მართლდება?

აღნიშნულ ქვეთავში განმარტებულია გადაწყვეტილებები და მათი მიღების ეტაპები, განხილულია მოქალაქეთა მონაწილეობის რელევანტური ინსტრუმენტები და მათი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

### გადაწყვეტილება №1 – საბიუჯეტო სახსრების განაწილება<sup>152</sup>

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** — მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად გამიზნული შემოსულობებისა და გადასახდელების ერთობლიობა, რომლებიც გათვლილია ერთ წელზე და მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

#### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ივსება შემდეგი შემოსულობებით:

**გადასახადები** — მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოდის ქონების გადასახადი და ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადის, დღგ-ს წილი.<sup>6</sup>

**გრანტები** — მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა. მუნიციპალიტეტს სამი სახის ტრანსფერი გადაეცემა: კაპიტალური ტრანსფერი მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, სპეციალური ტრანსფერი სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების

<sup>6</sup> მუნიციპალიტეტებს შორის ნაწილდება ქვეყანაში მობილიზებული დამატებული ღირებულების (დღგ) 19%. დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება ხდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის, 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის, მუნიციპალიტეტის ფართობისა და მალალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით.



შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ და მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების<sup>7</sup> განსახორციელებლად, როგორც არის სამხედრო სამსახურში განვცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სხვა.

## სხვა შემოსავლები

მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონებისა და ბუნებრივი რესურსების განკარგვით მიღებული შემოსავლები, მოსაკრებლები (მშენებლობის ნებართვისთვის; დასუფთავების სერვისის მისაღებად; სამხედრო სავალდებულო განვცვის გადავადებისთვის; სათამაშო ბიზნესი) ჯარიმები და საურავები (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის, მუნიციპალური ზედამხედველობის მიერ გამოწერილი ჯარიმა და სხვა.)

ყველა ამ შემოსავლის წყარო არიან ის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ, ფლობენ ქონებას, ყიდულობენ და ყიდნიან პროდუქციას ან მომსახურებას, ფაქტობრივად, ყველა მოქალაქე ავტომატურად გადასახადის გადამხდელია, შესაბამისად, სწორედ მოქალაქეები არიან უფლებამოსილნი, რომ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული შემოსავლების განკარგვაში ანუ ბიუჯეტის განაწილებაში.

მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო სახსრების განაწილების პროექტს ადგენს მუნიციპალიტეტის მერი, ხოლო განხილავს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. ბიუჯეტის დამტკიცების მთლიანი პროცესი მოიცავს ქვემოდ ჩამოთვლილ ვადებსა და ეტაპებს, თუმცა საბიუჯეტო პროცესის ამსახველი ცხრილი მოიცავს მხოლოდ იმ ეტაპებს, რომლებშიც მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები მაღალია.

- ☑ **1 მარტი** (პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყება);
- ☑ **15 ივლისი** (დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების მიწოდება);
- ☑ **5 ოქტომბერი** (ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მიღება ფინანსთა სამინისტროდან);
- ☑ **15 ნოემბერი** – მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს;
- ☑ ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში შეტანიდან **5 დღეში** ქვეყნდება საჯარო განხილვისთვის;
- ☑ **25 ნოემბერი** – ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს შენიშვნებით უბრუნდება მერს;
- ☑ **10 დეკემბრისთვის** მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს;
- ☑ ბიუჯეტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს **20 დღისა** ფინანსთა სამინისტროს ეგზავნება პრიორიტეტების დოკუმენტი;
- ☑ ყოველი კვარტლის დასრულებიდან **1 თვის** ვადაში საკრებულოში შედის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა;
- ☑ საბიუჯეტო წლის დასრულებიდან **2 თვეში** საკრებულოში შედის წლიური შესრულების ანგარიში და 1-ელ მაისამდე საკრებულო ამტკიცებს ან არ ამტკიცებს.

<sup>7</sup> სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

ცხრილი #1 - საბიუჯეტო ციკლი და მონაწილეობის შესაძლებლობები

ეტაპი	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა	1 მარტი	მერი	მოქალაქეთა, საინიციატივო ჯგუფების, მრჩეველთა საბჭოების წერილობითი მიმართვა
ბიუჯეტის პროექტის მომზადება	15 ნოემბრამდე	მერი	დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა, საინიციატივო ჯგუფების წერილობითი საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება და წარდგენა
ბიუჯეტის პროექტის წარდგენა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის	15 ნოემბრამდე	მერი	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსა და სხვა თემატური მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე დასწრება და სათათბირო ხმის უფლებით აღნიშნულ სხდომებში მონაწილეობა.
ბიუჯეტის პროექტის წარდგენა საკრებულოში და საჯარო განხილვა	15 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე	მერი, საკრებულო	საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება, წერილობითი და ზეპირი ინიციატივების დაყენება; დასახლების საერთო კრებების ოქმების წარდგენა; განხილვის საჯაროობის უზრუნველყოფა და ამ პროცესში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ინტერესის გაზრდა;
საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ბიუჯეტის თავიდან წარდგენა და დამტკიცება	25 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე	მერი, საკრებულო	საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება, პროცესის შეფასება და შესაბამისი უკუკავშირის მიცემა, დამტკიცებული საბიუჯეტო პროგრამების შესახებ გზამკვლელების მომზადება შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისთვის.
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა	1 მაისამდე	საკრებულო	საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება.

**გადაწყვეტილება №2 – წესების დამტკიცება**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს, დაამტკიცოს წესები. წესები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე ქცევის ფორმებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა პირთა განუსაზღვრელი წრის მიერ. მუნიციპალიტეტის მიერ დასამტკიცებელი წესების არასრული ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მიწიჭების წესი;
- მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესი;

- მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესი;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი;
- მშენებლობის ნებართვის გაცემის და ექსპლუატაციაში მიღების წესები;
- გარე ვაჭრობის წესი;
- გარე რეკლამის განთავსების წესი;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების წესი;
- სასაფლაოების მართვის წესი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები;
- მიუსაფარ ცხოველთა მოვლა-პატრონობის წესი;
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში სხვა წესების დადგენა.



**გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ქვევის ზოგადი წესების დამტკიცება საკრებულოს ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს.**

მუნიციპალიტეტის მიერ ქვევის ზოგადი წესების დამტკიცებას არეგულირებს კანონი და სავალდებულოა დაცული იყოს კოლევგიური ორგანოს<sup>8</sup> მიერ ნორმატიული აქტის მომზადებისა და გამოცემის წესები. კერძოდ, კოლევგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

აღნიშნული წესების დამტკიცების პროცესში საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების გამოყენება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ავალდებულებს, რომ, უპირველესად, მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ იწყებს კონკრეტული წესის შემუშავებას, მათი მოსაზრებების წარსადგენად და საჭიროებების შესაფასებლად უზრუნველყოს შესაბამისი უკუკავშირის ფორმები. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის შედეგების გათვალისწინებით უნდა მომზადდეს პროექტი და, ასევე, მოქალაქეთა მონაწილეობით განხილული უნდა იყოს კომისიებში, ხოლო შემდეგ უკვე საკრებულოს სხდომაზე. ფაქტობრივად, მისი მომზადების, განხილვისა და დამტკიცების ყველა ეტაპზე გათვალისწინებულია მოქალაქეთა მონაწილეობა კანონით და კარგი პრაქტიკით გათვალისწინებულია მონაწილეობის შესაძლებლობები.

წესების დადგენის პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება და მოქალაქეებისთვის მონაწილეობის შემდეგ შესაძლებლობებს ქმნის (იხ.ცხრილი #2).

<sup>8</sup> ორგანო, რომელიც ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს.

ცხრილი #2 - წესების დადგენის ეტაპები და მონაწილეობის შესაძლებლობები

ეტაპი	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე - ნორმატიული აქტის ინიცირება	წელიწადის ნებისმიერ დროს	მერი, საკრებულო	პეტიცია, მრჩეველთა საბჭოების წერილობითი მიმართვა;
წერილობითი მოსაზრებების წარდგენა	20 დღე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან.	საკრებულო	მრჩეველთა საბჭოები, დაინტერესებული მხარეები;
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება	განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში	მერი, საკრებულო	პეტიცია, მოქალაქეთა, საინიციატივო ჯგუფების, მრჩეველთა საბჭოების წერილობითი მიმართვა;
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა და დამტკიცება	განისაზღვრება საკრებულოს მიერ	საკრებულო	საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება, წერილობითი და ზეპირი ინიციატივების დაყენება.

**გადაწყვეტილება №3 – პოლიტიკის განსაზღვრა**

პოლიტიკის განსაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ექსკლუზიური გადაწყვეტილებაა, თუმცა ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს – მერს გააჩნია. პოლიტიკის დოკუმენტის გადაწყვეტილებათა პროექტებს მერი შეიმუშავებს და ამტკიცებს საკრებულო.

საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 15 თებერვალს დაამტკიცა #264 განკარგულება „მუნიციპალიტეტის განვითარების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესის გონივრულად და შედეგიანად წარმართვა საჯარო მოხელეებისგან მოითხოვს მონაცემებისა და კვლევების გამოყენებას, ასევე, გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებაში მოქალაქეების ჩართულობას. ეფექტური მართვა გულისხმობს:

- მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენას;
- ადგილობრივი განვითარებისთვის კონკრეტული გეზის დასახვას, მის მისაღწევად საჭირო პოლიტიკის, სტრატეგიების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას;
- პროცესისა და შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას.

მუნიციპალიტეტის უმთავრესი პოლიტიკის დოკუმენტი არის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი<sup>9</sup>, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარო სფეროსა თუ სფეროებში პრობლემების გადაწყვეტისა ან/და საჯარო სერვისების განვითარების გზებს. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ასევე ხელმძღვანელობენ პოლიტიკის სექტორული თუ თემატური დოკუმენტებით (სტრატეგიები, გეგმები და სხვა). უმთავრესი პოლიტიკის დოკუმენტის მიღების ეტაპები – იხილეთ **ცხრილი #3**, გასათვალისწინებელია, რომ სხვა პოლიტიკის დოკუმენტების სტრუქტურაც ძირითადად ერთმანეთის მსგავსია და მოიცავს, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრას, სამუშაო ჯგუფის შექმნას, სიტუაციის ანალიზს, კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბებასა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრას, რომელსაც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპი ასრულებს. ასევე, თითოეული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე გათვალისწინებულია პროცესის საჯაროობისა და მონაწილეობის ინსტრუმენტები.

**ცხრილი #3 - პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების კლასიკური ფორმა და მონაწილეობის შესაძლებლობები**

ეტაპი	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
სამუშაო ჯგუფის შექმნა	საკითხის ინიცირებიდან ერთი კვირა	მერი	მოქალაქეების/მოქალაქეთა ჯგუფის/მრჩეველთა საბჭოების/ ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების/ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წერილობითი მიმართვა
სიტუაციის ანალიზის ჩატარება	სამუშაო ჯგუფის შექმნიდან 3 თვის ვადაში	სამუშაო ჯგუფი	მოქალაქეების/მოქალაქეთა ჯგუფის/მრჩეველთა საბჭოების/ ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების/ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ კვლევის პროცესში მონაწილეობა (ფოკუს ჯგუფები, გამოკითხვები, ინტერვიუ და ა.შ)
სტრატეგიული ჩარჩოს: ხედვის, მიზნების, ამოცანებისა და ლოგიკური ჩარჩოს მომზადება	სიტუაციის ანალიზიდან 1 თვის ვადაში	სამუშაო ჯგუფი	დოკუმენტის ამ ნაწილზე მუშაობა ძირითადად სამუშაო ჯგუფის ფორმატით მიმდინარეობს
სამოქმედო გეგმის მომზადება	სტრატეგიული ჩარჩოს შექმნიდან 1 თვის ვადაში	სამუშაო ჯგუფი	დოკუმენტის ამ ნაწილზე მუშაობა ძირითადად სამუშაო ჯგუფის ფორმატით მიმდინარეობს

<sup>9</sup> მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი იქმნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესების ცხოვრებაში გატარებისთვის. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. დოკუმენტის შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების დეტალური ინსტრუქცია დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #264 განკარგულებით „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“.

ეტაპი	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
პოლიტიკის დოკუმენტის/ სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის პროექტის საჯარო განხილვები	დოკუმენტის პროექტის შექმნიდან 1 თვის ვადაში	სამუშაო ჯგუფი	მოქალაქეების/მოქალაქეთა ჯგუფის/მრჩეველთა საბჭოების/ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობა, წერილობითი და ზეპირი შენიშვნების/რეკომენდაციების მიწოდება
დოკუმენტისა და დაბუსტებული სამოქმედო გეგმის წარდგენა საკრებულოზე და დამტკიცება / ცვლილებების შეტანა	15 ოქტომბრამდე <sup>10</sup>	მერი, საკრებულო	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება
განხორციელება/ მონიტორინგი/ შეფასება	ყოველწლიურად	მერი, საკრებულო, სამუშაო ჯგუფი	პროცესი ძირითადად სამუშაო ჯგუფის ფორმატით მიმდინარეობს

#### გადაწყვეტილება №4 – ქონების განკარგვა

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ერთ-ერთ ფორმასა და მექანიზმს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების ფლობა, განკარგვა და სარგებლობა. სამართლებრივი თვალსაზრისით მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ფლობს მუნიციპალურ ქონებას, მაგრამ მუნიციპალური ქონება, ფაქტობრივად, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეთა საერთო (საჯარო) საკუთრებას წარმოადგენს და მოქალაქეები პირდაპირ არიან დაინტერესებული მუნიციპალური ქონების განკარგვით. შესაბამისად, ეს წარმოადგენს გადაწყვეტილების იმ კატეგორიას, რომელშიც მოქალაქეთა მონაწილეობის განსაკუთრებული ინტერესი არსებობს.

განსხვავებით სხვა ცხრილებისგან #4 ცხრილში მოცემულია ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი და თითოეული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები. ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მერი შეიმუშავებს ინიციატივას, ხოლო საკრებულო, როგორც წესი, ასეთ გადაწყვეტილებებს განკარგულების ფორმით ამტკიცებს, რაც არ გულისხმობს საჯაროობის ისეთივე სტანდარტს, როგორც არსებობს დადგენილების შემთხვევაში. შესაბამისად, მოქალაქეები შედარებით უფრო ყურადღებით უნდა იყვნენ და ეცნობოდნენ საკრებულოთა სხდომის დღის წესრიგებს, რომლებიც სხდომის გამართვამდე 7 დღით ადრე ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ან/და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სოციალურ ქსელში.

<sup>10</sup> რეკომენდირებულია, რომ პროცესი 15 ოქტომბრამდე დასრულდეს, რათა მერს მინიმუმ ერთი თვე ჰქონდეს სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის პროექტი ასახვისთვის.

ცხრილი #4 - ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და მონაწილეობის შესაძლებლობები

გადაწყვეტილება	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ – <b>მერი, საკრებულოს თანხმობით</b>	წელიწადის ნებისმიერ დროს	მერი, საკრებულო	დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება
გადაწყვეტილება – უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ – <b>მერი, საკრებულოს თანხმობით</b>	წელიწადის ნებისმიერ დროს	მერი, საკრებულო	დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება
გადაწყვეტილება – მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი – <b>მერი, საკრებულოს თანხმობით</b>	წელიწადის ნებისმიერ დროს	მერი, საკრებულო	დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება
გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ – <b>მერი, საკრებულოს თანხმობით</b>	წელიწადის ნებისმიერ დროს	მერი, საკრებულო	დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება
მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა და ცვლილებები – <b>მერი, საკრებულოს თანხმობით</b>	წელიწადის ნებისმიერ დროს	მერი, საკრებულო	დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება
მონიტორინგი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული და პირობებიანი აუქციონით გადაცემული, მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე	წელიწადის ნებისმიერ დროს	მერი	მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

გადაწყვეტილება	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენა, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესების დადგენა;	წელიწადის ნებისმიერ დროს	საკრებულო	პეტიცია, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება
მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;	წელიწადის ნებისმიერ დროს	საკრებულო	მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა და საინიციატივო ჯგუფების წერილობითი მიმართვები, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებზე დასწრება

**გადაწყვეტილება №5 – მერის საქმიანობის ზედამხედველობა – უნდობლობის გამოცხადება**

მოქალაქეებისთვის უმნიშვნელოვანესია ეფექტურად აკონტროლონმათ მიერ არჩეული ხელისუფლება, ამ შემთხვევაში იგულისხმება აღმასრულებელი ხელისუფლება – მერი. საზედამხედველო ფუნქციებით აღჭურვილია და გადაწყვეტილებებს ექსკლუზიურად იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, თუმცა მოქალაქეთა პირდაპირი ინტერესია, მათ მიერ პირდაპირი წესით არჩეული მერის კონტროლის ძლიერი ინსტრუმენტების არსებობა და ისინი ამას საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით შეძლებენ. უშუალოდ საკრებულოს ზედამხედველობის შემდეგი ინსტრუმენტები გააჩნია:

- უნდობლობა;
- მერიის სამართლებრივი აქტების სასამართლოში გასაჩივრება;
- დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა;
- მერის ანგარიშის მოსმენა;
- დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა.

ჩამოთვლილი ინსტრუმენტებიდან, უმრავლესობის ინიცირებას საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება სჭირდება, მერის უნდობლობის<sup>11</sup> ინიცირება მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერაც არის შესაძლებელი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოს თანხმობაა საჭირო. უნდობლობა პოლიტიკური ინსტრუმენტია და მოქალაქეებს არ სჭირდებათ უნდობლობის პროცედურის დაწყებისთვის კონკრეტული დასაბუთება. ცხრილი #5-ში მოცემულია უნდობლობის დეტალური პროცედურა.

<sup>11</sup> მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება და უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია მერის არჩევიდან 6 თვის, აგრეთვე, მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო 1 წლის განმავლობაში.



ცხრილი #5 – მერის უნდობლობის პროცედურა და მონაწილეობის შესაძლებლობები

ეტაპი	პერიოდი	გადანწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
იქმნება საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით.	წელიწადის ნებისმიერი დრო	მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი	საინიციატივო ჯგუფის წერილობითი განცხადება
საინიციატივო ჯგუფის განცხადებისა და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობის რეგისტრირება	3 დღე	საკრებულოს აპარატი	საინიციატივო ჯგუფის წერილობითი განცხადება თანდართული დოკუმენტებით
საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მომზადების მიღების დღიდან. საკრებულოს მიერ გაცემულ ბლანკის გამოყენებით და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის თაობაზე განცხადებას და თანდართულ ხელმოწერებს	არაუმეტეს 1 თვე	საკრებულოს თავმჯდომარე	უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის თაობაზე განცხადებისა და თანდართული ხელმოწერების წარდგენა
საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩათვლება, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.	არაუგვიანეს 20 დღისა	საკრებულო	საინიციატივო ჯგუფის წევრებისა და მოქალაქეების საკრებულოს სხდომაში მონაწილეობა

**გადანწყვეტილება №6 – მერის უფლებამოსილება ექსკლუზიურად მიკუთვნებულ საკითხებზე, გადანწყვეტილებათა პროცედურის შეწყვეტა**

კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია გადანწყვეტილებათა ჩამონათვალი, რომელთა პროექტებს ექსკლუზიურად შეიმუშავებს მერი და საკრებულოს მხოლოდ შენიშვნების გაზიარებისა და დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია. გადანწყვეტილებათა შორის ბევრი ორგანიზაციული ხასიათისაა, ქვემოთ ჩამოთვლილი გადანწყვეტილებათა პროექტები ძირითადად მოიცავს იმ გადანწყვეტილებათა პროექტების მომზადებას, რომლებშიც არსებობს მოქალაქეთა მონაწილეობის ან ვალდებულება ან შესაძლებლობა. შესაბამისად, გადანწყვეტილებები დაყოფილია ორ ნაწილად.

პირველ ნაწილში მოცემულია გადანწყვეტილებები, რომლებშიც მერს გააჩნია მოქალაქეთა ან/და მრჩეველთა საბჭოების ჩართულობის ვალდებულება, ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია ისეთი გადანწყვეტილებები, რომლებშიც პირდაპირ ვალდებულებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაგრამ მოქალაქეთა მონაწილეობა ორმხრივად სასარგებლო იქნებოდა.

### **გადაწყვეტილებების პროექტები, რომელთა მოსამზადებლად სავალდებულოა მოქალაქეთა ან/და მრჩეველთა საბჭოების მონაწილეობა:**

- ✓ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტების შემუშავება;
- ✓ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების პროექტების მომზადება;
- ✓ მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებისა და პროექტების მომზადება;
- ✓ მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს, მათ შორის, საბჭოებს, კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს.

### **გადაწყვეტილებების პროექტები, რომელთა მოსამზადებლად შესაძლებელია მოქალაქეთა ან/და მრჩეველთა საბჭოების მონაწილეობა:**

- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებისა და გაუქმების შესახებ დადგენილებების პროექტების შემუშავება;
- ✓ გადაწყვეტილებათა პროექტები მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;
- ✓ გადაწყვეტილებათა პროექტები მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- ✓ გადაწყვეტილებათა პროექტები უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლოთ ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;
- ✓ გადაწყვეტილებათა პროექტები მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;
- ✓ გადაწყვეტილებები მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობის, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და აღდგენის შესახებ;
- ✓ მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის პროექტები;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის, მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის ან/და საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი ფონდებისთვის საპროექტო განაცხადის მომზადება.

### **გადაწყვეტილება №7 – მუნიციპალური მომსახურების მიწოდება**

კანონმდებლობის მიხედვით მუნიციპალიტეტი ორგანიზებას უწევს მოქალაქეებისთვის შემდეგი მომსახურებების მიწოდებას:

- ნარჩენების მართვა და საჯარო სივრცეების დასუფთავება;
- გამწვანება;
- გარე განათება;
- სასმელი და სარწყავი წყლით მომარაგება და კანალიზაცია;

- ადრეული, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურებები;
- გზების, საგზაო მოძრაობისა და პარკირების ადგილებით მომსახურება;
- სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადანწყვეტა;
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებით მოსახლეობის მომსახურება;
- ბავშვების, მოხუცებისა და შშმ პირებისთვის საჯარო ადგილების ადაპტირება;
- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- ბავშვთა ჯგუფურ ტრანსპორტირებაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ბავშვთა დაცვა საჯარო სივრცეში მავნე ზეგავლენისგან.



**მუნიციპალური მომსახურებების მიმწოდებელი შეიძლება იყოს უშუალოდ მუნიციპალიტეტი, მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ტენდერით/კონკურსით შერჩეული კერძო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ გახსოვდეთ, საჯარო მომსახურების მიწოდებაზე, ნებისმიერ შემთხვევაში, პასუხისმგებელი არის მუნიციპალიტეტი.**

აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ საკუთარი უფლებამოსილების გარდა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია გააჩნდეს სხვა უფლებამოსილებები, რომლებიც არ შედის სხვა სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებებში და, ამავდროულად, არ არის აკრძალული მუნიციპალიტეტისთვის, მათ შორის, ყველაზე პოპულარულია სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებები. ასევე, არსებობს დელეგირებული უფლებამოსილებები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციების დავალებას წარმოადგენს, მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი გადანწყვეტილებები მადელეგირებელი უწყების მიერ მიიღება, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენს.

**ცხრილი #7**-ის მიხედვით შემოთავაზებულია ძირითადი ეტაპები და ინსტრუმენტები, როგორ ფორმირდება მუნიციპალური მომსახურებების დიზაინი. მუნიციპალური მომსახურებები ფორმირდება საბიუჯეტო, პოლიტიკისა და ნორმატიული რეგულაციების შემუშავების პროცესში, ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მუნიციპალური მომსახურებების მიმწოდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების განვითარების სტრატეგიები და მომსახურების შესყიდვების დოკუმენტაცია. კანონმდებლობა მუნიციპალიტეტებს არ ავალდებულებს მუნიციპალური მომსახურებებით მომხმარებლების კმაყოფილების კვლევას, მომსახურების მიწოდების შიდა და გარე მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვას, თუმცა სხვადასხვა დონორული მხარდაჭერის პროექტების ფარგლებში ასეთი პროცესები იწერება და ამ პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას









საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. მუნიციპალური მომსახურებების დანერგვისა და გაუმჯობესების პროცესში ასევე ნაკლებია საჯაროობის ელემენტები, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერი და მერიის შესაბამისი სამსახურები არ არიან ვალდებული წინასწარ გაასაჯაროონ ზემოთჩამოთვლილი გადაწყვეტილებათა პროექტები, საჯაროობის ელემენტი შემოდის მისი საკრებულოს მიერ განხილვის პროცესში, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების პროექტის საკრებულოს მიერ დამტკიცების ვალდებულება არსებობს. მერის მიერ მუნიციპალური მომსახურების დანერგვისა და გაუმჯობესების პროცესზე მოქალაქეთა გავლენის შესაძლებლობები, უფრო მეტად დასახლების საერთო კრებებს, მერის მიერ ანგარიშის საჯარო მოსმენებზე დასწრებას, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატით თანამშრომლობასა და საინიციატივო ჯგუფების მიერ წერილობითი ინიციატივების წარდგენას უკავშირდება.

**ცხრილი #7 – მუნიციპალური მომსახურებების განვა და მონაწილეობის შესაძლებლობები**

ეტაპი	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
საბიუჯეტო პროგრამები/ქვეპროგრამები/ლონისძიებების პროექტების მომზადება	1 მარტიდან 31 დეკემბრამდე	მერი, საკრებულო	დასახლების საერთო კრებების ორგანიზება, პეტიცია, მრჩეველთა საბჭოები. საკრებულოსა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება, მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენებზე დასწრება, ბიუჯეტის საჯარო მოსმენაზე დასწრება (15-25 ნოემბერი)
დარგობრივი განვითარების სტრატეგიები/პოლიტიკის დოკუმენტები და მათი სამოქმედო გეგმების პროექტების მომზადება;	წლის ნებისმიერ პერიოდში	მერი, საკრებულო	პეტიცია, მრჩეველთა საბჭოები. საკრებულოსა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება, მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენებზე დასწრება, წერილობითი ინიციატივები
მომსახურების ან/და საქონლის შესყიდვის დოკუმენტაციის მომზადება	წლის ნებისმიერ პერიოდში	მერი	მრჩეველთა საბჭოები. მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენებზე დასწრება, წერილობითი ინიციატივები
მუნიციპალური ააიპ/შპს განვითარების გეგმების პროექტების მომზადება	წლის ნებისმიერ პერიოდში	მერი, საკრებულო	პეტიცია, მრჩეველთა საბჭოები. საკრებულოსა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება, მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენებზე დასწრება.
მომსახურების მიწოდების მარეგულირებელი წესების პროექტების შემუშავება	წლის ნებისმიერ პერიოდში	მერი, საკრებულო	პეტიცია, მრჩეველთა საბჭოები. საკრებულოსა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება, მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენებზე დასწრება.
მომსახურების მიწოდების შიდა და გარე მონიტორინგი და შეფასება	წლის ბოლოს	მერი, საკრებულო	პეტიცია, მრჩეველთა საბჭოები. საკრებულოსა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება, მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენებზე დასწრება.

**გადაწყვეტილება №8 – ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/ განხორციელება/შეფასება**

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული გადაწყვეტილება, რომელიც მუნიციპალიტეტის დასახლებებში მერის მიერ მიიღება, ეს არის ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვა, მისი განხორციელება და ჩაბარება (ექსპლუატაციაში მიღება). შესაბამისად, ყველაზე ხშირად სწორედ ამ გადაწყვეტილებებზე რეაგირებენ მოქალაქეები. სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პროექტების ინფრასტრუქტურულ მიმართულებაზეა ორიენტირებული. რაოდენობრივად რომ შევადაროთ, სხვა გადაწყვეტილებებთან შედარებით მოქალაქეებს უფრო მეტად ინფრასტრუქტურული ხასიათის გადაწყვეტილებებთან უფრო უწევთ შეხება. ასეთი გადაწყვეტილებებია:

-  შიდა გზების მოწესრიგება;
-  რეკრეაციული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
-  საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
-  წყალმომარაგება, კანალიზაცია;
-  სასაფლაოები;
-  დასახლების იერსახის მოწესრიგება;
-  სხვა საჯარო სივრცეების (დასახლების ცენტრებისა და ა.შ) მოწესრიგება;
-  გარე განათება.

**ცხრილი # 8-ის მიხედვით** მოცემულია ის სტანდარტული სქემა, რომელიც გამოიყენება ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დროს. აღნიშნული სტანდარტული ფორმა გამოიყენება როგორც მუნიციპალური პროექტების, ისე სახელმწიფო ცენტრალური მხარდაჭერის პროგრამების მიმართ. ამ გადაწყვეტილების **პირველი ეტაპი – დასახლებაში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება** არის ის ეტაპი, რომელშიც კანონმდებლობა სავალდებულოდ ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობას. მონაწილეობის ფორმად კი ძირითადად დასახლების საერთო კრება და მოქალაქეებთან კონსულტაციები არის განსაზღვრული. გასათვალისწინებელია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ გადაწყვეტილება ასევე გულისხმობს ამ გადაწყვეტილების ბიუჯეტში ასახვას, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას, რომლებშიც ასევე მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მონაწილეობა.

**ცხრილი #8 – ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება და მონაწილეობის შესაძლებლობები**

ეტაპი	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
დასახლებაში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება	წელიწადის ნებისმიერ დროს, თებერვალი-მარტი	მერი, დასახლების საერთო კრება ან კონსულტაცია მოსახლეობასთან	დასახლების საერთო კრება, მრჩეველთა საბჭოები, კონსულტაცია მოსახლეობასთან, პეტიცია
პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	წელიწადის ნებისმიერ დროს, მარტი-აპრილი	მერი	

ეტაპი	პერიოდი	გადაწყვეტილების მიმღები	კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმებით მონაწილეობის შესაძლებლობა და მიმართვის ფორმა
პროექტის ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში	წელიწადის ნებისმიერ დროს, აპრილი-მაისი <sup>12</sup>	მერი, საკრებულო	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება, მრჩეველთა საბჭოები.
სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება ტენდერის გამოცხადება	წელიწადის ნებისმიერ დროს, მაისი-ივნისი	მერი	
მომსახურების/საქონლის შესყიდვა	წელიწადის ნებისმიერ დროს, ივნისი-ივლისი	მერი	
პროექტის განხორციელება	წელიწადის ნებისმიერ დროს, ივლისი-დეკემბერი	მერი	
პროექტის ჩაბარება – ექსპლუატაციაში მიღება	წელიწადის ნებისმიერ დროს, ნოემბერი-დეკემბერი	მერი	
პროექტის ანგარიშგება	1-ელ მაისამდე	მერი, საკრებულო	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

## 2.3 მოქალაქეთა მონაწილეობის უფლების რეალიზება

მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოშობს მუნიციპალური ორგანოების ვალდებულებას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

ნებისმიერი პირისთვის უზრუნველყოფილია საკანონმდებლო გარანტიები კანონით და მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესების გათვალისწინებით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით.

რა ხდება მაშინ, თუ მუნიციპალიტეტის ორგანოები არ იცავენ კანონის მოთხოვნებს და არ ასრულებენ კანონით დადგენილ ვალდებულებებს?

მონაწილეობის ინსტრუმენტების უმრავლესობა (გარდა პეტიციისა) გულისხმობს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერის, მის მისაღებ გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობებსა და უფლებას. შესაბამისად, თუ დაირღვევა მოქალაქის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები, არსებობს სამი ტიპის გამოსავალი:

<sup>12</sup> მოიცავს სოფლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროგრამის პროექტებს.

- იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას არღვევს მერიის თანამშრომელი, მაშინ წერილობითი მიმართვა მომზადდება მერის სახელზე და მოქალაქე მისგან მოითხოვს შესაბამის რეაგირებას;
- იმ შემთხვევაში, თუ მერი არ რეაგირებს მოქალაქეთა წერილობით მიმართვაზე ან/და თვითონ არღვევს მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებებს, მაშინ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა მიმართოს საკრებულოს, საკრებულოს ფრაქციას, საკრებულოს წევრს, მერის საქმიანობაზე საზედამხედველო ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ ან იწყებს მერის უნდობლობის პროცედურას (პოლიტიკური ინსტრუმენტი) ან უფლებამოსილია დავა გააგრძელოს სასამართლოში (სამართლებრივი ინსტრუმენტი);
- იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებებს არღვევს საკრებულოს აპარატის თანამშრომელი, წერილობითი მიმართვა მზადდება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. ხოლო რეაგირების არარსებობისა ან/და არადაამაკმაყოფილებელი რეაგირების შემთხვევაში, დავა შესაძლებელია გაგრძელდეს პირდაპირ სასამართლოში.

## 2.4. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და პროაქტიული გამოქვეყნება

მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის ელექტრონული რესურსების საშუალებით.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფსა ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

მუნიციპალიტეტის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე, მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>13</sup>

<sup>13</sup> საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 37-40 მუხლები.

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის, კერძოდ, პროაქტიულად გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე, მთავრობის სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;
- დასახლების საერთო კრების ოქმები, მერიის მიერ შესაბამისი ოქმისა ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში;
- ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგისა და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;
- საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;
- მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;
- მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა, მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;
- მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუული მუშაობის შესახებ ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;
- პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;
- წერილობითი ინიციატივა, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შესაბამისი გადაწყვეტილებით გააფართოოს სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ან/და საჯაროდ გამოსაცხადებელი ან/და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.<sup>14</sup>

<sup>14</sup> საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 85<sup>1</sup> მუხლი.



## თავი III.

# მოქალაქეთა მონაწილეობის კოდექსით გათვალისწინებული და დაგაბებითი მექანიზმები

გზამკვლევის მესამე თავი ეთმობა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების მიმოხილვას. პირველი ნაწილი დეტალურად აღწერს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ მონაწილეობის ფორმებს, მათ შინაარსს, მახასიათებლებსა და განხორციელებისთვის საჭირო ძირითად ნაბიჯებს. მეორე ნაწილში კი განხილულია მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც შერჩეულია საერთაშორისო დონეზე არსებული დადებითი პრაქტიკის გათვალისწინებით. აღნიშნული თავი მკითხველს სთავაზობს შეარჩიოს მისთვის სასურველი მონაწილეობის მექანიზმი იმის მიხედვით, თუ რა სფეროში გეგმავს გავლენის მოხდენას, რისი მიღწევა სურს და რა ამოცანას ისახავს მიზნად მონაწილეობითი პროცესის გამოყენებით. მექანიზმების განხორციელების პროცესში საჭირო პრაქტიკული ნიმუშები, რომლებიც დანართების სახით არის წარმოდგენილი, დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარება მათთვის სასურველი მექანიზმი პრაქტიკაში დანერგონ.

საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირებს ავალდებულებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები. ამავე კოდექსის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

- ⦿ დასახლების საერთო კრება;
- ⦿ პეტიცია;
- ⦿ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- ⦿ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- ⦿ მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

კანონმდებლობა მუნიციპალიტეტს ანიჭებს სრულ თავისუფლებას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვით-

მმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ასევე, მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს მიმართონ წერილობითი ინიციატივებით მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე.<sup>153</sup>

მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების განსაზღვრის თავისუფლება მოიცავს მუნიციპალიტეტისთვის მონაწილეობის ისეთი ინოვაციური და თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას, როგორებიცაა:

- ⦿ მონაწილეობითი (სამოქალაქო) ბიუჯეტი (participatory Budget);
- ⦿ თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია (Open Space Technology);
- ⦿ მოქალაქეთა ქარტია (Citizen Charter);
- ⦿ მოქალაქეთა ასამბლეა (Citizen Assembly);
- ⦿ სამოქალაქო ლაბორატორია (Civic Lab);
- ⦿ და სხვა.<sup>154</sup>

გზამკვლევის ამ ნაწილში მონაწილეობის თითოეული ფორმა შეფასებული იქნება გამოყენების სფეროს, მიზნების, ამოცანების მიხედვით. შეფასებისას სამი ფერი იქნება წარმოდგენილი, რომელთაგანაც ■ მწვანე ფერი ნიშნავს, რომ მონაწილეობის ფორმა კონკრეტულ ინდიკატორთან მიმართებით ყველაზე სასურველი და ეფექტური ფორმაა, ■ ყვითელი ნიშნავს, რომ შესაძლოა ბოლომდე ეფექტური არ აღმოჩნდეს, ხოლო ■ წითელი ფერი ნიშნავს, რომ მისი გამოყენება ნაკლებად ეფექტური იქნება.

გამოყენების სფერო ეფუძნება მეორე თავში განხილულ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების მიხედვით დაყოფილ 8 გადანყვეტილების ალტერნატივას, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

- ⦿ ბიუჯეტის დამტკიცება;
- ⦿ წესების დამტკიცება;
- ⦿ პოლიტიკის განსაზღვრა;
- ⦿ ქონების განკარგვა;
- ⦿ მერის საქმიანობის ზედამხედველობა;
- ⦿ მერის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადანყვეტილებათა პროექტების შემუშავება;
- ⦿ მუნიციპალური მომსახურებების მიწოდება;
- ⦿ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება.

გამოყენების მიზნების მიხედვით მონაწილეობის ინსტრუმენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

**საჭიროებათა კვლევა/ანალიზი** — კვლევისა და ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით გადასაწყვეტი საკითხის გარშემო დაინტერესებული მხარეების საჭიროებების შესწავლა და გადანყვეტილების მისაღებად საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი ინფორმაციის შეგროვება.

**დღის წესრიგში საკითხის დაყენება** — გადასაწყვეტი საკითხის/თემის აქტუალიზაცია საზოგადოებაში, სხვა უამრავ გადასაწყვეტი საკითხთა შორის ცალკეული საკითხის/თემისთვის პრიორიტეტის მინიჭება. საკითხის გარშემო ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის ხელშეწყობა.

**გადაწყვეტილების აღტარების უზრუნველყოფა** – გადასაწყვეტი საკითხის გარშემო გადაწყვეტის ორი ან მეტი ხედვის/გამოსავლის სავარაუდო ვარიანტების შემუშავება, მისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების შეფასება.

**გადაწყვეტილების მიღება** – გადაწყვეტილების მისაღებად და მისი ლეგიტიმაციისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით და წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ყველაზე ოპტიმალურის არჩევა.

**ინვლენაცია** – მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკაში აღსრულება.

**მონიტორინგი** – გადაწყვეტილების აღსრულების პროცესზე დაკვირვება ან/და დაკვირვების პროცესში მონაწილეობა. კონკრეტული საკითხის ან ვითარების ირგვლივ ინფორმაციის სისტემური მიღება და დამუშავება, რაც შეიძლება გამოყენებული იყოს: გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასაუმჯობესებლად ან ხელის შესაწყობად,

**შეფასება** – მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასაუმჯობესებლად ან ხელის შესაწყობად, კონსულტაციის გამართვა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

**ანგარიშგება** – შესაბამისი ანგარიშვალდებული პირების (მერი, საკრებულოს წევრი და სხვა) მიერ საზოგადოებისთვის ინფორმაციის საჯაროდ მიწოდება განუვლი საქმიანობის შესახებ, რასაც თან ახლავს შესაბამისი განხილვა და კითხვა-პასუხის ფორმატი.

**მონაწილეობის ფორმის ამოცანების მიხედვით მონაწილეობის ინსტრუმენტების შეფასება შემდეგნაირად ხორციელდება:**

**ინფორმირება** – დაგეგმილი, განხორციელების პროცესში მყოფი და მომავალში განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების, სხვა მიმდინარე და აქტუალური საკითხების შესახებ მოსახლეობისთვის/ინტერესთა ჯგუფებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აქტიურად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

**კონსულტირება** – დაგეგმილი, განხორციელების პროცესში მყოფი და მომავალში განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების, სხვა მიმდინარე და აქტუალური საკითხების შესახებ დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და შესაბამისი უკუკავშირის მიღება ბეპირი ან/და წერილობითი ფორმით.

**პარტნიორობა** – კონსულტირების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობა, რომელიც უკავშირდება და ავითარებს ნდობის ატმოსფეროს ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, აძლიერებს ერთმანეთისადმი პასუხისმგებლობასა და გამჭვირვალობას. პარტნიორობა ეფუძნება: საერთო ხედვას, საერთო ღირებულებებს, მიზნებს, ამოცანებს. პარტნიორობის დროს შესაძლებელია გაჩნდეს ინფორმირებისა და კონსულტირების უფრო მდგრადი პლატფორმები და ინსტიტუციური მექანიზმები.

**ქალაქის დელეგირება** – ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოქალაქეებისთვის/კონკრეტული ინტერესთა ჯგუფებისთვის/კონკრეტულ დასახლებაში მცხოვრებთათვის ცალკეული საჯარო მნიშვნელობის ფუნქციების ფორმალური ან/და არაფორმალური გადაცემა, რაც ხორციელდება დელეგირების გამცემის შესაბამისი კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ.

**მოქალაქეთა თვითორგანიზება** – მოქალაქეებისთვის/კონკრეტული ინტერესთა ჯგუფებისთვის/კონკრეტულ დასახლებაში მცხოვრებთათვის საჯარო უფლებამოსილებების გარანტირებულად განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის, მუნიციპალიტეტსა და საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელთან თანამშრომლობით (და არა მათი ზედამხედველობითა და კონტროლით) და პასუხისმგებლობის სრული განაწილებით.

### 3.1 მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული ფორმები

#### დასახლების საერთო კრება

დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

#### გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება<sup>15</sup> ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა ■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება ■ მუნიციპალური მომსახურებების მიწოდება ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

#### გამოყენების მიზნები:

■ საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი ■ შეფასება ■ ანგარიშგება

#### ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი ■ საერთო კრების რჩეული

#### საერთო კრების მოწვევა:

#### საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ:

- ⊙ შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;
- ⊙ მუნიციპალიტეტის მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით;
- ⊙ საერთო კრების რჩეულს.

#### მოწვევის პროცედურა და კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი:

- ნაბიჯი 1** შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი.
- ნაბიჯი 2** საინიციატივო ჯგუფი მერს წარუდგენს განცხადებას (იხ. დანართი 1.1) საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები და საერთო კრების დღის წესრიგი (იხ. დანართი 1.2).

<sup>15</sup> დასახლების საერთო კრებას გააჩნია საკრებულოსთვის პეტციით მიმართვის შესაძლებლობა;

- ნაბიჯი 3** განაცხადს არეგისტრირებს მერია. განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
- ნაბიჯი 4** საინიციატივო ჯგუფი მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში ადგენს საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიას შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ოდენობით.
- ნაბიჯი 5** საინიციატივო ჯგუფი მერს წარუდგენს განცხადებას (**იხ.დანართი 1.3**) საერთო კრების მოწვევის შესახებ, რომელსაც თან ახლავს ამომრჩეველთა სია (**იხ. დანართი 1.4**).
- ნაბიჯი 6** მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გამოსცემს რეგისტრაციის ცნობას.
- ნაბიჯი 7** საერთო კრების დღის წესრიგისა და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.
- ნაბიჯი 8** საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საინიციატივო ჯგუფი ან/და მერიის უფლებამოსილი მოხელე ან/და საერთო კრების წევრები. რეგისტრაციისას მიეთითება საერთო კრების წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა (**იხ. დანართი 1.5**).
- ნაბიჯი 9** მერის მიერ ინიცირებულ საერთო კრებას წარმართავს და შესაბამისი ოქმის შედგენას უზრუნველყოფს მერიის შესაბამისი მოხელე, რჩეულის მიერ ინიცირებულ საერთო კრებას წარმართავს და შესაბამისი ოქმის შედგენას უზრუნველყოფს რჩეული, ხოლო საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებულ საერთო კრებას წარმართავს და შესაბამისი ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი.
- ნაბიჯი 10** საერთო კრება გადანყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. საერთო კრების გადანყვეტილებით შეიძლება დადგინდეს კენჭისყრის სხვა ფორმა. საერთო კრების ეტაპობრივად, დასახლების ცალკეულ ნაწილებში გამართვისას ჯამდება საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ყველა ხმა.
- ნაბიჯი 11** საერთო კრებაზე დგება საერთო კრების ოქმი (**იხ. დანართი 1.6**). საერთო კრების ოქმში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების გამართვის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, საერთო კრების მიერ განხილული საკითხი და მიღებული გადანყვეტილება, საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რაოდენობა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია.
- ნაბიჯი 12** საერთო კრების ოქმის ასლის მერიაში წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების ინიციატორი საერთო კრების გამართვიდან 7 დღის ვადაში. მერი ვალდებულია 15 დღეში დაუბრუნოს პასუხი.



**გაითვალისწინეთ**, რომ საერთო კრების მოწვევა მარტივდება და აღარ მოითხოვება მოწვევის პროცედურები, იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრებას ჰყავს არჩეული რჩეული<sup>16</sup>. ამასთანავე, რჩეულის არჩევის შემთხვევაში, მერს წარმოეშობა ვალდებულება წელიწადში არანაკლებ ორჯერ, საკუთარი ინიციატივით გამართოს საერთო კრება. **რეკომენდებულია**, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ კრების ინიცირებისას დღის წესრიგში შეტანილი იყოს რჩეულის არჩევის საკითხი.

<sup>16</sup> საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვისა და მისი ხელშეწყობის მიზნით საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს. საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადანყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე, ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს.



**გაითვალისწინეთ**, რომ მერი ვალდებულია დასახლების კრებას განსახილველად წარუდგინოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები.

### საერთო კრება უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები შემდეგ საკითხებზე:

- დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხების განხილვა;
- დასახლებაში განსახორციელებელი პროექტების განხილვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე;<sup>17</sup>
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტების განხილვა;
- გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;
- დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით;<sup>18</sup>
- დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს წარდგინებით;

**გარდა რეკომენდაციებისა, საერთო კრებას გააჩნია ერთი საორგანიზაციო ფუნქცია**, კერძოდ, უფლებამოსილია ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებასა და სხვა იმ სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს.

### საერთო კრების გადაწყვეტილება და მუნიციპალიტეტის ორგანოს გადაწყვეტილებაზე მისი გავლენის ხარისხი

საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს **ოქმის ფორმით** და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მუშაობაში მონაწილეობას (საერთო კრებაში მისი მონაწილეობა დადასტურებულია შესაბამის დასწრების ფურცელზე მისი ხელმოწერით) იღებს დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ი. საერთო კრების გადაწყვეტილებას არ გააჩნია პირდაპირი სამართლებრივი ხასიათის მოქმედება და მისი გავლენა უმეტესწილად პოლიტიკურია, გარდა იმ უფლებამოსილებისა, როცა შეუძლია ორგანიზება გაუწიოს დასახლებისთვის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას.

### მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

<sup>17</sup> მერს გააჩნია ვალდებულება ეს საკითხი წარუდგინოს საერთო კრებას საკუთარი ინიციატივით.

<sup>18</sup> მერს გააჩნია ვალდებულება ეს საკითხი წარუდგინოს საერთო კრებას საკუთარი ინიციატივით.

## პეტიცია

- ❑ **პეტიცია** წერილობითი კოლექტიური თხოვნაა, რომელიც ძირითადად მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიემართება. მონაწილეობის ეს ინსტრუმენტი იძლევა საშუალებას გადაწყდეს ძირითადად ნორმატიული აქტით (წესების დადგენა) გადასაწყვეტი საკითხები და, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემები (პეტიციის ნიმუშის სანახავად იხ. დანართი 2).

### გამოყენების სფერო

- ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა
- მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება
- მუნიციპალური მომსახურებების გაწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

### გამოყენების მიზნები

- საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი
- შეფასება ■ ანგარიშგება

### ინიციატორი

- მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი<sup>19</sup> ■ დასახლების საერთო კრება

### პეტიციის შეტანა

#### პეტიციის ინიცირების უფლება აქვთ:

- ⊙ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;
- ⊙ საერთო კრებას.

### პეტიციით მიმართვისა და განხილვის პროცედურა<sup>20</sup>:

**ნაბიჯი 1** წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების მიერ ამომრჩეველთა სიით თანდართულ პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. მათ პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა/ეძლევათ მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

**ნაბიჯი 2** თუ ინიცირებულა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი,<sup>21</sup> მაშინ პირდაპირ განხილვის სტანდარტული პროცედურა იწყება და საკრებულო მას ბიუროსა და კომისიების გავლის შემდეგ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გაიტანს განსახილველად.

<sup>19</sup> ამომრჩეველთა 1%-ი ან უფრო ნაკლები საკრებულოს გადაწყვეტილებით.

<sup>20</sup> ზოგიერთ მუნიციპალიტეტში შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ელექტრონული პეტიციის შესაძლებლობა, მაგალითისთვის, იხ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი [https://ozurgeti.mun.gov.ge/?page\\_id=301](https://ozurgeti.mun.gov.ge/?page_id=301) სხვა დანარჩენ მუნიციპალიტეტებს ელექტრონული პეტიციის ინსტრუმენტი საკუთარ ვებ გვერდებზე აქვთ ჩაშენებული.

<sup>21</sup> მზა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირება ბევრად ამარტივებს და აჩქარებს პროცესს.

ყველა სხვა შემთხვევაში, ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია, უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

**ნაბიჯი 3** მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: პეტიციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე; პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე ან პეტიციის განხილვის მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე. გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

**ნაბიჯი 4** დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედით, იღებს 1 თვის ვადაში.<sup>22</sup>

**ნაბიჯი 5** იმ შემთხვევაში, თუ პეტიცია მერის უფლებამოსილებას ეხება, ის ეგზავნება მერს. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

**ნაბიჯი 6** პეტიცია განიხილება საკრებულოს სხდომაზე, სადაც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები. საკრებულოს სხდომაზე პეტიციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედით.

**ნაბიჯი 7** პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს და აქვეყნებს საჯაროდ.

### **პეტიციის შეტანა შესაძლებელია შემდეგ საკითხებზე:**

- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;
- მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

<sup>22</sup> განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.



## პეტიციის მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებაზე მისი გავლენის ხარისხი

საკრებულო პეტიციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს დადგენილების ფორმით. საკრებულოს გააჩნია ვალდებულება კანონით დადგენილი წესით წარდგენილი პეტიცია დაარეგისტროს და განხილოს, ხოლო გადაწყვეტილებაზე პეტიციას არ გააჩნია პირდაპირი სამართლებრივი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. გადაწყვეტილებაცა და გადაწყვეტილებაზე პეტიციის გავლენის შესაძლებლობაც პოლიტიკური ხასიათისაა.

### მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

### მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის, რაიონის გამგებლის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში) სათათბირო ორგანო, რომელშიც შედიან მწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. აღნიშნული მექანიზმი ჰიბრიდული მოდელით მოქმედებს. ერთის მხრივ, წარმოადგენს მერის საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მრჩეველთა გაერთიანებას და, მეორეს მხრივ, მოქალაქეებს აძლევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იქმნება მერის უფლებამოსილების ვადით. მერი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მრჩეველთა საბჭოს წევრები ან დაამტკიცოს ახალი შემადგენლობა.

რეკომენდებულია და დადებით სტანდარტად არის მიჩნეული, რომ საბჭო აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ⦿ საბჭოში არანაკლებ 10 წევრია;
- ⦿ თანაბრად არის წარმოდგენილი საზოგადოება/მოსახლეობა, არასამთავრობო და ბიზნესსექტორი;
- ⦿ საბჭოს შემადგენლობაში საპირისპირო სქესის წარმომადგენელი მინიმუმ 1/3-ია;
- ⦿ საბჭოს დებულებით განსაზღვრულია საბჭოს შემადგენლობის ფორმირება კონკურსის წესით ან/და ბიზნესის, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ შესაბამისი კანდიდატურის წარდგენის პროცედურა.

საბჭოს წევრები საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ ორი დღით ადრე უნდა იყვნენ ინფორმირებული და მათ უნდა მიეწოდოთ განსახილველი საკითხების პროექტების ჩამონათვალი ან/და მათი მოკლე აღწერები.

### გამოყენების სფერო

- ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა
- მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება
- მუნიციპალური მომსახურებების განვვა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

### გამოყენების ეტაპები

- საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი
- შეფასება ■ ანგარიშგება

## ინიციატორი

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და მუშაობის პროცედურა

- ნაბიჯი 1** მუნიციპალიტეტის მერი აქვეყნებს განცხადებას მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების შესახებ;
- ნაბიჯი 2** დაინტერესებული პირები წარადგენენ კანდიდატურებს;
- ნაბიჯი 3** მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების შესახებ, რომელში დაცულია გენდერული და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის რაოდენობრივი ბალანსი და ამტკიცებს მრჩეველთა საბჭოს დებულებას;
- ნაბიჯი 4** მუნიციპალიტეტის მერი არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მართავს მრჩეველთა საბჭოს სხდომებს და წარუდგენს მას კანონით განსაზღვრული დოკუმენტების პროექტებს, ასევე, იღებს რეკომენდაციებს სხვადასხვა საკითხებზე.
- ნაბიჯი 5** მრჩეველთა საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანს ან საბჭოს თავმჯდომარეობს მერი. შესაძლებელია საბჭოს მართვის განსხვავებული წესი დამტკიცდეს მერის ბრძანებით.
- ნაბიჯი 6** საბჭო გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებს დამსწრეთა უმრავლესობით და მისი გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით და წარედგინება მერს.

## მრჩეველთა საბჭოს განსახილველი საკითხები

**მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს:**

- ⊙ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;
- ⊙ მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები;
- ⊙ მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;
- ⊙ სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

საბჭო უფლებამოსილია მერის წარდგინების გარეშე, დამოუკიდებლად შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებში შემავალ საკითხებზე და წარუდგინოს მერს.

## გადაწყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გააჩნია სარეკომენდაციო ხასიათი.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

■ ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება  
■ მოქალაქეთა თვითორგანიზება

## საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომაზე მოწოდება

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე, მთავრობის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში) სხდომები საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხდომები დახურულად ცხადდება. საჯარო სხდომებზე მოქალაქეთა დასწრება თავისუფალია. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინებისა ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს, რაც ასევე მოიცავს მოქალაქეთა უფლებას საჯარო სხდომებზე გააკეთონ განცხადებები და დასვან კითხვები.

რეკომენდებულია და დადებით პრაქტიკად არის მიჩნეული:

- საკრებულოს სხდომაზე დასწრების მსურველთათვის გამოყოფილია სპეციალური ადგილები;
- დამსწრეებს სხდომის მიმდინარეობისას, საკითხზე წინასწარი შეთანხმების გარეშე, რეგლამენტით დადგენილი წესით აქვთ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

უზრუნველყოფილია სხდომის ტრანსლაცია საკრებულოს შენობაში ან ელექტრონული მედიის (მოიცავს ინტერნეტს, რადიოსა ან ტელევიზიას) მეშვეობით.

### გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა  
■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება  
■ მუნიციპალური მომსახურებების განწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება.

### გამოყენების ეტაპები:

■ საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი  
■ შეფასება ■ ანგარიშგება

### ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## სხდომაზე დასწრების ორგანიზების პროცედურა

**ნაბიჯი 1** საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს საკრებულოს აპარატი სხდომამდე 7 დღით ადრე ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით;

**ნაბიჯი 2** მოქალაქე ან/და მოქალაქეთა ჯგუფი წინასწარი ნებართვის გარეშე უფლებამოსილია დაესწროს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომას. საკრებულოს აპარატი ვალდებულია მოქალაქეები უზრუნველყოს შესაბამისი ადგილებით, ხოლო დარბაზში არასაკმარისი ადგილების შემთხვევაში მათთვის უზრუნველყოს ტრანსლირება;

**ნაბიჯი 3** საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით, დამსწრეებს უფლება აქვთ განსაზღვრული დროის რეგლამენტითა და წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელსა და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.

**ნაბიჯი 4** მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე, მთავრობის სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს პროაქტიულად;

### გადაწყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიაზე დასწრება მოქალაქეებს საშუალებას აძლევს დაუსვან შეკითხვები მომხსენებელსა და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია, რამაც შესაძლებელია, რომ ირიბად გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

### მონაწილეობის ფორმის ამოცანები

■ ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება  
■ მოქალაქეთა თვითორგანიზება

### მერისა და საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწიონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში განეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. საჯარო შეხვედრა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მოისმინონ ინფორმაცია და დასვან კითხვები როგორც განეული საქმიანობის შესახებ, ასევე მომავალი გეგმებისა და განვითარების პრიორიტეტების შესახებ.

რეკომენდებულია და დადებით პრაქტიკად არის მიჩნეული:

- ⊙ მერის მიერ განეული მუშაობის ანგარიშის საჯარო მოსმენა გაიმართოს მინიმუმ ორი შეხვედრის სახით;
- ⊙ მერის/საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის ანგარიშის საჯარო მოსმენის შესახებ მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება უზრუნველყოფილი იყოს მინიმუმ სამი საინფორმაციო საშუალებით;
- ⊙ მერის/საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის ანგარიში არსებობდეს წერილობითი სახით და ქვეყნდებოდეს პროაქტიულად;
- ⊙ მერის/საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის საჯარო მოსმენის დამსწრე საზოგადოებას ჰქონდეს კითხვების დასმის საშუალება;
- ⊙ ინარმოებოდეს და პროაქტიულად ქვეყნდებოდეს მერის/საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის საჯარო მოსმენის ოქმი.

### გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა  
■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება  
■ მუნიციპალური მომსახურებების განევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

## გამოყენების ეტაპები:

■ საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი ■ შეფასება ■ ანგარიშგება

## ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ანგარიშის საჯარო მოსმენის პროცედურა

- ნაბიჯი 1** საკრებულოს თავმჯდომარე ამტკიცებს საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული წევრების ანგარიშის წარდგენის განრიგსა და ადგილს, ხოლო მერი თვითონ განსაზღვრავს საკუთარი ანგარიშის წარდგენის ადგილსა და თარიღს;
- ნაბიჯი 2** საკრებულოს აპარატი და მერია საჯარო შეხვედრის გამართვამდე 7 დღით ადრე აქვეყნებენ ინფორმაციას მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენის გამართვის ადგილისა და დროის შესახებ;
- ნაბიჯი 3** მაჟორიტარული წესით არჩეული წევრები საკუთარი ანგარიშების საჯარო მოსმენას აწყობენ საკუთარ სამაჟორიტარო ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხოლო პროპორციული წესით არჩეული წევრები, როგორც წესი – საკრებულოს შენობაში. ხოლო მერი მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ადგილას;
- ნაბიჯი 4** მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუვლი მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები ქვეყნდება შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

## გადაწყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

აღნიშნული ინსტრუმენტი, მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია მის მიერ არჩეული პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და, ამასთანავე, საშუალებას იძლევა დასვას შეკითხვები, დააყენოს წინადადებები, მიაწოდოს ინფორმაცია, რამაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

■ ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება ■ მოქალაქეთა თვითორგანიზება

### 3.2 მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები

გადანყვეტილების მიღების პროცესზე მოსახლეობის როლისა და გავლენის გამრძისათვის მნიშვნელოვანია ორი დეტალის გათვალისწინება -- აუცილებელია მოქალაქეთა მონაწილეობის არსისა და მნიშვნელობის გააზრება თვითონ გადანყვეტილების მიმღები ორგანოებისა და კონკრეტული აქტორების მიერ, ასევე, მოსახლეობის სათანადო ცოდნითა და ინსტრუმენტებით აღჭურვა, რათა მათ შეძლონ თვითონ იყვნენ ინიციატორები და იგრძნონ პროცესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, რაც რეალურად მათი უფლებაა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში არსებული სტანდარტით მოქალაქეებს არა მხოლოდ თვითმმართველობის კოდექსით გარანტირებული მონაწილეობითი მექანიზმების გამოყენებით შეუძლიათ ჩაერთონ გადანყვეტილების მიღების პროცესებში, არამედ დამატებითი და ინოვაციური მექანიზმების დახმარებითაც. კოდექსი ტოვებს სივრცეს ინოვაციებისათვის, უფრო კონკრეტულად, ის ადგილობრივ თვითმმართველობებს აძლევს უფლებას, გარდა კანონით განსაზღვრული მექანიზმებისა, დაწერონ მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმებიც, რომლებიც არ მოვა წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობასთან.

დამატებითი მექანიზმებზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ მსგავსი ინსტრუმენტები ძალიან მოქნილია, მათი ადაპტირება შესაძლებელია მიზნიდან, საჭიროებიდან და ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე. არაფორმალური მექანიზმების ეს მახასიათებელი, დატოვონ სივრცე მოდიფიცირებისა და კონკრეტულ კონტექსტზე მორგებისათვის, არის ერთგვარი უპირატესობა, რაც კოდექსით გათვალისწინებულ მექანიზმებს არ აქვს.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დამატებითი მექანიზმების გამოყენების შედეგად მოქალაქეთა მონაწილეობით მიღებული გადანყვეტილებები, მიგნებები ძირითადად სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ორი დეტალის გათვალისწინება, მონაწილეობითი მექანიზმების გამოყენება გადანყვეტილების მიღების პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაშია პოზიტიური შედეგის მომტანი გადანყვეტილების მიმღები აქტორებისათვის, თუ ისინი რეალურად მართლა ასახავენ პრაქტიკაში მოქალაქეთა ჩართულობით მიღებულ შედეგებს. თუ მსგავს პროცესებს ექნება ფასადური ხასიათი, ეს გამოიწვევს მოსახლეობაში ნდობის შემცირებასა და ნიჰილიზმს. ასევე, უნდა ითქვას ისიც, რომ შესაძლებელია/ რეკომენდებულია დამატებითი მექანიზმების შესახებ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რათა უზრუნველყოს მისი ეფექტურად დაწერვა და განხორციელება,

მოცემულ თავში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი მექანიზმებია განხილული, რომლებიც შერჩეული იქნება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე წარმატებული პრაქტიკებიდან. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შემდეგ მექანიზმებზე: თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია (Open Space), მოქალაქეთა ქარტია (Citizen Charter), შარეტი (Charette), ღია თვითმმართველობა (Open House), გზა პროგრესისკენ (Road of Progress), მომავლის ძიება (Future Search), მონაწილეობითი ბიუჯეტირება (Participatory Budgeting), სამოქალაქო ლაბორატორია (Civic Lab) და გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი (Citizen Participation in decision making Toolkit - CPT) და მოქალაქეთა ასამბლეა (Citizen Assembly), ჩამონათვალიდან ორზე – თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია (Open Space) და მოქალაქეთა ქარტია (Citizen Charter) წარმოდგენილია უფრო დეტალური პროცედურული აღწერა და რეკომენდაციები დანართებით.

### თავისუფალი სივრცე (OPEN SPACE)

თავისუფალი სივრცე<sup>23</sup>, არის გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ინოვაციური მექანიზმი. ის წარმოადგენს შეხვედრის ზოგად, მოქნილ ჩარჩოს, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თავად წამოწიონ მათთვის საინტერესო ასპექტები, განსაზღვრონ დღის წესრიგი, წარმართონ დისკუსია და შეიმუშაონ რეკომენდაციები და წინადადებები.

<sup>23</sup> იგივე თავისუფალი სივრცის კონფერენცია/თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია (OPT)

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება რომ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავისუფალი სივრცის მექანიზმის გამოყენებით მოქალაქეთა ჩართულობის შედეგია უფრო მოტივირებული საზოგადოება, რომელიც მზად არის ჩაერთოს ან თავად გახდეს მონაწილეობითი პროცესის ინიციატორი; გაზრდილი ნდობა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიმართ და მოქალაქეებში კუთვნილებისა და თანამონაწილეობის განცდის გაჩენა. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა პროცესი წარმართოს ფართო და მრავალფეროვანი ჯგუფების მონაწილეობით. აუცილებელია იმის გააზრება, რომ ეს არ არის უბრალოდ მექანიზმი, რომელსაც ერთჯერადად გამოყენების ხასიათი შეიძლება ჰქონდეს – ეს არის მთლიანი პროცესი, რომლის წარმართვისასაც მონაწილე ყველა მხარე სწავლობს და იზრდება, როგორც მოქალაქე, ასევე, გადაწყვეტილების მიმღები აქტორი. ამასთან ერთად, მონაწილეობის თავისუფალი სივრცის, როგორც მექანიზმის, ინოვაციური ხასიათი პროცესს ხდის საკმაოდ მოქნილს და კონკრეტულ საკითხზე, კონტექსტსა თუ საჭიროებაზე მისი ადაპტირების სივრცესაც ტოვებს, რადგან მსგავსი მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების პროცედურა არ არის განსაზღვრული კანონმდებლობაში განერილი სწორხაზოვანი რეგულაციებითა და პირობებით. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თავისუფალი სივრცის ტექნოლოგიის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, გამომდინარე მისი ინოვაციური ბუნებიდან. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიმღები აქტორები ითვალისწინებდნენ და პრაქტიკაში ასახავდნენ მონაწილეობითი პროცესის შედეგად მიღებულ დასკვნებს, მიგნებებსა და გადაწყვეტილებებს. საინააღმდეგო დამოკიდებულება მოსახლეობაში ინვესს ნიჰილიზმსა და ნდობის შემცირებას, ასევე, სამომავლოდ მოტივაციის ნაკლებობას, ჩაერთონ და წვლილი შეიტანონ მსგავს მონაწილეობით პროცესებში თუ მათი შეხედულებების გათვალისწინება წარსული გამოცდილების მიხედვით არ მოხდა პრაქტიკაში.

მონაწილეობის ეს მოდელი ძალიან მოქნილია, რადგან წინასწარ განსაზღვრულია მხოლოდ ძირითადი საკითხი, მონაწილეები თავად წყვეტენ, ვისთან ერთად უნდათ მუშაობა, რა მიმართულებით და რამდენი ხანი. ასევე, არ არის წინასწარ მომზადებული სპიკერების საჭიროება. არაფორმალური გარემო ხელს უწყობს მარტივი და დინამიური პროცესის განხორციელებას. აღნიშნული მექანიზმის დანერგვა უკავშირდება დაკვირვებას, რომ ადამიანები უფრო ენერგიულ და საინტერესო დისკუსიებს მართავენ არაფორმალურ გარემოში, ვიდრე ფორმალური სესიებისას. შესაბამისად, ეს მექანიზმი ისე არის სტრუქტურირებული, რომ არაფორმალური და თავისუფალი გარემო შერწყმულია კონკრეტულ მიზანთან.

მიუხედავად მექანიზმის არაფორმალური ხასიათისა, აუცილებელია მისი გამოყენების პროცესის დეტალური დაგეგმვა და კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე მორგება. საბოლოოდ კი ინიციატორი თავისუფალი სივრცის ტექნოლოგიის გამოყენებით გეგმავს და ახორციელებს საკმაოდ ინკლუზიურ და მონაწილეობით საკონსულტაციო პროცესს არაფორმალურ გარემოში, კონკრეტული და ხელშესახები შედეგების მიღების შესაძლებლობით.

არსებობს ღია სივრცის კონფერენციის ონლაინ მექანიზმიც, რომელიც გამოყენებული 60-ზე მეტ ქვეყანაში და მუდმივად მიმდინარეობს მისი დახვეწა მომხმარებელთა უკუკავშირის საფუძველზე ([www.openspace-online.com](http://www.openspace-online.com)). ელექტრონულ ფორმატშიც დაცულია ძირითადი პრინციპები და პროცესი პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმში (real-time), გრაფიკულად სასიამოვნო და მარტივად აღქმად სივრცეში მიმდინარეობს ვირტუალური ფასილიტატორის დახმარებით. პროცესის დასასრულს ყველა მონაწილე იღებს ღონისძიების შესახებ დოკუმენტაციას ღილაკზე თითის დაჭერით.

*თავისუფალი სივრცის ტექნოლოგიის წარმატებით გამოყენების არაერთი მაგალითი არსებობს – გაერთიანებული სამეფო (2005 წელი) და ამერიკის შეერთებული შტატები (2016 წელი) – უფრო დეტალურად წარმატებული გამოცდილებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ბმულებს:*

- <https://www.betterevaluation.org/methods-approaches/methods/open-space>
- [https://michaelherman.com/publications/inviting\\_leadership\\_guide.pdf](https://michaelherman.com/publications/inviting_leadership_guide.pdf)

## გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა  
■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება  
■ მუნიციპალური მომსახურებების განვლა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/  
განხორციელება/შეფასება

## გამოყენების მიზნები

■ საჭიროებების კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების  
ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი  
■ შეფასება ■ ანგარიშგება

## ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## გამოყენების პროცედურა და ვადები<sup>155</sup>

ამ ნაწილში შეგიძლიათ გაეცნოთ ყველა იმ ეტაპს, რომლისგანაც შედგება თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია, ასევე, დეტალურ ინსტრუქციებს ეტაპების მიხედვით. აღნიშნული ბლოკის შემდეგ კი შეგიძლიათ ისარგებლოთ იმ დანართების ჩამონათვალით, რომელიც მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევაში დაგჭირდებათ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანართებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და პირობითი შაბლონებია. შესაბამისად, შესაძლებელია ინიციატორის/ფასილიტატორის მიერ მათი ადაპტირება და კონკრეტულ კონტექსტსა თუ საჭიროებაზე მორგება.

თავისუფალი სივრცის მექანიზმი ძირითადად შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

### 1. მოსაზრებადგებილი ეტაპი

#### 1.1 ინიციატორის პრიორიტეტები:

- o მთავარი საკითხის განსაზღვრა;
- o საკითხის მოკვლევა;
- o მექანიზმის გამოყენების მიზნისა და კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა;
- o დღის წესრიგის მომზადება (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღის წესრიგსაც თავად მონაწილეები ქმნიან საბოლოოდ, თუმცა შეხვედრის დასაწყისში მნიშვნელოვანია შეხვედრის ზოგადი ჩარჩოს, საორიენტაციო გეგმის არსებობა და მონაწილეებისათვის მისი გაცნობა, რათა მათ შეექმნათ შესაბამისი მოლოდინი, ჰქონდეთ ინფორმაცია და მზაობა პროცესში ჩასართავად – იხილეთ **დანართი 3.1.1**);
- o უკუკავშირის კითხვარისა და მონაწილეთა სიების მომზადება (უკუკავშირის კითხვარისა და მონაწილეთა სიის შაბლონი იხილეთ **დანართი 3.1.2** და **3.1.3**);
- o სათანადო აუდიტორიის განსაზღვრა
- o მონაწილეთა რაოდენობის დადგენა;
- o მონაწილეთა შერჩევა;
- o მონაწილეებისთვის მოსაწვევი ტექსტის შედგენა (იხილეთ **დანართი 3.1.4**);<sup>156</sup>
- o მონაწილეების მოწვევა/ინფორმაციის დაგზავნა.





## გასათვალისწინებელი საკითხები

მნიშვნელოვანია მონაწილეთა უკუკავშირისა და შეფასების გაგება შეხვედრის/ შეხვედრების ციკლის დასასრულს. მონაწილეობითი პროცესები მუდმივად გაუმჯობესებასა და ორმხრივ კომუნიკაციაზე უნდა იყოს ორიენტირებული (მოქალაქეებსა და ინიციატორს/ ინიციატორებს შორის).

მონაწილე აუდიტორიის განსაზღვრის შემდეგ მნიშვნელოვანია ინფორმაცია სამუშაო შეხვედრის შესახებ იყოს საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინფორმაციის გამოქვეყნება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, სათანადო სოციალურ მედიაში და ა.შ.

მონაწილეთა რაოდენობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ რაოდენობა ცვალებადი და მოქნილია. იგი 5-იდან 500-მდე შეიძლება მერყეობდეს, თუმცა არსებობს მაგალითები, როდესაც 2000 ადამიანიც კი ყოფილა მონაწილე.

ინიციატორზე დამოკიდებული, რა სახის შერჩევას გამოიყენებთ – იქნება ყველასთვის ღია, თუ კონკრეტული ჯგუფების მოწვევას მიიჩნევს მიზანშეწონილად. ამიტომ შესაძლოა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა ან თავად მოქალაქეებმა განსაზღვრონ, რამდენად დაინტერესებულნი არიან საკითხით. საუკეთესო მონაწილეები ენთუზიაზმით ეკიდებიან საკითხს და თავად გამოთქვამენ ჩართულობის სურვილს.

### 1.2 ტექნიკური დეტალების ორგანიზება და საჯარო ინვენტარის მობილიზება

- o სათანადო სივრცის უზრუნველყოფა;
- o სივრცის მოწყობა – ოთახში უნდა იყოს კედელი/დაფა და საკმარისი სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის (სივრცის ვიზუალიზაციისათვის იხილეთ ილუსტრაცია – **დანართი 3.2.1**);
- o საკვები და წყალი მონაწილეებისათვის;
- o მაგიდა და სკამები;
- o საკანცელარიო მასალა, რაც მცირე ჯგუფებში მუშაობისას იქნება საჭირო: მარკერები,
- o ფერადი ფანქრები, ფლიპჩარტები და ა.შ.

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით არსებული საჭიროებების ერთიანი საკონტროლო ჩამონათვალი იხილეთ **დანართი 3.2.2**.<sup>157</sup>

## 2. პროცესი

### 2.1 სესიის გახსნა

- o ფასილიტატორი წრიულად ალაგებს სკამებს და ამზადებს თავისუფალ კედელს/დაფას;
- o გამხსნელ სესიაზე ფასილიტატორი მონაწილეებს აცნობს შეხვედრის მიზანს, მთავარ საკითხს, ოთხ ძირითად პრინციპსა და წესს (იხილეთ **დანართები: 3.3.1** და **3.3.2**);
- o ფასილიტატორი მონაწილეებს ინვესს მათთვის საინტერესო ქვესაკითხების დასაფიქსირებლად. მონაწილეები შერჩეულ თემებს აკრავენ კედელზე/დაფაზე, რათა მთელი ჯგუფისთვის იყოს თვალსაჩინო. ამით მონაწილეები იღებენ პასუხისმგებლობას მცირე ჯგუფებში სესიების ჩატარებაზე. აღნიშნულ ეტაპს ეწოდება სავაჭრო ადგილი (Market place);
- o სავაჭრო ადგილის (market place) გახსნისას გამოვლენილი ქვესაკითხები სამუშაო დღის წესრიგში დგება;
- o მას შემდეგ რაც მონაწილეები აფიქსირებენ მათ მიერ შერჩეულ ქვესაკითხებს მთავარი საკითხის გარშემო, ყველა მათგანი ირჩევს იმას, რაზეც სურს მუშაობა და მსჯელობა მცირე ჯგუფებში. შესაძლოა მოლაპარაკებების შედეგად თემატური ჯგუფები გაერთიანდეს ან ხელახლა დაიგეგმოს;
- o თავად მონაწილეები განსაზღვრავენ სამუშაო ჯგუფების მუშაობის დროსა და ხანგრძლივობას, ისევე, როგორც მოცემულ სივრცეში სამუშაო ადგილს.

ის ორი ძირითადი კითხვა, რომელთაც სვამს ფასილიტატორი სამუშაო შეხვედრაზე ასე ფორმულირდება: რა არის ის, რისი გაკეთებაც მართლა გსურთ? რატომ გსურთ ამ საკითხის მოგვარება?

თავისუფალი სივრცის ტექნოლოგიის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობის იმაში, რომ ყველანაირი ძალაუფლება პროცესის წარმართვაზე, დისკუსიასა და მსჯელობაზე ჰქონდეთ მონაწილეებს.<sup>158</sup>

## 2.2 დისკუსიები ჯგუფებში

- o მომდევნო საფეხურია დისკუსიები მცირე ჯგუფებში, რომელიც ძირითადად 30-90 წუთი გრძელდება, თუმცა შესაძლოა ახალი შეხვედრის ჩანიშნავ გახდეს საჭირო;
- o სამუშაო პროცესის პარალელურად ხდება ძირითადი მიგნებებისა და მსჯელობის დოკუმენტირება (იხილეთ **დანართი 3.4.1** რეკომენდებული შაბლონი იხილეთ ქვემოთ);

## 2.3 წრის დახურვა - შემაჯამებელი ეტაპი

- o წრის დახურვა ღონისძიების ბოლო ნაწილია. შეხვედრის დასრულებამდე ერთი საათით ადრე ფასილიტატორი მონაწილეებს სთხოვს დისკუსიის გარეშე გააზიარონ საკუთარი მიგნებები;
- o ამ სესიაზე ერთობლივი მუშაობა ჯამდება, მოკლედ მიმოიხილავენ იმას, თუ რა მოხდა, რაზე ისაუბრეს და იმსჯელეს ჯგუფებში;
- o შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს გადაეცემათ ანგარიშები (იხილეთ **დანართი 3.4.2**), რომლებშიც ასახულია ყველა ჯგუფის დისკუსია, დასკვნები და მოსაზრებები.

ანგარიშში გასათვალისწინებელი საკითხებია – საკითხები, რომლებიც გამოვლინდა და განიხილეს ჯგუფებში; გამოკვეთილი ყველაზე მნიშვნელოვანი თემები; ახალი იდეები და მიგნებები; მიღებული სტრატეგიები თემის გარშემო, გამოვლენილი პრიორიტეტები, შემდეგი ნაბიჯები; აქვე, მნიშვნელოვანია, მონაწილეებს ფასილიტატორმა თავისუფალ სივრცეში მონაწილეობის გამოცდილების საკუთარ თემში გაზიარების მოტივაცია გაუჩინოს.<sup>159</sup>

## 2.4 მონაწილეობითი პროცესის შემაჯამებელი ეტაპი

- o სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ ყველა შედეგი უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის. ხშირად მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მუშავდება სამოქმედო გეგმები. მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში კი შესაძლოა კვლავ შეხვედრა და პროგრესის შეფასება.
- o მიღებული რეკომენდაციების, მიგნებებისა და გადანყვეტების ადვოკატირება მუნიციპალიტეტთან არის შემდგომი ეტაპი – მექანიზმის გამოყენებით არ სრულდება პროცესი. საჭიროა მოქალაქეებმა დაინახონ შედეგი, რომ ის დრო და რესურსი, რაც მათ ჩადეს პროცესში, ნამდვილად ანგარიშგანეულია. ამისათვის მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრის/შეხვედრების შედეგად მიღებული რეკომენდაციები/მიგნებები და გადანყვეტები გაზიარდეს მუნიციპალიტეტთან და ამას მოჰყვეს სათანადო რეაგირება მისი მხრიდან.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა ინფორმირებული ამყოფოს პროცესის მონაწილეები, გააზიაროს მათთან ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და როდის ასახავს მათ რეკომენდაციებს გადანყვეტილების მიღების პროცესში.

ასევე, დანართებში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი შაბლონები:

**დანართი 3.5 – ზოგადი რეკომენდაციები მექანიზმის გამოყენებისას;**

**დანართი 3.6 – თავისუფალი სივრცის ტექნოლოგიის გამოყენების პირობების ჩამონათვალი.**

## მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებაზე მისი გავლენის ხარისხი

არაფორმალურ მექანიზმებს აქვს ძირითადად სარეკომენდაციო ხასიათი. შესაბამისად, თავისუფალი სივრცის ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული შედეგებიც შემოიფარგლება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სარეკომენდაციო ხასიათის გავლენით.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

## მოქალაქეთა ქარტია (CITIZEN CHARTER)

მოქალაქეთა ქარტია ეს არის ინოვაციური მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ურთიერთგაგების დოკუმენტის შემუშავებას მოქალაქეებს, საჯარო მოხელეებსა და სერვისის მიმწოდებელს შორის, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კონკრეტული სერვისის ხარისხის სტანდარტების, პროცედურების, საფასურისა და იმ საშუალებების შესახებ, რომელთა დახმარებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ დააფიქსირონ უკმაყოფილება. ამ დოკუმენტზე ხელმოწერით სერვისის მიმწოდებელი პასუხისმგებლობას იღებს გარკვეული სტანდარტების დაცვით მიაწოდოს მოქალაქეებს საჭირო სერვისი/სერვისები.

მოქალაქეთა ქარტიის ძირითადი მიზანი არის **მონიტორინგი**. ეს მექანიზმი საშუალებას აძლევს ხელისუფლებას მოქალაქეებისთვის **სერვისების მიწოდების პროცესი** გახდეს უფრო გამჭვირვალე და ხარისხიანი.

## არსებობს მოქალაქეთა ქარტიის ფართოდ გავრცელებული 6 ძირითადი პრინციპი

- 1. ხარისხი:** სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;
- 2. არჩევანი:** არჩევანის შეთავაზება, როცა ეს შესაძლებელია;
- 3. სტანდარტები:** კონკრეტულის შეტანა იმაში, თუ რას უნდა ელოდოს მომხმარებელი და როგორ უნდა იმოქმედოს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სერვისის მიწოდების ხარისხი არსებულ სტანდარტებთან შესაბამისი არ არის;
- 4. ღირებულება:** გადასახადის გადამხდელების ხარჯი იქნეს მნიშვნელობას და უფრო მეტ ღირებულებას;
- 5. ანგარიშვალდებულება:** გამრდილი ანგარიშვალდებულება ინდივიდების მიმართ;
- 6. გამჭვირვალობა:** ხდის უფრო გამჭვირვალეს პროცესებს, კონკრეტული ნესების, პროცედურების, სქემებისა და საჩივრების წარდგენის შესაძლებლობებით.

სერვისის მიწოდებისას ყოველთვის არსებობს, ერთის მხრივ, სერვისის მომხმარებელთა კონკრეტული მოლოდინები, ხოლო, მეორეს მხრივ, მომსახურების მიმწოდებლების წინაშე არსებული შეზღუდვები, რაც, როგორც წესი, მათ ხელთ არსებული მწირი რესურსებით არის განპირობებული. ასეთ შემთხვევაში, მოქალაქეთა ქარტია იძლევა შესაძლებლობას პროცესები თავიდანვე იყოს გამჭვირვალე. ის ახდენს სამომავლო გაუგებრობების პრევენციასაც.

აღნიშნული მექანიზმის **უპირატესობა** მის მრავალფუნქციურობაში მდგომარეობს. ყველაფერთან ერთად მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ის იძლევა ერთგვარ სახელმძღვანელო მითითებებს, რომელიც წარმოადგენს მუშაობის მინიმალურ სტანდარტს, რაც, თავის მხრივ, სერვისებისა და თანამშრომლების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას განაპირობებს. მთლიანობაში მოქალაქეთა ქარტია, წარმოადგენს საკმაოდ ხარჯთეფექტურ მექანიზმს. მოქალაქეთა ქარტიის პრაქტიკაში წარმატებით იმპლემენტაციის შედეგები არის გაუმჯობესებული სერვისები, თანამდებობის პირების

/გადაწყვეტილების მიმღები აქტორების გაზრდილი პასუხისმგებლობა ფართო საზოგადოების მიმართ და საზოგადოების კმაყოფილების გაზრდილი ხარისხი.<sup>160</sup>

მოქალაქეთა ქარტია (CC) პირველად 1991 წელს გაერთიანებულ სამეფოში პრემიერ-მინისტრმა გამოიყენა. აღნიშნული ინიციატივის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ხელისუფლების ღიაობა და გამჭვირვალობა ყველა დონეზე; ამასთან ერთად, გარკვეული ხარისხით ძალაუფლებისა და კონტროლის მოქალაქეებისათვის გადაცემა. ასეთი მიდგომა და ეს კონკრეტული მექანიზმი დიდი ბრიტანეთის შემდგომ გავრცელდა მრავალ ქვეყანაში – ბელგიაში (1992), საფრანგეთში (1993), ესპანეთში (1993), კანადაში (1995), ავსტრალიაში (1997) და ა.შ. აქტიურად დაიწყო ამ მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვა საჯარო სერვისების ხარისხის მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით.<sup>24</sup>

### გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა  
■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება  
■ მუნიციპალური მომსახურებების განწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/  
განხორციელება/შეფასება

### გამოყენების მიზნები

■ საჭიროებების კვლევა/ ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების  
ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი  
■ შეფასება ■ ანგარიშგება

### ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## გამოყენების პროცედურა და ვადები<sup>161</sup>

მოქალაქეთა ქარტიის შექმნა წარმოადგენს პროცესს, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ დოკუმენტის მომზადებას. მნიშვნელოვანია მის შესაქმნელად საჭირო კონსულტაციები, რომლებშიც თავად მოქალაქეებაც მონაწილეობენ. ასევე, დიდი აქცენტი უნდა გაკეთდეს მის გავრცელებასა და პრაქტიკაში დანერგვაზე, რათა ფუნქციური და მოქმედი მექანიზმი იყოს. საგულისხმოა ის დეტალიც, რომ ეს არის ხანგრძლივი გამოყენების დოკუმენტი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით გადის მონიტორინგს/ახლდება.

### 1. პროცესი

მოქალაქეთა ქარტია ძირითადად შემდეგი ეტაპებისგან შედგება:<sup>162</sup>

#### 1.1 მოსამზადებელი ეტაპი

- o მთავარი საკითხის განსაზღვრა;
- o საკითხის მოკვლევა;
- o მექანიზმის გამოყენების მიზნისა და კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა;
- o დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება;
- o მონაწილეთა რაოდენობის დადგენა;
- o მონაწილეთა შერჩევა;
- o სამუშაო ჯგუფის ფორმირება (დანართი 4.1.1 - სამუშაო ჯგუფის კომპოზიცია იხილეთ ქვემოთ);

<sup>24</sup> დამატებითი ინფორმაცია წარმატებული მაგალითების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: [https://www.academia.edu/34789214/MANUAL\\_ON\\_SOCIAL\\_ACCOUNTABILITY\\_for\\_Civil\\_Society\\_Organizations\\_and\\_Municipalities\\_in\\_Palestine](https://www.academia.edu/34789214/MANUAL_ON_SOCIAL_ACCOUNTABILITY_for_Civil_Society_Organizations_and_Municipalities_in_Palestine)

- o კონსულტაციების დაგეგმვა;
- o მონაწილეთა სიების მომზადება (სამომავლოდ გამოგადგებათ აქ თავმოყრილი საკონტაქტო ინფორმაცია. იხილეთ შაბლონი – **დანართი 4.1.2**)
- o მონაწილეებისთვის მოსაწვევი ტექსტის შედგენა (**დანართი 4.1.3**);
- o მონაწილეების მოწვევა/ინფორმაციის დაგზავნა;
- o კონსულტაციების გამართვა სერვისის მომხმარებლებთან/დაინტერესებულ მხარეებთან – ამ აქტივობის მიზანი არის სერვისის სტანდარტების განსაზღვრა.



### **გასათვალისწინებელი საკითხები**

ჯგუფში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქარტიის შემუშავების პროცესში გამართულ კონსულტაციებსა და სამუშაო შეხვედრებში, მინიმუმ 15 ადამიანი უნდა შედიოდეს. მონაწილეთა შერჩევის პროცესი და ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულად რა სერვისს ეხება ქარტია და ვინ არიან დაინტერესებული პირები, რათა ამის მიხედვით შეირჩენონ როგორც ქარტიაზე ხელმომწერი მხარეები, ისე საკონსულტაციო ჯგუფი.

ქარტიის დოკუმენტის შექმნისას მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა – სერვისის მიმწოდებელი, ადგილობრივი ხელისუფლება, მოქალაქეები, სამოგადოებრივი ორგანიზაციები და ა.შ.

### **1.2 ტექნიკური დეტალების ორგანიზება და საჯირო ინვენტარის მობილიზება**

- o კონსულტაციებისათვის საჯირო სივრცის/სივრცეების მოკვლევა და დაჯავშნა;
- o შესაბამისი საკანცელარიო ინვენტარის თავმოყრა;
- o კონსულტაციებისათვის საჯირო სივრცის სათანადოდ მოწყობა და უზრუნველყოფა.

### **1.3 ქარტიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შექმნის პროცესი (მოქალაქეთა ქარტიის საგზაო რუკა – იხილეთ დანართი 4.2.1)**

- o ქარტიის სამუშაო ვერსიის შემუშავება სამუშაო ჯგუფის მიერ (ქარტიის შაბლონი იხილეთ **დანართში – 4.2.2**, ხოლო ქარტიაში გასათვალისწინებელი კომპონენტების ჩამონათვალი იხილეთ **დანართში – 4.2.3**);
- o ამ ვერსიის გაზიარება, როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, ისე სერვისის მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირების, შეთავაზებებისა და კომენტარების მისაღებად;
- o რეკომენდაციებისა და უკუკავშირების თავმოყრა, დახარისხება და მისი დოკუმენტში ასახვა (აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეტაპია);
- o საბოლოო ვერსიაზე შეჯერებისათვის საჯირო მსჯელობა;
- o საბოლოო ვერსიის ფორმულირება;

### **1.4 პროცესის ინსტიტუციონალიზაცია**

- o საბოლოო ვერსიაზე შეჯერების შემდეგ ხდება მისი დამონება ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის მიერ;
- o ქარტიის ოფიციალურად ძალაში შესვლა/გამოქვეყნება. ამისათვის შეიძლება მოენყოს ლონისძიება, აქტივობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სერვისის მიმწოდებლებსა და მოქალაქეების წარმომადგენლებთან;
- o ქარტიის ასლების გაზიარება/დაგზავნა ყველა ჩართულ დაინტერესებულ მხარესთან.

მედიის ჩართვა ამ ნაწილში, ინფორმაციის მაქსიმალურად გაშუქებისა და გავრცელებისათვის, ასევე, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.

## 1.5 ქართის დოკუმენტის პრაქტიკაში დანერგვა

- o ქართის ფართო საჯაროობის უზრუნველყოფა: საინფორმაციო კამპანიების მოწყობა, რათა მოხდეს ფართო საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციისა და ბერკეტების მატარებელია ქართის დოკუმენტი მოქალაქეებისათვის, რა უფლებები ენიჭებათ მათ კონკრეტულ სერვისებთან მიმართებით და ა.შ.
- o ქართის უნდა დაიგზავნოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ წარმომადგენლებსა და შესაბამის ასოციაციებთან;
- o განათავსეთ ქართის დოკუმენტი მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში სოციალურ ქსელებში არსებულ მუნიციპალიტეტის გვერდებზეც). ამ ეტაპზე შესაძლებელია დოკუმენტში კომენტარებისა და შეთავაზებების, ერთგვარი უკუკავშირის დაფიქსირების ფუნქციის არსებობაც შესთავაზოთ ფართო აუდიტორიას. თუ ამას სთავაზობთ, ახსენით მიზეზები ამ შესაძლებლობის არსებობის; თუ არ სთავაზობთ, აქვე მიუთითეთ და ახსენით, თუ რატომ არ სთავაზობთ აუდიტორიას დააფიქსიროს თავისი კომენტარები და შეთავაზებები ქართისათვის მიმართებით.

## 1.6 შემდგომი დაკვირვება, მონიტორინგი და შეფასება

- o ააწყვეთ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, სერვისის მიმწოდებლების მუშაობის ხარისხის შესაფასებლად, მათ მიერ ქართით აღებულ პასუხისმგებლობებთან მიმართებით. ეს უნდა ხდებოდეს რეგულარულად და შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს (*შეფასების შაბლონი იხილეთ დანართის – 4.3.1-ის – სახით*);
- o მნიშვნელოვანია ქართის დოკუმენტის გადახედვა ყოველ 6-12 თვეში, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მისი განახლება. ყველა ამ პროცესს უნდა ჰყავდეს თავისი პასუხისმგებელი პირი/ორგანო (*კონკრეტული დავალებები ნახეთ დანართში 4.3.2*)
- o ამის პარალელურად ქართიაში შეჯერებული სტანდარტების შესახებ სათანადო სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები უნდა დაიგეგმოს და ჩატარდეს მათ შორის, მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

დოკუმენტის პრაქტიკაში დანერგვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ქართის მაქსიმალური საჯაროობა – ცნობიერების ამაღლების კამპანიები, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მათი განთავსება, პროცესში მედიის ჩართულობა ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელების მიზნით.

აუცილებელია დოკუმენტი გაზიარდეს უფრო ფართო აუდიტორიისთვის სხვადასხვა არხით – გაზეთი, ბროშურები, პირისპირ შეხვედრები და ა. შ.;

იმისათვის, რომ ქართია იყოს ცოცხალი დოკუმენტი და, შესაბამისად, ფუნქციური მექანიზმი, აუცილებელია მასში გაერთიანებული საშუალებები (რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ მოქალაქეები, ნუხილის ან უკმაყოფილების გაჩენის შემთხვევაში) იყოს ადეკვატური და პრაქტიკული.

ასევე, დანართებში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი შაბლონები:

**დანართი 4.4 – მოქალაქეთა ქართის უკუკავშირის ფორმის შაბლონი;**

**დანართი 4.5 – თვითშეფასების მექანიზმის შაბლონი;**

**დანართი 4.6 – მოქალაქეთა ქართია – კითხვარის შაბლონი;**

**დანართი 4.7 – ზოგადი რეკომენდაციები მექანიზმის გამოყენებისას.**

## მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებაზე მისი გავლენის ხარისხი

მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთ მექანიზმებს, რომლებიც კოდექსით არ არის გათვალისწინებული აქვთ ძირითადად სარეკომენდაციო ხასიათი. შესაბამისად, მოქალაქეთა ქარტიის გამოყენებით მიღებული შედეგების შემოიფარგლება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სარეკომენდაციო ხასიათის გავლენით.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

## შარეტი (CHARRETTE)

შარეტი (ფრანგ. *Charrette*) ეს არის მონაწილეობითი დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოების რიგით წევრებს, რათა ერთობლივი მუშაობით ეფექტური, საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული, ინოვაციური და მიღწევადი გადაწყვეტილებები მიიღონ.<sup>163</sup>

მექანიზმის დასახელება ფრანგულიდან მომდინარეობს და პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება, როგორც „ურეკა“, თუმცა, ამავდროულად, ამ ტერმინს ხელოვნებისა და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ სასწავლო წლის დასასრულს, გამაღებელი მეცადინეობისა და მუშაობის აღსაწერადაც იყენებენ. გადმოცემის თანახმად, ტერმინის გამოყენება მე-19 საუკუნეში, პარიზის ნათიფ ხელოვნებათა სკოლაში (École des Beaux-Arts) დაიწყო, როდესაც წლის ბოლოს მასწავლებლები ურიკას ჩამოატარებდნენ და ასე აგროვებდნენ შეგირდების მიერ მომზადებულ ან მომზადების პროცესში მყოფ ნამუშევრებს.<sup>164</sup>

ამ მექანიზმს ძირითადად საერთო ხედვის ჩამოყალიბებისა და საქმიანობის დაგეგმვის მიზნით იყენებენ ისეთი საკითხებზე მუშაობისას, როგორებიცაა: ურბანული განვითარების გეგმების შემუშავება, სატრანსპორტო სისტემების განვითარება, ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროექტები, დასახლებისა თუ თემის ფუნქციური განვითარების გეგმები და სხვა. შარეტის გამოყენება შესაძლებელია მრავალი მიმართულებით, მათ შორის, როგორც ინდივიდუალური შენობის აშენების საკითხის განხილვისას, ასევე, ისეთ პროექტებზე მსჯელობისას, რომელთაც მთლიან სამეზობლოსა თუ დასახლებაზე აქვთ გავლენა.<sup>25</sup>

## გამოყენების სფერო:

- ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა
- მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება
- მუნიციპალური მომსახურებების განწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

## გამოყენების ეტაპები:

- საჭიროებების კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი
- შეფასება ■ ანგარიშგება

<sup>25</sup> გურიის რეგიონში 2016-2019 წლებში, ევროკავშირის მხარდაჭერით, განხორციელდა პროექტი „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტერიტორიის განვითარების სტრატეგიისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა შარეტის მექანიზმის გამოყენებით, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, დაინტერესებული აქტორებისა და გურიის მოსახლეობის ფართო მონაწილეობით, გურიის ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. მექანიზმის გამოყენების შესახებ ვიდეორგოლი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=5rxfxGhdv1g&t=422s>

## ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და მუშაობის პროცედურა

შარეტის მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებში, სადაც მონაწილეთა რაოდენობა 25-დან 1000-მდე მერყეობს. თავის მხრივ, მონაწილეთა რიცხვი დამოკიდებულია განსახილველი საკითხის აქტუალობაზე, ინიციატორის მიზანსა და რესურსებზე. უშუალოდ შარეტის ღონისძიება ძირითადად გრძელდება 4-დან 7 დღემდე, თუმცა მის დაგეგმვას რამდენიმე თვე სჭირდება. ასევე, რამდენიმე თვეა საჭირო ღონისძიების შემდგომი ანალიზის ფაზისთვისაც.

შარეტის მექანიზმი სამ ფაზად ხორციელდება. თითოეულ ეტაპზე კი სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებაა მიზანშეწონილი.

**მოსაზრდავალი ეტაპი:** გულისხმობს როგორც საჭირო ადამიანების შერჩევას, ასევე, ლოგისტიკური საკითხების გადაწყვეტას. ამ ეტაპზე იქმნება მმართველი საბჭო, რომელიც 9-15 განსხვავებული მოსაზრებისა და შეხედულების ადამიანისგან შედგება, რომელიც განსაზღვრავს პროცესის მიმართულებასა და მომდევნო ფაზების მიმდინარეობას. მოსამზადებელი ეტაპი მოიაზრებს ისეთ საკითხებზე დაფიქრებას, როგორებიცაა: პროექტის დაწყების ღონისძიება, დროითი ჩარჩო, ბიუჯეტისა და დღის წესრიგის განსაზღვრა, დაინტერესებული მხარეების მიმოხილვა, საბაზისო მონაცემების შეგროვება და ანალიზი. ასევე, იმ საკითხების დადგენა, რომლებზეც უნდა გაიმართოს დისკუსია.

**პარტიის ღონისძიება:** მოიცავს როგორც ფართო შეხვედრებს, ასევე, მუშაობას მცირე ჯგუფებში პრიორიტეტული საკითხების გამოყოფისა და გადაჭრის გზების შემუშავებისთვის. სხვადასხვა საკითხზე ორიენტირებული ქვეჯგუფები ერთმანეთის პარალელურად მუშაობენ. მცირე ჯგუფებში მუშაობა, შესაძლოა, რამდენიმე ეტაპად წარიმართოს, რადგან ეტაპებს შორის ფართო ჯგუფში მიგნებებს წარადგენენ და იღებენ უკუკავშირს. შემდეგ მიღებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე მუშაობა ისევ მცირე ჯგუფებში გრძელდება. ამ პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რის მიღწევა სურს ღონისძიების ორგანიზატორს. ღონისძიების დასასრულს ყველა ჯგუფი პლენარულ სესიაზე საბოლოო მიგნებებს წარადგენს.

**ღონისძიების შედეგითი ეტაპი:** გულისხმობს ღონისძიებიდან მიღებული შედეგების გადახედვას, დამუშავებასა და საბოლოო სამოქმედო გეგმის მომზადებას, რომლის შემდეგაც იმართება საჯარო პრეზენტაცია. შარეტის მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რაც დამოკიდებულია ღონისძიების მიზანზე, მონაწილეებზე და, ზოგადად, თითოეული ფაზის სპეციფიკაზე.

## მუნიციპალიტეტის ორგანოების გადანაცვებებისა და მისი გავლენის ხარისხი

შარეტის, როგორც მონაწილეობითი ინსტრუმენტის, გამოყენებისას მიღებული მონაცემების გათვალისწინება სარეკომენდაციო ხასიათისაა.

იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილეობის მექანიზმების გამოყენება და ამ გზით ფართო საზოგადოების თვითმმართველობის პროცესში ჩართვა ზრდის მიღებული გადანაცვებების ლეგიტიმურობასა და სანდოობას, ასევე, პროცესს ხდის გამჭვირვალესა და ყველასთვის გასაგებს, რიგ შემთხვევებში, ზოგადად ფინანსურ და ადამიანურ რესურსს, გადანაცვებების მიღებისას მონაწილეობის ამ მექანიზმებით მიღებული შედეგები, როგორც წესი, მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ და რეალურ პოლიტიკაში ასახონ.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

■ ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება  
■ მოქალაქეთა თვითორგანიზება



## ღია თვითმმართველობა (OPEN HOUSE)

ღია თვითმმართველობა ეს არის მოქალაქეთა მონაწილეობის ინოვაციური მექანიზმი, რომლის მთავარ მიზანსაც დაინტერესებული მხარეების ინფორმირება წარმოადგენს, თუმცა ასევე შეიძლება, რომ ეს მექანიზმი უკუკავშირის მიღების მიზნითაც ჩატარდეს.

ღია თვითმმართველობის მექანიზმი პრაქტიკაში გულისხმობს ისეთ ღონისძიებას, როგორც არის თვალსაჩინოებების, რუკების, ფოტოებისა და დოკუმენტებისგან შემდგარი მასალების გამოფენა მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით. შედეგად იქმნება სივრცე, სადაც ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დიალოგი. ამ მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ გამოფენის/გამოფენების მონაწილეებს, ამგვარი სურვილის არსებობის შემთხვევაში, ჰქონდეთ კომენტარის დაფიქსირების შესაძლებლობა ე.წ. „პოსტერებზე“, უკუკავშირის ფურცელზე, ასევე, შესაძლებელია გაკეთდეს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი<sup>165</sup>.

### გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა ■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება ■ მუნიციპალური მომსახურებების განწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

### გამოყენების ეტაპები:

■ საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი ■ შეფასება ■ ანგარიშგება

### ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და მუშაობის პროცედურა

მექანიზმის გამოყენებით შესაძლებელია შედარებით დიდი ჯგუფების მოცვა. მისი ხანგრძლივობა კი შეიძლება მერყეობდეს ერთი დღიდან ერთ კვირამდე. შესაძლოა დღეების ხანგრძლივობა კიდევ გაიზარდოს, რაც დამოკიდებულია მოქალაქეებისთვის გასაზიარებელი ინფორმაციის სპეციფიკასა და მოცულობაზე, ასევე, ინიციატორთა მიზნებსა და, ზოგ შემთხვევაში, დასახლებაში მცხოვრები ადამიანების რიცხვზე.

აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენებისას საზოგადოებას შეუძლია ნებისმიერ დროს მივიდეს წინასწარ გამოცხადებულ ადგილას ინფორმაციის მისაღებად და უკუკავშირის გასაზიარებლად. მექანიზმის გამოყენების ინიციატორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებას, მათ შორის, შემდეგი ეტაპების გამოყენებით:

- ⊙ არჩევს მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელებისას საზოგადოებისთვის გასაზიარებელ საკითხებს, როგორც შეიძლება იყოს დასრულებული თუ მიმდინარე პროექტები ან სამომავლო გეგმები;
- ⊙ საკითხების გამოკვეთის შემდეგ მოქალაქეებისთვის წარსადგენად სათანადო ფორმატის შექმნა, რაც გულისხმობს თვალსაჩინოებების, რუკების, ფოტო და ვიდეომასალის შექმნასა და შეგროვებას;
- ⊙ ღონისძიების გამართვის ადგილის შერჩევა;
- ⊙ გამოფენის ადგილზე საინფორმაციო ჭიხურების/სივრცეების განთავსება (სასურველია თითოეული მათგანი ერთ კონკრეტულ საკითხსა თუ პროექტზე იყოს ორიენტირებული);

- ⊙ მოქალაქეთა უკუკავშირის შეგროვებისთვის მოქნილი ფორმატის შემუშავება, რაც შესაძლოა გულისხმობდეს ღონისძიების გასამართი ადგილის აუდიოაპარატურითა ან საკანცელარიო ნივთებით აღჭურვას, შესაძლოა ეს ფუნქცია საინფორმაციო ჯიხურში მყოფმა პირმა შეასრულოს.

### გადაწყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

ღია თვითმმართველობის მექანიზმის გამოყენებისას შეგროვებული მონაცემების რეალურ პოლიტიკაში ასახვა სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო გასაგებს, გამჭვირვალესა და სანდოს ხდის, ასევე, ამცირებს ნიჰილიზმის განცდას, როგორც წესი, ამ შედეგების ასახვა მხოლოდ სასარგებლო გავლენას მოახდენს მართვის პროცესზე.

### მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

## გზა პროგრესისკენ (ROAD TO PROGRESS)

გზა პროგრესისკენ თანამონაწილეობის კიდევ ერთი მექანიზმია. მას საჭიროებების კვლევის ეტაპზე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით თემში არსებული დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენისა და პრიორიტეტიზაციისთვისაც იყენებენ. აღნიშნული მექანიზმის გამოყენების პროცესი ნახევრად ფორმალურ ხასიათს ატარებს, სახალისოა და თამაშს ჰგავს<sup>26</sup>.

აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შემდეგ ვლინდება თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და ერთგვარი კონსენსუსი მიიღწევა მათთან დაკავშირებით. შედეგად, შესაძლებელია, ამ გამოწვევების უფრო სიღრმისეული ანალიზი ან მათი პოლიტიკის დღის წესრიგში გადატანა და სხვა მონაწილეობითი მექანიზმის გამოყენებით მსჯელობა მათი გადაჭრის გზებზე.<sup>166</sup>

### გამოყენების სფერო:

- ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა
- მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება
- მუნიციპალური მომსახურებების განწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

### გამოყენების ეტაპები:

- საჭიროებათა კვლევა/გამოვლენა ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი
- შეფასება ■ ანგარიშგება

### ინიციატორი:

- მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

<sup>26</sup> მოკლე ვიდეოინსტრუქცია, რომელიც აღწერს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ინსტრუმენტი, ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლის მაგალითზე: <https://www.youtube.com/watch?v=m7nfKVukHGA>

## ინიციატივისა და მუშაობის პროცედურა

მექანიზმის გამოყენების პროცესი საშუალოდ 1-დან 2 საათამდე გრძელდება, თუმცა მისი დაგეგმვა გარკვეულ დროს მოითხოვს. ის შეიძლება ჩატარდეს როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებში.

მისი ჩატარების პროცესი დაახლოებით ასე გამოიყურება:

- მექანიზმის გამოყენებამდე მონაწილეებს უნდა განემარტოთ შეხვედრის მიზანი და პროცესი;
- მათ უნდა წარედგინოთ მთავარი კითხვა. იგი ორი ნაწილისგან შედგება და საკითხის შესახებ იკვლევს, ერთი მხრივ, რა მოსწონთ მონაწილეებს, რა დადებით ფაქტორებს გამოყოფდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, რა გამოწვევები, უარყოფითი ფაქტორები არსებობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;
- მექანიზმის მონაწილეები უნდა დაიყონ ჰომოგენურ ქვეჯგუფებად, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეჯგუფის წევრებს უნდა აერთიანებდეთ საერთო მახასიათებელი, მაგალითად, წარმოადგენდნენ ერთ ასაკობრივ კატეგორიას, ჰქონდეთ მსგავსი პროფესია ან სამუშაო ადგილი, სოციალური მდგომარეობა, სქეს, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ. ჯგუფების რაწირება განსახილველი საკითხის შინაარსზე დამოკიდებულია;
- ქვეჯგუფში მუშაობის დაწყებამდე მონაწილეები იღებენ მკაფიო ინსტრუქციას. მათ საკითხთან დაკავშირებით უნდა გამოავლინონ სამი დადებითი და სამი უარყოფითი პასუხი. თითოეული პასუხი უნდა გამოსახონ ნებისმიერი ნივით, რა დროსაც არ არის აუცილებელი საგანსა და საკითხის შინაარსს შორის იყოს კავშირი;
- საერთო სესიაზე, სადაც ყველა ქვეჯგუფი წარმოადგენს 6 ნივთს, მსჯელობა იწყება დადებითი საკითხებით. მონაწილეები დგებიან წრიულად, თითოეული ჯგუფი წარადგენს სამ ნივთს, ანუ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სამ დადებით ასპექტს, და საგნებს წრიულად ალაგებს ერთმანეთისგან მოშორებით. ყველა მონაწილე უსმენს და ცდილობს დაიმახსოვროს წარმოდგენილი ნივთების მნიშვნელობა. პერიოდულად ღონისძიების მოდერატორი მოხალისეებსა და ჯგუფთან ერთად იმეორებს საგნების მნიშვნელობას. თუ სხვადასხვა ქვეჯგუფს მსგავსი საკითხები აქვთ, იგი ამუშავებს მონაწილეებთან, სურთ თუ არა ამ საკითხების დაჯგუფება და, მათი თანხმობის შემთხვევაში, მსგავსი შინაარსის ნივთები ერთად განლაგდება. მას შემდეგ, რაც ყველა ქვეჯგუფი გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს, მოხალისეები აჯამებენ ყველა წარმოდგენილ ნივთს, ანუ, ამ შემთხვევაში, დადებით ფაქტორებს;
- მომდევნო ნაბიჯია უარყოფითი ფაქტორების წარმოდგენა იმავე პროცესის საშუალებით, თუმცა, ამ შემთხვევაში, ნივთები ლაგდება სწორ ხაზზე ერთმანეთისგან დაშორებით. ყველა ქვეჯგუფის მიერ ნივთების წარმოდგენის შემდეგ კვლავ აჯამებს მოხალისე და მონაწილეები იხსენებენ, თუ რა უარყოფით ფაქტორს გამოხატავს თითოეული ნივთი;
- მას შემდეგ, რაც ცხადი გახდება, რომ ყველა მონაწილემ იცის ხაზზე განლაგებული ნივთების მნიშვნელობა, იწყება ხმის მიცემის პროცესი. თითოეულ მონაწილეს ურიგდება სამი კენჭი ან მარცვალი (ყავის, ლობიოს და ა.შ.). მათ უნდა განსაზღვრონ ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორები და გადაანაწილონ საკუთარი ხმები ერთ ან რამდენიმე ნივთზე. მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე დააფიქსირებს საკუთარ პრიორიტეტებს, მოხალისეებთან ერთად ჯამდება შედეგები.

ამის შემდეგ მექანიზმის გამოყენების ინიციატორს აქვს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. შედეგად, შესაძლებელია გამოკვეთილი საჭიროებებისა თუ გამოწვევების უფრო სიღრმისეული ანალიზი ან მათი პოლიტიკის დღის წესრიგში გადატანა.

## გადანყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

მექანიზმი კონკრეტული მიზნის მიღწევის გზაზე მოქალაქეთა მიერ დანახული გამოწვევებისა და დაბრკოლებების აღმოჩენისა და ანალიზისთვის გამოიყენება, შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, ამ გზით იდენტიფიცირებული გამოწვევების დასაძლევად მუშაობა თვითმმართველობის პროცესს კიდევ უფრო აჯანსაღებს.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

## მომავლის ძიება/მომავლის ძიების კონფერენცია (FUTURE SEARCH CONFERENCE)

მომავლის ძიების კონფერენცია არის მონაწილეობითი მექანიზმი, მასში მონაწილე მხარეებს ეძლევათ საშუალება გაზიარებული ხედვების საფუძველზე შექმნან მომავლის სამოქმედო გეგმები. ამ მექანიზმში ჩართვა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს შესაბამისი რესურსები, ცოდნა, გამოცდილება, აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენა და კონკრეტული საჭიროებები.<sup>167</sup>

მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორებიცაა: ტრანსპორტი, მიწათსარგებლობა, სერვისების გაუმჯობესება, გარემოს დაცვა, განათლება, ჯანდაცვა ან სულაც ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ახალი სააგენტოს შექმნა ან ხელმძღვანელობის ცვლილება.

### გამოყენების სფერო:

- ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა
- მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება
- მუნიციპალური მომსახურებების განვლა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

### გამოყენების ეტაპები:

- საჭიროებათა კვლევა/გამოვლენა ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი
- შეფასება ■ ანგარიშგება

### ინიციატორი:

- მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და მუშაობის პროცედურა

მექანიზმის გამოყენებისას მასში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს 25-იდან 99-მდე მოქალაქემ. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეთა რიცხვი 100 ადამიანს აღარბეჭდს, შესაძლებელია პარალელურად რამდენიმე სესიის ჩატარება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც ჯგუფში 64 მონაწილეა, რომლებიც 8 მაგიდაზე არიან თანაბარი რაოდენობით განაწილებულნი.

ღონისძიება გრძელდება 2,5-3 დღე, თუმცა გასათვალისწინებელია ასევე მოსამზადებელი პერიოდიც.

### მომავლის ხედვის მექანიზმი 5 ძირითადი ნაბიჯისგან შედგება, მათ შორის:

**წარსულის მიმოხილვა:** რა დროსაც მონაწილეები ემნიან ერთგვარ დროით ხაზს, სადაც ქრონოლოგიურად ათავსებენ მნიშვნელოვან მოვლენებს (მაგალითად, გასული წლების როგორც პირად, ისე საზოგადოებრივად და გლობალურად მნიშვნელოვან საკითხებს), რის შემდეგაც ჰყვებიან ისტორიებს საკუთარი პერსპექტივით. ეს ნაწილი მონაწილეებს ეხმარება საკითხის უკეთ გააზრებაში.

**ახყოს მიმოხილვა და არსებული ტენდენციები:** მთელი ჯგუფი ცდილობს გამოავლინოს ის ტენდენციები, რომლებიც ახდენს გავლენას სადისკუსიო საკითხზე და ამდენად ყველაზე მნიშვნელოვანია. ჯგუფებში გამოყოფენ 3-5 ტენდენციას, რომელიც მათთვის საინტერესო და საყუ-

რადღებოა, შემდეგ კი განსაზღვრავენ, რას აკეთებენ ისინი ამჟამად და რა სურთ, რომ მომავალში გააკეთონ ამ ტენდენციის საპასუხოდ (ინდივიდუალურად ან ერთობლივად). ასევე, გამოყოფენ ამ პროცესში არსებულ გამოწვევებსაც.

**მომავლის წარმოდგენა, იდეალური სცენარები:** ამ ეტაპზე მონაწილეები საკუთარ თავს წარმოიდგენენ მომავალში და აღწერენ მათთვის სასურველ მდგომარეობას, როგორც უკვე არსებულს, სადაც მიზანი უკვე მიღწეულია. ამ ეტაპზე შესაძლებელია კრეატიული მეთოდების გამოყენება.

**საერთო საკითხების განსაზღვრა და შეთანხმება:** ქვეჯგუფები ასახელებენ საკითხებს მომავლის სცენარებიდან, რომლებიც, მათი აზრით, ყველასთვის საერთოა, მათ შორის, ღირებულებების, პრინციპებისა და მოსაზრებების დონეზე. ქვეჯგუფებსა და პლენარულ სესიებზე დიალოგის საშუალებით ჯგუფი თანხმდება საერთო მოსაზრებებზე და შეთანხმებებს აფიქსირებს ბარათებზე.

**სამოქმედო გეგმების მიმოხილვა:** ამ ეტაპზე ქვეჯგუფები მუშაობენ და პლენარულ სესიაზე წარადგენენ ხედვის განაცხადსა და მცირე და გრძელვადიან სამოქმედო გეგმებს. ამ ნაწილში ყალიბდება თანამშრომლობითი ურთიერთობები მონაწილეებს შორის და მოხალისეები აფიქსირებენ სურვილს მიიღონ მონაწილეობა სამოქმედო გეგმების განხორციელების პროცესში.

**დასასრული:** კონფერენცია სრულდება უკუკავშირის სესიით, სადაც მონაწილეები აზიარებენ საკუთარ შეგრძნებებსა და მოსაზრებებს.

## გადანწყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

ისევე, როგორც თანამონაწილეობის სხვა ინოვაციური მეთოდების შემთხვევაში, ამ დროსაც მიღებული შედეგები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

## მონაწილეობითი ბიუჯეტირება (PARTICIPATORY BUDGETING)

მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმი გულისხმობს საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით გადანწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართულობას. ამ მექანიზმის მთავარი პრინციპია ის, რომ მისი საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ გადაწყვიტონ, თუ როგორ განაწილდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსები. მონაწილეობითი ბიუჯეტის მექანიზმის დანერგვა განაპირობებს ფინანსების ეფექტურ მართვასა და დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებას<sup>168</sup>.

ძირითადად გამოიყოფა მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამი მოდელი (1) ტერიტორიული, (2) თემური და (3) შერეული მონაწილეობითი ბიუჯეტის მოდელები. კონკრეტული მუნიციპალიტეტის მახასიათებლებსა და მიზნებზე დამოკიდებული, თუ რომელ მოდელს გამოიყენებს, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ მუნიციპალიტეტმა თავადვე შეიმუშაოს ალტერნატიული მოდელი, რომელიც უკეთ მოერგება ადგილობრივ კონტექსტს.<sup>27</sup>

თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის ინოვაციური მექანიზმების გამოყენების საკანონმდებლო საფუძველს საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტს შეუძლია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

გარდა ამისა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების იდეა ეფუძნება გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებს. გამჭვირვალობის აუცილებლობა პრინციპების დონეზე გარკვეული ხარისხით გაზიარებულია საქართველოს საბიუჯეტო და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსებშიც.

<sup>27</sup> მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა ბათუმის მუნიციპალიტეტში : <https://idea.batumi.ge/about>  
მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა ქედის მუნიციპალიტეტში: <https://keda.gov.ge/ge/monatsileobiti-biud-jetis-sabcho/siakhleebi>

## გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა ■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება ■ მუნიციპალური მომსახურებების განვლა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/ განხორციელება/შეფასება

## გამოყენების ეტაპები:

■ საჭიროებათა კვლევა/გამოვლენა ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი ■ შეფასება ■ ანგარიშგება

## ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და გუჯაობის პროცედურა

მექანიზმის სრული გამოყენება შეესაბამება ორ საბიუჯეტო წელს, რადგან, ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურების გათვალისწინებით, მექანიზმით გამოვლენილი შესაძლო შედეგების ასახვა ბიუჯეტის პროექტში, როგორც წესი, მხოლოდ მომდევნო წლისთვისაა შესაძლებელი.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების რომელი მოდელის დანერგვა იქნება ეფექტური, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, ამიტომ იგი შესაძლოა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განსხვავებულად განხორციელდეს. მიუხედავად ამისა, ამ მექანიზმის ძირითადი კომპონენტებია: დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება (საპროექტო წინადადებების წარდგენა, გამარჯვებულების გამოვლენა და ბიუჯეტში ასახვა), გამარჯვებული პროექტების განხორციელება, მონიტორინგი და შეფასების ფაზა.

**დაგეგმვის ეტაპი** მოიცავს ადგილობრივ დონეზე მექანიზმის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხისა და პროცედურის განსაზღვრას, რომლებიც მტკიცდება საკრებულოსა ან/და მერის მიერ. სამართლებრივი აქტით ძირითადად განისაზღვრება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოდელის შერჩევა (ტერიტორიული, თემატური ან შერეული მოდელი), განხორციელების ძირითადი წესების განსაზღვრა, დაფინანსების გამოყოფა და განხორციელების ვადების დადგენა, პროცესში მონაწილე აქტორებისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრა, საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა, საპროექტო წინადადებებთან დაკავშირებული საკითხებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურის განსაზღვრა, სათანადო სამიზნე ჯგუფების გამოყოფა, პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დადგენა. მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი წარიმართოს მონაწილეობითი პრინციპის დაცვით. სწორედ ამიტომ რეგულაციების შესამუშავებლად თუ განსახორციელებლად იქმნება მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო, რომელშიც მოწვეულნი არიან მერიის, საკრებულოს წარმომადგენლები, ასევე, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

**საინფორმაციო კამპანიის წარმართვა** – პროგრამის დეტალური დაგეგმვის შემდგომ ეტაპებზე მნიშვნელოვანია ფართო საინფორმაციო კამპანიის წარმართვა პროგრამის ყველა ეტაპზე მოსახლეობის ინფორმირება და მათი მონაწილეობის სტიმულირება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგია/სამოქმედო გეგმა, მოიცავდეს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამი ყველა ეტაპზე მოსახლეობის ჩართულობას, ეს იქნება ინფორმაციას ინიციატივების წარდგენის შესაძლებლობებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ თუ პროექტებზე ხმის მიცემას, გამარჯვებული პროექტის განხორციელებას თუ შეფასებას.

**პროექტების წარდგენა:** ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფები წარადგენენ საპროექტო წინადადებებს წინასწარ დადგენილი ფორმით როგორც ელექტრონულად, ისე მერიის წარმომადგენლის ოფისში/მერიისაში. პროექტების წარსადგენად განსაზღვრულია გონივრული ვადა, ხშირ შემთხვევაში,

არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები. ასევე, სასურველია არსებობდეს მარტივი ფორმა, რაც მოქალაქეებს გაუადვილებს პროექტების შემუშავებასა და წარდგენას. სასურველია საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება პროექტების წერის სპეციფიკაზე. ასევე, სასარგებლოა ინიციატორმა იდეის შემუშავების პროცესში ჩართოს თანამოაზრეები და მეზობლები.

**შემოსული ინიციატივების/პროექტების ტექნიკური განხილვა** – თუ პროექტი აკმაყოფილებს ტექნიკურ კრიტერიუმებს, გადადის მომდევნო საფეხურზე. კრიტერიუმები წინასწარ განსაზღვრულია, ძირითადად არის ტექნიკური ხასიათის და არ იძლევა სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას. ტექნიკური განხილვა ხორციელდება მერიისა და მონაწილეობითი საბჭოს მიერ. განხილვის პროცესში ავტორს ეძლევა საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო წინადადება დახვეწოს. ვერიფიკაციის ეტაპისთვის აუცილებელია გონივრული ვადის განსაზღვრა – 1 თვიდან 3 თვემდე, რადგან ეს არის ეტაპი, როცა მერია ავტორთან ერთად აძლევს ინიციატივას პროექტის სახეს. შესაბამისად, გამარჯვების შემთხვევაში, მას არ შეეძლება განხორციელების პრობლემა. ასევე, მნიშვნელოვანია შეფასების პროცესის ფარგლებში საბჭოს სხდომები იყოს წინასწარ დაანონსებული და ყველასთვის ღია.

**ხმის მიცემის ეტაპი და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა** – საუკეთესო პროექტების გამოსავლენად მიმდინარეობს კენჭისყრა ელექტრონული ან პირდაპირი წესით, რომელშიც მონაწილეობენ უშუალოდ მოქალაქეები. ხმის მიცემა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ელექტრონული, ასევე პირდაპირი წესით. აუცილებელია ხმის მიცემაზე გასული პროექტების პოპულარიზაცია, მედიასაშუალებებით, ასევე პირისპირი შეხვედრებით. მნიშვნელოვანია ხმის მიცემისთვის გონივრული ვადის გამოყოფა და მკაფიო და ხელმისაწვდომი პროცედურები. ძირითადად, გამარჯვებულად ცხადდება პროექტი, რომელიც ხმის უმრავლესობას მიიღებს. თუმცა საკმარისი ბიუჯეტის არსებობის შემთხვევაში, ხშირად სხვა პროექტებიც ფინანსდება, თუ ისინი დააგროვებენ ხმების წინასწარგანსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია გამარჯვებული პროექტები ასახოს ბიუჯეტში.

**გამარჯვებული პროექტების განხორციელების ფაზა** – გამარჯვებული პროექტები მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტში აისახება და მის განხორციელებაზე მერიის შესაბამისი სამსახურები არიან პასუხისმგებელნი. მნიშვნელოვანია როგორც მომზადების, ასევე განხორციელების ეტაპზე პროექტების ავტორებთან მჭიდრო კომუნიკაცია და ჩართვა. პროექტების განხორციელების პროცესი იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისშივე და ის უნდა დასრულდეს წლის ბოლომდე. პროექტის განხორციელების დასრულებისას შესაძლებელია მიღება-ჩაბარების პროცესში ავტორმაც მიიღოს მონაწილეობა.

**შეფასების ფაზა** – გარდა პროექტების ზედამხედველობისა, ასევე მნიშვნელოვანია თავად ბიუჯეტირების პროგრამის მთლიანი ციკლის მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს რამდენად ეფექტური, მდგრადი და შედეგიანი იყო განხორციელებული ღონისძიებები. მონიტორინგის გეგმის შემუშავება ხდება ყოველი ციკლის დაწყების წინ და მოიცავს ყველა ეტაპის მონიტორინგს, ხოლო შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს სრული ციკლის შემდგომ – ანუ 2 წელიწადში ერთხელ მაინც. შემდგომი ნაბიჯები: მონაწილეობითი ბიუჯეტირება ციკლური პროცესია, ამიტომ მნიშვნელოვანია პროცესის დასრულების შემდგომ სათანადო დასკვნების გაკეთება და მომდევნო ციკლში გათვალისწინება. ასევე, მიღებულ შედეგებსა და გამოცდილებასთან დაკავშირებით აქტიური კომუნიკაცია საზოგადოებასთან.

## გადანწყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

მექანიზმს, გადანწყვეტილებაზე გავლენის თვალსაზრისით, აქვს სავალდებულო ხასიათი. მისი შედეგების რეალურ პოლიტიკაში აქტიური ასახვა ზრდის მოქალაქეთა თვითმმართველობის პროცესში ჩართულობის ხარისხს, ზრდის დაინტერესებას, ამცირებს ნიჰილიზმის განცდას და პროცესს უფრო ინკლუზიურს ხდის.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

# გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი – CITIZEN PARTICIPATION IN DECISION MAKING TOOLKIT (CPT)

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი (CPT) ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კონტექსტზე დაფუძნებული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებასა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებაში. მექანიზმი შემუშავებულია ევროპის საბჭოს კარგი მმართველობის ექსპერტთა ცენტრის მიერ, გორიცის სოციოლოგიის საერთაშორისო ცენტრთან (ISIG) თანამშრომლობით. მეთოდოლოგია, მოიცავს ციფრულ კომპონენტს – ექსელის დოკუმენტს, სადაც ხდება შეფასება და მონაწილეობის მატრიცის შემუშავება.<sup>169</sup>

## გამოყენების სფერო:

- ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა
- მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება
- მუნიციპალური მომსახურებების განწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება

## გამოყენების ეტაპები:

- საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი
- შეფასება ■ ანგარიშგება

## ინიციატორი:

- მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და მუშაობის პროცედურა

მეთოდოლოგიის გამოყენების საწყის ეტაპზე საჭიროა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც გადაამზადდება მეთოდოლოგიის პროცესის დანერგვაში/ციფრულ კომპონენტში. თუ პროცესი მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება, ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეულნი იყვნენ მერიის/საკრებულოს წარმომადგენლები, რომლებიც ინფორმაციას ფლობენ სხვადასხვა სტატისტიკური თუ პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპებზე.

### მეთოდოლოგია შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს:

**ადგილობრივი თემის შეფასება** – მექანიზმის ადგილობრივ კონტექსტზე მოსარგებად, მნიშვნელოვანია თემის დამოკიდებულების შესწავლა/შეფასება სამოქალაქო ჩართულობასთან მიმართებით. შეფასება ტარდება ოთხ განზომილებაში: ✓ სოციალური კაპიტალი; ✓ ადამიანური კაპიტალი; ✓ ეკონომიკური კაპიტალი; ✓ პოლიტიკური კაპიტალი.

**დაინტერესებულის მხარის იდენტიფიკაცია/შეფასება** – დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი სექტორის მიხედვით – ინსტიტუციური (სახელმწიფო) აქტორები, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი და შემდეგ სისტემატიზაცია მონაცემთა ბაზაში – თითოეული დაინტერესებული მხარის შესაძლებლობებისა და მუშაობის შეფასება ჩართულობის კუთხით. თითოეული იდენტიფიცირებული მხარის შეფასება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- მათი შესაძლო წვლილის რელევანტურობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მათი შესაძლო ინტერესი კონკრეტულ თემაზე გადაწყვეტილების მიღებაში ჩასართავად.



შეფასება ხდება შემდეგი დამოკიდებულებით/გავლენით: ✓ უაღრესად ნეგატიური; ✓ ნეგატიური; ✓ არ არის რელევანტური; ✓ პოზიტიური; ✓ უაღრესად პოზიტიური.

დაინტერესებულ მხარეთა შეფასებისას, რელევანტურობისა და ინტერესის ქულები ინსტრუმენტს ავტომატურად გადააქვს 4 კვადრატად დაყოფილ დიაგრამაზე, რომელიც აგებულია მონაწილეების გავლენისა და მხარეთა პოტენციური ჩართულობის ოთხივე დონეზე: ● ინფორმაცია ● კონსულტაცია ● დიალოგი ● პარტნიორობა.

**სამოქალაქო ჩართულობის სტრატეგიის შეფასება** — მეთოდოლოგიის გამოყენების ბოლო/მესამე ეტაპზე მუნიციპალიტეტი ექსპერტებსა და იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შეიმუშავებს მონაწილეობის სტრატეგიას, რათა პროცესის მეორე ეტაპზე იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარეები ჩართოს გადანყვეტილების მიღების პროცესში და ხელი შეუწყოს მათ აქტივობას/ჩართულობას. მეთოდოლოგია, ასევე იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.<sup>170</sup>

- ☑ მეთოდოლოგიის სრული ქართული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1-ge-cpt-toolkit-final-docx/1680a9bf62>
- ☑ ხოლო ოპერაციული დოკუმენტი შემდეგ ბმულზე: <https://docs.google.com/spreadsheets/d/1AIVAWOygPwXJ6B-gYlrbacnlGYRL9c5A/edit?usp=sharing&oid=101427363267488501131&rtpof=true&sd=true>

## გადანყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი (CPT) წარმოადგენს საკონსულტაციო ეტაპის დაგეგმვის საწყის ეტაპს. აღნიშნული მექანიზმით შემუშავებული მონაწილეობის დოკუმენტს გააჩნია სარეკომენდაციო ხასიათი, თუ როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკონსულტაციო პროცესში მონაწილეობის მაღალი დონე.

## მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

## სამოქალაქო ლაბორატორია (CIVICLAB)

სამოქალაქო ლაბორატორია (CivicLab) არის გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმი, რომლის დანიშნულებაცაა პოლიტიკის შემუშავებისას კონსულტაციების ეფექტიანად ორგანიზება, პრობლემის გადანყვეტის გზების შემუშავება, გაანალიზება და პროგნოზირება<sup>171</sup>. CivicLab-ის მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია ევროპის საბჭოს მიერ მიზნად ისახავს, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, პოლიტიკურ გადანყვეტილებათა მიღებასა და საკონსულტაციო პროცესის ინკლუზიურად წარმართვას. აღნიშნული მექანიზმი იყენებს ციფრულ პროგრამას/კომპონენტს (იხილეთ ლინკი), რომლის საშუალებითაც მონაწილეთა მოსაზრებები და ჯგუფური მსჯელობის მიგნებები პროცესის პარალელურად ისახება წინასწარ გამზადებულ ელექტრონულ მატრიცაში, ავტომატიზებულ რეჟიმში ხდება მონაცემების ანალიზი და შედეგების ვიზუალიზაცია საერთო ეკრანზე.<sup>28</sup>

<sup>28</sup> დამატებით შეგიძლიათ იხილოთ ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევა ოზურგეთში, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2023-2025 წლების ადგილობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით გაიმართა: <https://ozurgeti.mun.gov.ge/?p=15687> და, ასევე, ინსტრუმენტის გამოყენება ახმეტის მუნიციპალიტეტში: <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/akhemta-municipality-applies-civiclab-methodology-to-produce-a-policy-document-through-public-consultations>

## გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა  
■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება  
■ მუნიციპალური მომსახურებების განევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/  
განხორციელება/შეფასება


## გამოყენების ეტაპები:

■ საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების  
ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი  
■ შეფასება ■ ანგარიშგება

## ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და მუშაობის პროცედურა



### პროცესის მომზადება:

1. კონსულტაციის თემის/საკითხის, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა და დაინტერესებულ მხარეთა გამოკვეთა.
2. დაინტერესებულ მხარეთა სიის შემუშავება CivicLab-ის მეთოდოლოგიით:
  - დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი სია განისაზღვრება სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის საშუალებით, რომელიც ქვეყნდება ონლაინრესურსზე.
  - სარეგისტრაციო ფორმით მიღებული განაცხადებიდან მონაწილეები საბოლოოდ შეირჩევიან წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.
3. საკონსულტაციო პროცესის მონაწილეთა რუკის (პასპორტის) შემუშავება – სპეციალური კითხვარების მეშვეობით, მონაცემების მოპოვება შემდეგ მახასიათებლებზე: მონაწილეთა ასაკი, სქესი, საცხოვრებელი ადგილი, სამიზნე ჯგუფი, საჭიროებები, მოტივაცია, მოლოდინები და სხვა.
4. შერჩეულ მონაწილეთა გადანაწილება ჯგუფებში ე.წ. „შუქნიშნის“ მეთოდით – ჩართული ჯგუფების წარმომადგენელთა პროპორციული გადანაწილება საკონსულტაციო მაგიდებთან. ამ მეთოდის მეშვეობით, მონაწილეები გადანაწილდებიან იმგვარად, რომ თითოეულ ჯგუფში და-

ინტერესებული მხარეები წარმოდგენილი იყვნენ ყველა სექტორიდან, შემდეგი პროპორციით: სახელმწიფო უწყებები – 30%, სამოქალაქო სექტორი – 30%, ბიზნესსექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციები – 30%, ორგანიზატორები – 10%. თითოეული ჯგუფი მუშაობს ცალკე მაგიდასთან ან ვირტუალურ ოთახში და წარმოდგენილია კონკრეტული ფერით.

5. ელექტრონული მატრიცის შერჩევა და მომზადება საკონსულტაციო პროცესისთვის – წინასწარ უნდა მოამზადოთ შეხვედრისთვის „საკონსულტაციო პასპორტი“, სადაც დეტალურად არის აღწერილი შეხვედრის დეტალები. მის საფუძველზე კი იქმნება მატრიცა/ები საკითხებით, სადაც თითოეული ჯგუფის მოსაზრებების ასახვას შეძლებთ. აქვე, გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ანალიზს გაუკეთებს მიღებულ მონაცემებს და გარდაქმნის მათ ვიზუალურად თვალსაჩინო ფორმატებში: ცხრილები, გრაფიკები და ა.შ.



## წინადადებების შემუშავება – საკონსულტაციო პროცესი (დღე)

შემდგომი ნაბიჯია უშუალოდ ღონისძიების, საკონსულტაციო დღის გამართვა/წარმართვა. შესაძლოა შეხვედრაზე დაგჭირდეთ საკითხთან დაკავშირებით შესავალი ლექცია, პრეზენტაცია, სიტუაციის გაღივების აქტივობა და ა.შ. თუმცა, სამოქალაქო ლაბორატორიის მექანიზმის ძირითადი ნაწილია ჯგუფური დისკუსიების წარმართვა. გათვალისწინეთ, რომ ყველა მონაწილეს დისკუსიისას თანაბრად აქვს დრო ამრის გამოსახატად. ამ ეტაპზე პროცესის ადმინისტრატორი მონაწილეებს აცნობს CivicLab-ის მეთოდოლოგიას. მუშაობის სრული პროცესი პარალელურად აისახება ელექტრონულ მატრიცაში, სადაც მონაცემები ჯგუფდება, საერთო ეკრანზე გამოდის, გაანალიზდება და აისახება საინფორმაციო გრაფებისა და დიაგრამების ფორმით. მონაწილეები მაგიდებთან ნაწილდებიან „შუქნიშნის“ მეთოდით. თითოეულ მაგიდას ჰყავს ფასილიტატორი, რომელიც წარმართავს კონსულტაციის პროცესს, აკონტროლებს დროს და ელექტრონულ მატრიცაში შეჰყავს მონაწილეთა მოსაზრებები. მატრიცის გამოყენებით შესაძლებელია მონაწილეთა მოსაზრებების მყისიერი აღნუსხვა, გაანალიზება და ვიზუალიზაცია. იგი ასახავს როგორც ცალკეული ჯგუფების მუშაობის, ისე მთლიანი პროცესის შედეგებს. ადმინისტრატორი უძღვება და აკვირდება სრულ პროცესს, ეცნობა და აჯამებს საბოლოო მონაცემებს, ამზადებს ანალიტიკურ ანგარიშს.

### ეტაპი შედეგება 5 ფაზისგან:

- I ფაზა** პრობლემის ანალიზი და მიზეზების შესწავლა (კრიტიკის ფაზა) – საკითხთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ პრობლემათა მიზეზების, ასევე, მხარეებზე მათი დადებითი/უარყოფითი გავლენის გაანალიზება. იდენტიფიცირებულ პრობლემათა რანჟირება. ჯგუფური სამუშაოს შედეგების პრეზენტაცია. ამ ეტაპზე ხდება ასევე ჯგუფებში გადანაწილებული მონაწილეების გაცნობა ერთმანეთთან.
- II ფაზა** იდეების შემუშავება – პრობლემების გადაჭრის გზების იდენტიფიცირება. – იდეების შემუშავება დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების გათვალისწინებით. – კონკრეტული წინადადებების შემუშავება პრობლემის გადაჭრის იდენტიფიცირებულ გზებზე დაყრდნობით. ეს ეტაპი არ მოითხოვს იდეების რანჟირებას, ვინაიდან ერთი პრობლემის გადასაწყვეტად შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს რამდენიმე იდეა.
- III ფაზა** წინადადებების შემუშავება – წინადადებების შემუშავება წინა ეტაპზე განსაზღვრული იდეების განსახორციელებლად და მათი რანჟირება;
- IV ფაზა** წინადადებათა პრაქტიკულობის (რეალისტურობის) შეფასება – წინადადებების შეფასება მათი პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობათა მიხედვით. მაგალითად, რამდენად არსებობს სათანადო დრო, სამართლებრივი გარემო, მატერიალური რესურსი და სამუშაო ძალა და ა.შ. და, შესაბამისად, წინადადებების რანჟირება;
- V ფაზა** წინადადების განხორციელების გეგმის/ვადების შემუშავება – სამოქმედო გეგმის შემუშავება, სულ მცირე, ერთი წინადადების განხორციელებლად. დროითი ჩარჩოსა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა შემუშავებული წინადადებისთვის.



## პროცესის შედეგების ანალიზი

ჯგუფური დისკუსიების დასასრულს, ციფრული კომპონენტის საშუალებით მონაცემების ანალიზი და ვიზუალიზაცია ხდება დიდ ეკრანზე, სადაც ყველა მონაწილე ხედავს შედეგებს. თითოეული ფაზის ბოლოს ჯგუფის ფასილიტატორი აჯამებს შედეგებს და ჯგუფურ სამუშაოს. ღონისძიების ყველა მონაწილეს შეუძლია, მყისიერად ნახოს თავისი მუშაობის შედეგი დიდ ეკრანზე. მონაწილეებს აქვთ საშუალება დაინახონ სხვა ჯგუფების შედეგებიც და შეადარონ საკუთარ მიგნებებს. საბოლოო შედეგებს კი ღონისძიების ბოლოს აჯამებს ადმინისტრატორი.



## ანალიტიკური ანგარიშის მომზადება

პროცესი სრულდება ანგარიშის მომზადებითა და გამოქვეყნებით. შედეგების შესაჯამებლად, ცალკეული ანგარიშები მზადდება თითოეული ჯგუფის მუშაობასა და მიღწევებზე. შედეგად, შემუშავდება საერთო ანალიტიკური ანგარიში და რეკომენდაციები. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია წინადადებების მომზადება, სულ მცირე, სამი სხვადასხვა გადანყვეტით. ანალიზის შედეგები, ვიზუალური მონაცემები და შემუშავებული მასალები მონაწილეებს გადაეცემათ ღონისძიების დამთავრებისთანავე. ანალიტიკურ ანგარიშსა და სტრატეგიულ წინადადებებს მონაწილეები და მუნიციპალიტეტი იღებს 7 დღის ვადაში.

### გადაწყვეტილებაზე გავლენის ხარისხი

სამოქალაქო ლაბორატორიის მექანიზმით შემუშავებული რეკომენდაციები წარმოადგენს სარეკომენდაციო დოკუმენტს. თუმცა პროცესი ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით მიმდინარეობს და გადაწყვეტილებაზე მაღალი გავლენის მატარებელია.

### მონაწილეობის ფორმის ამოცანები

- ინფორმირება ■ კონსულტირება ■ პარტნიორობა ■ ძალაუფლების დელეგირება
- მოქალაქეთა თვითორგანიზება

## მოქალაქეთა ასამბლეა (CITIZEN ASSEMBLY)

მოქალაქეთა ასამბლეა წარმოადგენს საჯარო კონსულტაციების პროცესს შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული და დემოგრაფიულად წარმომადგენლობითი მოქალაქეთა ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც სათათბირო დემოკრატიის (deliberative democracy) პრინციპებზეა დაფუძნებული.

მოქალაქეთა ასამბლეის ჯგუფი იქმნება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და ისეთი დემოგრაფიული კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სქესი, ასაკი და სხვა. ჯგუფი ძირეულად აანალიზებს პრობლემურ საკითხს, მართავს დისკუსიას მოგვარების გზებზე, შეისწავლის მათ დადებით და უარყოფით მხარეებს და, ხმის მიცემის საშუალებით, რეკომენდაციებს აწვდის გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებს. ასამბლეის საშუალებით ხდება ისეთი საკითხის განხილვა, რომლებიც მიეკუთვნება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას და საზოგადოებაში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს. მექანიზმის გამოყენების პროცესი (დაგეგმვა/მომზადება, განხორციელება – სწავლება/დელიბერაცია) საკმაოდ ხანგრძლივი და კომპლექსურია, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, და მოიცავს 3 თვიდან 1 წლამდე პერიოდს.<sup>172/29</sup>

<sup>29</sup> ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევებს ვხვდებით საქართველოშიც, მათ შორის, ოზურგეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების შემთხვევებში. ბმულის სახით წარმოდგენილია რუსთავის მოქალაქეთა ასამბლეის გვერდი Facebook-ზე. <https://www.facebook.com/Rustavi.CA>

## გამოყენების სფერო:

■ ბიუჯეტის დამტკიცება ■ წესების დამტკიცება ■ პოლიტიკის განსაზღვრა ■ ქონების განკარგვა  
■ მერის საქმიანობის ზედამხედველობა ■ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება  
■ მუნიციპალური მომსახურებების განწევა ■ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა/  
განხორციელება/შეფასება

## გამოყენების ეტაპები:

■ საჭიროებათა კვლევა/ანალიზი ■ დღის წესრიგში საკითხის დაყენება ■ გადაწყვეტილების  
ალტერნატივების შემუშავება ■ გადაწყვეტილების მიღება ■ იმპლემენტაცია ■ მონიტორინგი  
■ შეფასება ■ ანგარიშგება

## ინიციატორი:

■ მერი ■ საკრებულო ■ მოქალაქე ■ საინიციატივო ჯგუფი

## ინიცირებისა და მუშაობის პროცედურა

მოქალაქეთა ასამბლეის მექანიზმი განხორციელების პროცესში ჩართულია, როგორც მუნიციპალიტეტი, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია/ან საინიციატივო ჯგუფი. მეთოდოლოგიაში მკვეთრად გამოიწველია მათი უფლებამოსილებები და **მუნიციპალიტეტი** იღებს გადაწყვეტილებას მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზებაზე და მხარს უჭერს მთლიან პროცესს, ხოლო **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია/საინიციატივო ჯგუფი** პასუხისმგებელია პროცესის წარმართვასა და ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე.

**საკითხის შერჩევა** – მნიშვნელოვანია საკითხი აქტუალური იყოს მოსახლეობისთვის, საკითხი შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა თავად დაასახელოს, ან/და შეთავაზებული იყოს სამოქალაქო საზოგადოების/საინიციატივო ჯგუფის მიერ. ასევე, არსებობს წინასწარი გამოკითხვის/მოკვლევების პრაქტიკა. საკითხის შერჩევასას გასათვალისწინებელია, რომ: საერთო მუნიციპალურ საკითხზე იმართება მუნიციპალური ასამბლეა. კონკრეტულ უბანთან დაკავშირებულ საკითხზე იმართება საუბნო ასამბლეა. სპეციფიკური ჯგუფების საკითხებზე კი იმართება სპეციფიკური ასამბლეა (მაგ. მძღოლების, არტისტებისა და ა.შ.). მნიშვნელოვანია ასევე საკითხის ფორმულირება შეკითხვის სახით, მაგ: „როგორ უნდა განვითარდეს რუსთავის ჭალის ტყე ისე, რომ მორგებული იყოს ქალაქისა და მოსახლეობის ინტერესებს?“

**მოქალაქეთა ასამბლეის წევრები** შემთხვევითი წესით შერჩეული წევრები მუდმივმოქმედნი არ არიან, არამედ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ირჩევიან ასამბლეის განსახორციელებლად. შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია:  სქესი  ასაკობრივი ჯგუფები  საცხოვრებელი ადგილი  განათლების დონე. ასევე, შესაძლებელია საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა კრიტერიუმის დამატება (რელიგიური/ეთნიკური კუთვნილება და ა.შ.). ასამბლეის წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია საკითხის მასშტაბურობასა და მუნიციპალიტეტის სიდიდეზე, მერყეობს 50-100 წევრამდე, ასევე, მეთოდოლოგიის ავტორების მიერ, გარდა დედაქალაქისა, საქართველოსთვის განსაზღვრულია 36 წევრი. ასამბლეის წევრთა რეგისტრაცია ცხადდება წინასწარ განსაზღვრული წესით და რეგისტრირებულებიდან შერჩევა ხდება ლოტოტრონით, რაც გადაიცემა პირდაპირ ეთერში/ლაივში.

მოქალაქეთა ასამბლეა შედგება შემდეგი ძირითადი სამი ფაზისგან:

ფაზა	ძირითადი ეტაპები/სტადიები
<p><b>მოსამზადებელი ფაზა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხის შერჩევა</li> <li>• ორგანიზატორის შერჩევა – სამოქალაქო საზოგადოებიდან, საკოორდინაციო ჯგუფის ფორმირება;</li> <li>• ვებპორტალის შექმნა – ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მიერ ამ ეტაპზე შექმნილია ვებპორტალი ოზურგეთისა და რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის, ყოველ ახალ მუნიციპალიტეტზე შესაძლებელია გაიხსნას ახალი სივრცე.</li> <li>• ასამბლეის წევრთა შერჩევის სისტემის ჩამოყალიბება;</li> <li>• საინფორმაციო კამპანიის წარმართვა;</li> <li>• ასამბლეის წევრთა მოწვევა და რეგისტრაცია;</li> <li>• ასამბლეის წევრთა შერჩევა – პირდაპირი ეთერით;</li> <li>• ლოგისტიკური საკითხები – სივრცის შერჩევა, ასამბლეის წევრთა ინფორმირება და მოწვევა და ა.შ.</li> </ul>
<p><b>სწავლების ფაზა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დარგის ექსპერტების შერჩევა;</li> <li>• დამკვირვებლებისა და დაინტერესებული მხარეების მოწვევა და შერჩევა;</li> <li>• საგანმანათლებლო ფაზის პროგრამის მომზადება;</li> <li>• საგანმანათლებლო დღის ჩატარება – ექსპერტთა და დაინტერესებულ მხარეთა პრეზენტაციები, კითხვა-პასუხი და პრეზენტაციების, მასალების გაზიარება; შესაძლებელია მხოლოდ პრეზენტაციების ლაივ რეჟიმში გაშვება;</li> <li>• ასამბლეის წევრთა შორის არაფორმალური კავშირების წახალისება და მეგობრული გარემოს შექმნა.</li> </ul>
ფაზა	ძირითადი ეტაპები/სტადიები
